დღის ტარიფი აღარ გაიზრდება A2

"თქვენი აფხაზეთი" A6

ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 3 დეკემბერი, 2003 წელი. №313 (525)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## დონალდ რამსფელდის ტურნესთან დაკავშირებული მოლოდინები

ექსპერტთა ნაწილი დარწმუნებულია, რომ პენტაგონის თავკაცის ვიზიტი სასარგებლოდ აისახება სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებაზე. ასეთი ვარაუდების საფუძველს დონალდ რამსფელდის წინა ვიზიტის შედეგები იძლევა.

A3

### ეკონომიკა

## ნოღაიდელი დაცული მუხლების დავალიანებების "აღმოფხვრას" თებერვლისათვის აპირებს

ქვეყანაში შექმნილი ფინანსური კრიზისის დასაძლევად, მინისტრის ვარაუდით, სულ ცოტა ხუთი-ექვსი თვე და გაათმაგებული მუშაობაა საჭირო. 2003 წლის მინიმალური დანაკარგებით დამთავრება და მომავალი წლის თებერვლიდან არც ერთი თეთრი სახელფასო და საპენსიო დავალიანება - ასეთი სულისკვეთებით იწყებს ნოღაიდელი მინისტრობის პირველ კვირას.

A4

### უცხოეთი

## ნატო ავღანეთში გააქტიურებას გეგმავს

4 და 5 დეკემბერს ბრიუსელში საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბებიან. შეხვედრებზე ნატო-ს შემდგომი განვითარების საკითხებს განიხილავენ. თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები ნატო-ს საბჭოს ფარგლებში, ტრადიციულად, წელიწადში ორჯერ იკრიბებიან.

A5

### სამართალი

## სააკაშვილი იგორ გიორგაძის დაპატიმრებას კატეგორიულად ითხოვს

მისი აზრით, იგორ გიორგაძე არ არის პოლიტიკური ფიგურა, "უშიშროების ყოფილ მინისტრს სურს, შეკრიბოს თავისი სპეცრაზმელები, "ომეგელები", უცხო ქვეყნიდან შემოსული სხვა ხალხი და საქართველოში დესტაბილიზაცია მოაწყოს," - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

A7

### საზოგადოება

## დაგვინახეთ - აქა ვართ

გინახავთ, როგორ თამაშობენ გონებრივი შეფერხების მქონე ადამიანები შექსპირს?

A8

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 9 |
| ქუთაისი | 15 |
| ბათუმი | 17 |
| სოხუმი | 14 |
| ფოთი | 17 |
| თელავი | 8 |
| ზუგდიდი | 16 |
| გორი | 7 |
| ახმეტა | 8 |
| ჭიათურა | 10 |
| გაგრა | 12 |
| სამტრედია | 15 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1700 |
| ევრო | 2.5960 |
| გირვანქა სტერლ. | 3.7294 |
| რუბლი | 0.0731 |

# კოლინ პაუელი: რუსეთმა საქართველო უნდა დატოვოს

### პირველი დიპლომატიური გამარჯვება მაასტრიხტში

ლევან ღირსიაშვილი

უკვე ორი დღეა, რაც მსოფლიოს მასმედიის და, განსაკუთრებით, საქართველოს ყურადღება ჰოლანდიის პატარა ქალაქ მაასტრიხტისაკენ არის მიპყრობილი. აქ, როგორც ცნობილია, ეუთო-ს (ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი მიმდინარეობს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი ქალბატონი ნინო ბურჯანაძეც ესწრება.

შეხვედრის კულმინაციურ წერტილად აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის გამოსვლა იქცა. მან საკმაოდ მკაცრი ტონით მოსთხოვა რუსეთის ფედერაციას 1999 წელს სტამბოლის სამიტზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რომლის თანახმადაც რუსეთმა მოლდოვადან და საქართველოდან თავისი სამხედრო ბაზები უნდა გაიყვანოს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აშშ მზად არის, ითანამშრომლოს საქართველოს გარდამავალ ხელისუფლებასთან, რომელიც "ხავერდოვანი რევოლუციის" მეშვეობით მოვიდა ქვეყნის სათავეში.

გაგრძელება A5 გვერდზე




ნინო ბურჯანაძე კოლინ პაუელისა და იააპ დე ჰოოპ სხეფერის გარემოცვაში იმედიანადაა.

REUTERS

# დევიდ სმიტი: ივანოვის მოქმედებამ მეც დამაბნია

### ინტერვიუ საქართველოს ფორუმის პრეზიდენტთან, უსაფრთხოების საკითხებში საქართველოს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრთან, ელჩ დევიდ სმიტთან

ეკა კვესიტაძე

**- რა შეიძლება ჩაითვალოს ვარდების რევოლუციის მთავარ მონაპოვრად? რას შეცვლის ის, თუნდაც, საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით.**

- საქართველო ყოველთვის იყო საინტერესო ქვეყანა. ქართველები ჭკვიანი, ენერგიული და განათლებული ხალხია. ამ რევოლუციამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველო პრო-დემოკრატიული და პრო-დასავლური ერია და ეს უკვე მთელმა მსოფლიომ დაინახა. მაგრამ დღეს უკვე მთავარი კითხვა ასეთია - რა იქნება შემდეგ?

ამ ეტაპზე ძალიან სწრაფად უნდა მოხდეს პოლიტიკური სისტემის კონსოლიდაცია და, რაც მთავარია, ჩატარდეს თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები.

**- ამ მოვლენების შემდეგ რამდენად გაიზრდება ამერიკის ინტერესი საქართველოში და რამდენად მდგრადი იქნება ეს ინტერესი?**

- საქართველო პატარა ქვეყანაა და თუ იმ დახმარებებით ვიმსჯელებთ, რომელიც ამერიკამ საქართველოს გაუწია, მაშინ ცხადი გახდება, რომ აქ ამერიკის ინტერესი საკმაოდ დიდი და, თანაც, მდგრადია.

დღეს თბილისში ამერიკის ოფიციალური პირების დელეგაცია ჩამოდის, რომლის წევრები სხვადასხვა ორგანიზაციებს და სააგენტოებს წარმოადგენენ. მათი მიზანია, დაეხმარონ საქართველოს. პარასკევს ჩამოდის ამერიკის თავდაცვის მინისტრი, ასევე დახმარების მიზნით. ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დაპირება იმასთან დაკავშირებით, რომ ის საქართველოს დიდ დახმარებას გაუწევს. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ამერიკა ძალიან დაინტერესებულია საქართველოს წარმატებით.

**- რამდენად დიდი იქნება იმ დახმარების მასშტაბები, რომელსაც დასავლეთი საქართველოს ჰპირდება?**

- თქვენ წლების განმავლობაში დიდ დახმარებას იღებდით. მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად ეფექტურად მოხდა ამ დახმარების გამოყენება.

დღეს ყველას ესმის, რომ საქართველოს ახალ მთავრობას არ შეუძლია, პრობლემები ერთ დღეში მოაგვაროს. მაგრამ, რასაც ყველა ელოდება, არის ის, რომ ახალმა ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს ამ პრობლემების გადაწყვეტა. პირველ ეტაპზე, ბუნებრივია, იქნება დახმარება, რათა ხელისუფლებამ მოახერხოს იმ უზარმაზარი გარღვევის ამოვსება, რომელიც ქვეყანაში ფინანსური თვალსაზრისით არსებობს. მაგრამ, ბუნებრივია, ეს დახმარება მუდმივად არ გაგრძელდება. ამიტომ დღეს მიღებული დახმარება საქართველომ რეფორმების გასატარებლად უნდა გამოიყენოს

**- ანუ საკითხი ასე დგას - ჩვენ ახლა შანსი გაგვიჩნდა და უკვე ჩვენზეა დამოკიდებული, გამოვიყენებთ თუ არა ამ შანსს?**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ლიტერატურის კუნძული




გუშინ თბილისში ლიტერატურული კაფე გაიხსნა.

## რუსეთმა ეუთო-ს მინისტერიალის პარალიზება გამოიწვია

### ეუთო-ს მეთერთმეტე კონფერენცია მაასტრიხტში

მერი კახიანი
ვენიდან

**"საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის, ნინო ბურჯანაძის გამოსვლას მაასტრიხტში მიმდინარე ეუთო-ს მინისტერიალის სხდომაზე, ყველა დიდი ინტერესითა და ყურადღებით შეხვდა და ერთობ დადებითი რეზონანსი მოჰყვა. ეუთო-ს ხელმძღვანელის, იააპ დე ჰოოპ სხეფერის მოწოდებას 4 იანვარს დანიშნულ არჩევნებთან დაკავშირებით დახმარების თაობაზე, სხდომაზე დამსწრე ქვეყნების წარმომადგენლები მყისვე გამოეხმაურნენ. შეიქმნა ნებაყოფლობითი ფონდი. თითოეულმა ქვეყანამ თავისი წვლილი შეიტანა. საერთო ჯამში შეგროვილმა თანხამ 6,5 მილ. ევრო შეადგინა. კონფერენციაში საქართველოს მოქმედ პრეზიდენტთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან, თედო ჯაფარიძესთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ელჩები - კოტე ზალდასტანიშვილი (ევროკავშირი), დათო დონდუა (ნატო), კოტე გაბაშვილი (გერმანია) და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ამირან კალაძე,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ეუთო-ში გიგა ბურდულმა.

**ნინო ბურჯანაძის მწვავე კრიტიკა რუსეთის მიმართ**

ეუთო-ს უმაღლეს ორგანოში სიტყვით გამოსვლისას, ნინო ბურჯანაძემ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ. შევარდნაძის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, ბურჯანაძემ, თავის პირველ გამოსვლაში, საერთაშორისო ტრიბუნიდან ბრალი დასდო მოსკოვს საქართველოს სუვერენიტეტისთვის ძირის გამოთხრაში. სხდომაზე დამსწრე რუსეთის საგარეო საქმეთა

გაგრძელება A2 გვერდზე

## ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს

*"3 იანვარს ტელევიზიით გამოვალ და საქართველოს მოსახლეობას საჯაროდ ვეტყვი, რისი გაკეთება შევძელით და რისი - ვერა. დიახ, ამას გავაკეთებ 3 იანვარს, როცა ყველანი ნაქეიფრები ვიქნებით! 4 იანვრის შემდეგ თავის მართლებას არ დავიწყებ..." – ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი საარჩევნო სიებთან დაკავშირებით მთელ პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს. ბატონი ჭიაბერაშვილი წინასწარვე აღნიშნავს, რომ ახალი სიები ასპროცენტიანი ვერ იქნება, მაგრამ, რაც მთავარია, საქართველოს მოსახლეობას კონსტიტუციით მინიჭებულ ხმის მიცემის უფლებას არავინ წაართმევს.*

ვერიკო თევზაძე

გუშინ, შინაგან საქმეთა სამინისტროში, მინისტრი გიორგი ბარამიძე და სამინისტროს სხვა თანამშრომლები საარჩევნო სიებთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ. ეს იყო მუშა შეხვედრა, სადაც ცესკო-ს თავმჯდომარემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოხატეს ზოგადი განწყობა, ისინი მოსახლეობას დაჰპირდნენ, რომ, მიუხედავად მცირე დროისა, ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური ნება, სიები არ გაყალბდეს და არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## რა სჭირდებათ უცხოელ ინვესტორებს

ნინო ნარჩემაშვილი

უცხოელი ინვესტორები, რომლებიც საქართველოში თანხების დაბანდებას გეგმავენ, ქვეყნის ხელისუფლებისაგან გარკვეულ გარანტიებს მოელიან. პირობები, რომელთა შესრულებასაც ინვესტორები ხელისუფლებისაგან ყოველთვის მოითხოვდნენ, შემდეგ ძირითად პუნქტებს შეიცავს: ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის დამყარება; კრიმინოგენული სიტუაციის დარეგულირება; ადმინისტრაციულ ბარიერებთან დაკავშირებული კორუფციული ელემენტების აღმოფხვრა.

საინვესტიციო საბჭოში აცხადებენ, რომ ძირითადი წინააღმდეგობები ლიცენზიების გაცემის, უძრავი ქონების რეგისტრაციის და საბაჟო ოპერაციების განხორციელებისას წარმოიქმნება. საქართველოში, 2001 წელს, საინვესტიციო გარემოს შესწავლის მიზნით, მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული სპეციალური გამოკვლევის შედეგები კი ცხადყოფს, რომ ქვეყანაში ამ მიმართულებით რაღაც განსაკუთრებული სირთულეები არ არსებობს და არსებული მდგომარეობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა უმრავლესობის იდენტურია. საინვესტიციო საბჭოში იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ გამოკვლევის შედეგების გათვალისწინებით გამოიცა ქვეყნის პრეზიდენტის სპეციალური განკარგულება, რომელიც სხვადასხვა უწყებებს შესაბამის დავალებებსა და პასუხისმგებლობას აკისრებდა, თუმცა, როგორც წესი, მათი უმრავლესობა არ შესრულდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ქართული მაფია ევროასპარეზზე

ქართული მაფია, როგორც ცალკე აღებული ცნება, იშვიათად მოქცეულა საერთაშორისო ყურადღების ცენტრში. ცნობილი გერმანელი ჟურნალისტის იურგენ როტის წიგნი "ვენის დაჯგუფება, ქართული მაფია", რომელშიც სწორედ ქართული მაფიის მოღვაწეობა და მისი ფართო კავშირებია აღწერილი, შეიძლება ითქვას, პირველი შემთხვევაა, როცა საქართველოში საკმაოდ ცნობილი ადამიანებით, რომლებსაც ხან კრიმინალური სამყაროს თავკაცებად მოიხსენიებენ, ხანაც – წარმატებულ, მსხვილ ბიზნესმენებად, მაფიის ისტორიის მკვლევარები დაინტერესდნენ.

იურგენ როტმა ამ ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც რუსული მაფიისა და ვლადიმირ პუტინის ურთიერთობის დეტალები აღწერა. ამჯერად კი, ცნობილი გერმანელი ჟურნალისტი ევროპაში მოქმედი ქართული მაფიის თავისებურებებით დაინტერესდა და, როგორც უცხოური პრესა აღნიშნავს, ფარდა ახადა ავსტრიის დედაქალაქში მის ფართო კონტაქტებს. მართალია, ქართული საზოგადოება ამ კონტაქტების თაობაზე მეტ-ნაკლებად ინფორმირებული გახლავთ, თუმცა იურგენ როტის წიგნში მაინც ბევრია ახალი და, მეტიც - სკანდალური. ეს გამოცემა ქართველი მკითხველისთვის, ჯერჯერობით, ხელმიუწვდომელია, ამიტომ მცირე კომენტარებით გთავაზობთ იმ რამდენიმე თავს წიგნიდან, რომლებიც უკვე გამოქვეყნდა გერმანულ გაზეთ "Der Standart"-ში.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 პროექტი | A7 სამართალი | A8 საზოგადოება

B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# რუსეთმა ეუთო-ს მინისტერიალის პარალიზება გამოიწვია

პირველი გვერდიდან

მინისტრის ივანოვის თანდასწრებით, მან დაადანაშაულა რუსეთი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დახმარებისა და მხარდაჭერისთვის. საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო ევროპული ორიენტაციის ქვეყანაა, მოსკოვს კი უსაყვედურა, რომ ის საქართველოს ისევ რუსეთზე დამოკიდებულ ქვეყნად ხედავს. ამასთან, ბურჯანაძემ მოითხოვა, რომ სწრაფად მოხდეს რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა საქართველოდან. ამასთან ერთად, ბურჯანაძემ ხელი გაუწოდა რუსეთს და შესთავაზა წინადადებები მომავალი ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. **"ჩვენთვის სასიამოვნო იქნებოდა, თუკი რუსეთი უფრო პოზიტიურად და აქტიურად ეცდებოდა პრობლემათა მოგვარებას,"** - აცხადებს საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი.

### საქართველოს შესახებ დოკუმენტის პროექტი

ჯერ კიდევ მაასტრიხტის შეხვედრის დაწყების წინა [illegible]

### პაუელი რუსეთს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისკენ მოუწოდებს

**"მანამ რუსეთი საქართველოდან და მოლდოვიდან თავის სამხედრო ნაწილებს არ გაიყვანს, აშშ ევროპაში შეიარაღებული ძალების შესახებ ადაპტირებულ ხელშეკრულებას რატიფიკაციას არ შეუდგება,"** - აცხადებს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი. [illegible] **"ელემენტებს, რომლებიც დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფვიან და ამით საქართველოს მთლიანობის დარღვევა სურთ, უფლება არა აქვთ, რაიმე დახმარება მიიღონ."** თავისი კრიტიკა რუსეთის ხელმძღვანელობის მიმართ პაულემა შემდეგი კომენტარით დაამთავრა: **"რუსეთმა პატივი უნდა სცეს ადამიანის უფლებებს მაშინაც კი, როცა ტერორიზმის წინააღმდეგ და თავისი სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნებისთვის იბრძვის."**

### ბურჯანაძის ორმხრივი შეხვედრები მაასტრიხტში

მაასტრიხტში ორმხრივი შეხვედრა გაიმართა საქართველოს მოქმედ პრეზიდენტსა და აშშ-ს სახელმწიფო მდივანს შორის. შეხვედრა დაახლოებით 20 წუთს გაგრძელდა და ძირითადად არჩევნების თემას შეეხებოდა. პაუელმა სიამოვნებით მიიღო ბურჯანაძის წინადადება საქართველოში მიპატიჟების შესახებ და კიდევ ერთხელ დაადასტურა აშშ-ს მზადყოფნა, დაეხმაროს საქართველოს.

შემდეგ საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი შეხვდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს იგორ ივანოვს, თუმცა 30-წუთიანი მოლაპარაკება რაიმე კონკრეტული შედეგით არ დამთავრებულა. ბურჯანაძე, აგრეთვე, შეხვდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს იოშკა ფიშერს.

### რუსეთს არანაირი შენატანი არ გაუკეთებია

ეუთო-ს ხელმძღვანელის სხეფერის მოწოდებას საქართველოში არჩევნების ჩატარების დასახმარებლად რუსეთის მხრიდან არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია. თავად ჰოლანდიამ 1 მილ. ევრო გაიღო, ევროკავშირმა 2 მილ., გერმანიამ 750 ათასი, ავსტრიამ 60 ათასი.

### ეუთო-ს კონფერენციაზე განხილული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

**"მოლდოვა მალე ევროკავშირისა და ნატო-ს პირდაპირ მეზობელი გახდება და ჩვენ კარგი მეზობლობით ვართ დაინტერესებული,"** - განაცხადა ეუთო-ს თავმჯდომარემ იააპ დე ჰოოპ სხეფერმა. [illegible]

### ეუთო-მ დასკვნითი დოკუმენტის მიღება ვერ მოახერხა

ეუთო-მ, [illegible] პირველად, კონფერენციის შემაჯამებელი დოკუმენტის მიღება ვერ მოახერხა და ამაში "ლომის წილი" ისევ რუსეთს მიუძღვის. [illegible] **ის ტერიტორიულ მთლიანობას და მოლდოვისათვის საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გამოყოფის საკითხს. დავამ რუსეთის პოლიტიკის შესახებ საქართველოსა და მოლდოვაში, მაასტრიხტის ორდღიანი კონფერენციის პარალიზება გამოიწვია".** სხეფერის ამ განცხადებაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლადიმირ ჩიჟოვმა უკვე ჩვეული რეაგირება მოახდინა: **"რუსეთის მთავრობა ამ მოთხოვნების მიმართ ვალდებულებას ვერ გაიზიარებს."**

### ეუთო-ს ყოფილი თავმჯდომარე საქართველოზე

ეუთო-ს წესდების თანახმად, ყოველ წელს ორგანიზაციის თავმჯდომარე იცვლება. ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრის, იააპ დე ჰოოპ სხეფერის შემდეგ, ეუთო-ს ხელმძღვანელი მისი ბულგარელი კოლეგა სოლომ პასი ხდება. თავად სხეფერი კი მომავალი წლიდან ნატო-ს გენერალური მდივანი იქნება.

საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი თავის კეთილ დამოკიდებულებას, ეუთო-ს უკვე ყოფილი თავმჯდომარე შემდეგნაირად გამოხატავს: **"მართალია, არჩევნები, ჯადოსნური ჯოხის მსგავსად, ერთბაშად ვერ გადაწყვეტს შიდა კონფლიქტების, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების მოგვარების საქმეს, მაგრამ ეს არჩევნები შექმნის ახალ პოლიტიკურ კლიმატს საქართველოში და დაეხმარება ხელისუფლებას კომპრომისების ძებნაში."**

# ევროპული ოჯახი მზადაა, უპასუხოს საქართველოს მისწრაფებებს

შოთა უტიაშვილი
*ბრიუსელიდან*

გუშინ ნინო ბურჯანაძე მაასტრიხტიდან ბრიუსელში ჩავიდა და გამართა შეხვედრები ხავიერ სოლანასთან და რომანო პროდისთან.

პროდისთან ერთსაათიანი შეხვედრის შემდეგ, ბურჯანაძემ და პროდიმ პრესკონფერენცია გამართეს.

რომანო პროდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროკავშირმა სასწრაფოდ უნდა გამოუყოს საქართველოს 2 მილიონი არჩევნებისთვის და 5 მილიონი სხვა სასწრაფო დახმარებისთვის. იმედი გამოთქვა, რომ გაგრძელდება დემოკრატიული პროცესი და განმტკიცდება საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები. **"მისასალმებელია მთელი ქართველი ხალხის სურვილი, ჰქონდეს ევროპულ ოჯახთან უკეთესი ურთიერთობა და ევროპა მზად არის, ამ სურვილს დადებითი პასუხი გასცეს,"** - აღნიშნა რომანო პროდიმ.

ნინო ბურჯანაძე ამაყობს იმით, რომ ქართველებმა სისხლისღვრისა და ძალადობის გარეშე დაიცვეს დემოკრატია. "ევროპულ ოჯახში გაწევრიანება მთელი ქართველი ხალხის სურვილია. ყველაფერს გავაკეთებთ ორივე არჩევნების ნორმალურად ჩასატარებლად - ჯერ საპრეზიდენტოსი, შემდეგ საპარლამენტოსი. ყველაფერს გავაკეთებთ აღებული ვალდებულებების შესანარჩუნებლად და დემოკრატიული ინსტიტუტების განსამტკიცებლად. ჩვენ გვსურს, გავხდეთ "ევროკავშირის ახალი სამეზობლო ინიციატივის" წევრი," - განაცხადა საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა.

*ჟურნალისტის შეკითხვა:* **"ხომ არ იქნებოდა უკეთესი საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთად მიგველოთ "ევროკავშირის ახალი სამეზობლო ინიციატივის" წევრებად?"**

*რომანო პროდი:* **"კონკრეტულად ამ საკითხზე არ გვისაუბრია. ჯერ არის სხვა სასწრაფოდ მოსაგვარებელი პრობლემები. ამის შემდეგ უნდა განვიხილოთ ინიციატივაში გაწევრიანების საკითხი."**

*ჟურნალისტის შეკითხვა:* **"თქვენ რომ საუბრობთ რუსეთ-საქათველო-ამერიკის სამკუთხედზე, ევროკავშირი სადღაა?"**

*ნინო ბურჯანაძე:* **"თუ გნებავთ, სამკუთხედი დაარქვით, თუ გნებავთ - ოთხკუთხედი, ჩვენ ყოველნაირად ვეცდებით სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების განმტკიცებას. ევროპა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია და გვსურს, გავხდეთ ევროპული ოჯახის წევრი. უმთავრესი პრიორიტეტია აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობა და გვსურს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება. ვიყავი ეუთო-ში და ძალიან კმაყოფილი ვარ ეუთო-ს ქვეყნების მიერ აღმოჩენილი მხარდაჭერით. ყველამ ახსენა მოხსენებაში საქართველო და ჩვენი ქვეყანა ყურადღების ცენტრში იყო."**

*ჟურნალისტის შეკითხვა:* **"საქართველოში ხელისუფლების შეცვლა თუ დააჩქარებს საქართველოს ინტეგრაციას ევროპაში?"**

რომანო პროდი: **"ჩვენ საქართველოს საშინაო საქმეებში არ ვერევით, მაგრამ კმაყოფილი ვარ დღევანდელი შეხვედრით, საქართველოს მისწრაფებით ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ და მაქსიმალურად შევეცდებით, ამ მისწრაფებას დადებითი პასუხი გავცეთ."**

# დევნილები ნადარეიშვილის წინააღმდეგ

სოფო ბუკია

**"ნადარეიშვილი ათი წელია, შევარდნაძეს ერთგულად უდგას გვერდით. მისი და შევარდნაძის ერთობლივმა პოლიტიკამ კიდევ უფრო დაგვაშორა აფხაზეთს. ჩვენ გვინდა, რომ ბატონმა თამაზმა კვლავაც უერთგულოს ყოფილ პრეზიდენტს და მის გზას დაადგეს,"** – ნადარეიშვილის გადადგომას, უკვე მესამე დღეა, საკონსტიტუციო სასამართლოს შენობასთან შეკრებილი სამასამდე დევნილი ითხოვს.




*დევნილებმა ნადარეიშვილს 5 დეკემბრამდე მისცეს ვადა.*

აქციას სათავეში უდგას აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა საბჭო, რომელიც სოხუმის გარნიზონის ვეტერანთა კავშირს "ჯიხას", მოძრაობა "დაბრუნებას", აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციათა ლიგას, "სამურზაყანოსა" და "ჰელიოსის" საზოგადოებებს აერთიანებს. ისინი ნადარეიშვილს პრეზიდენტ შევარდნაძის "კორუმპირებულ, ავტორიტარულ, ანტიდემოკრატიულ" რეჟიმთან მჭიდრო თანამშრომლობაში და აფხაზეთის დაკარგვაში ადანაშაულებენ. გარდა ამისა, ისინი მოუწოდებენ საქართველოს გენერალურ პროკურატურას და კონტროლის პალატას, უმოკლეს ვადებში დაიწყოს ნადარეიშვილის საქმიანობის შესწავლა და შესაბამისი შეფასება მიეცეს მის მოღვაწეობას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე.

თავად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თავს იმით იწონებს, რომ მას **"დღევანდელ ხელისუფლებასთან საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა აქვს."** იგი გამორიცხავს, რომ მის მოწინააღმდეგეთა აქცია ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ იყოს მართული. **"აქციის ორგანიზატორები საქართველოს საზოგადოებისთვის ცნობილი პირები არ არიან, მაგრამ დევნილმა საზოგადოებამ კარგად იცის მათი ვინაობა, რომლებსაც ცუდის მეტი არაფერი გაუკეთებიათ. ვინც ჩვენს გადადგომას ითხოვს, ჩვენზე მეტი უნდა ჰქონდეს გაკეთებული, ან შემუშავებული უნდა ჰქონდეთ აფხაზეთის დაბრუნების პროგრამა, რაც მათ არ გააჩნიათ... რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, ამას ყოველ ექვს თვეში ამოწმებს კონტროლის პალატა... ვინც იქ დგას, არიან განაწყენებული ადამიანები, რომლებიც ჩვენ თანამდებობებიდან გავათავისუფლეთ,"** – განაცხადა ნადარეიშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

ნადარეიშვილი ასევე "პრაქტიკულად შეუძლებლად" მიიჩნევს დევნილთა მოთხოვნას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების შესახებ, რადგან, მისი თქმით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეუთო-ს და ევროსაბჭოს რეკომენდაციების თანახმად, აფხაზეთში დაუბრუნებლობის პირობებში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დამატებითი არჩევნების ჩატარება არსებულ ხელისუფლებას ლეგიტიმურობას დაუკარგავს და მას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად აქცევს.

გუშინ "იმელის" შენობასთან ორი აქცია გაიმართა. ერთმანეთთან ასიოდე მეტრის დაშორებით იდგნენ ნადარეიშვილის გადადგომის მომხრენი და მისი მხარდამჭერები.

ვითარების დაძაბვის არაერთი მცდელობის მიუხედავად, მომიტინგეებს შორის სერიოზული დაპირისპირება არ მომხდარა. საკონსტიტუციო სასამართლოს შენობას, რომელშიც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება ფუნქციონირებს, გუშინ როგორც თბილისის პოლიციის ხელმძღვანელობა, ასევე აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები იცავდნენ. ნადარეიშვილის მხარდამჭერთა რიგებს, ძირითადად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და მინისტრთა საბჭოს წევრები ავსებდნენ, რომლებმაც განუმარტეს საზოგადოებას, თუ რა მძიმე და ნაყოფიერ სამუშაოს ატარებს ლეგიტიმური ხელისუფლება დევნილობაში. საკუთარი მხარდამჭერების გასამხნევებლად, "იმელის" შენობის წინ თავად მღელვარების მიზეზი – თამაზ ნადარეიშვილიც გამოჩნდა, თუმცა მის მხარდამჭერებზე ძლიერი ხმები ნადარეიშვილის მოწინააღმდეგეებს აღმოაჩნდათ, რომლებმაც საფირმო შეძახილი - "გადადექი!" - გამოიყენეს და ნადარეიშვილი შენობაში შეაბრუნეს.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მომხრეებმა ძალიან მალე დატოვეს "იმელის" შენობის მიმდებარე ტერიტორია, იმ მოტივით, რომ **"ჩვენც ვინმეს ნადარეიშვილის მოწინააღმდეგეები არ ვეგონოთო."**

ამის შემდგომ ნადარეიშვილის მოწინააღმდეგეებმა საკონსტიტუციო სასამართლოს წინ კარვების გაშლა და პერმანენტული აქციის გამართვა გადაწყვიტეს, თუმცა, აღნიშნული ტერიტორია აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმმა დაიკავა, პოლკოვნიკ ოთარ კვარაცხელიას ხელმძღვანელობით. კარვების გაშლა ვერ მოხერხდა. რაც შეეხება აქციებს, როგორც დევნილები აცხადებენ, **"ისინი არ წავლენ, ვიდრე მიზანს არ მიაღწევენ."**

**"შევარდნაძე წავიდა და ნადარეიშვილი რა გახდა?! თუ ეს ხელისუფლება ნადარეიშვილს მხარს დაუჭერს, მათდამი დიდი სიმპათიის მიუხედავად, ჩვენ მათ წინააღმდეგაც დავირაზმებით. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ყველანაირი კავშირი უნდა გაწყვიტოს ნადარეიშვილთან,"** – აცხადებენ აქციის ორგანიზატორები.

უკანასკნელი ინფორმაციით, "იმელის" შენობის მიმდებარე ტერიტორია 5 დეკემბრამდე გათავისუფლდა, აქციები სწორედ ამ დღეს განახლდება. მანამდე კი ორგანიზატორები ნადარეიშვილის გადადგომის მომხრე დევნილთა ხელმოწერებს შეაგროვებენ.

# სოციალისტები რევოლუციამდელ წარსულში იქექებიან

*თურმე, სულ ტყუილად ფიქრობდა საზოგადოება, რომ შევარდნაძის ხელისუფლება "ნაციონალურმა მოძრაობამ" და "ბურჯანაძე-დემოკრატებმა" დაამხეს. სოციალისტური პარტიის წარმომადგენელთა მტკიცებით, "ვარდების რევოლუციის" მოხდენაში ლომის წილი... IFES-სა და "რუსთავი-2"-ის კომპიუტერული ცენტრის თანამშრომლებს მიუძღვით.*

გიორგი ასანიშვილი

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ფრაქცია "სოციალისტის" თავმჯდომარე ირაკლი მინდელი მთელი სერიოზულობით აცხადებდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში შედგენილი ზუსტი საარჩევნო სიები სწორედ მათ (IFES-მა და "რუსთავი-2"-ის თანამშრომლებმა) გააყალბეს, რამაც მოსახლეობა ხმის მიცემის უფლების გარეშე დატოვა და რასაც, საბოლოო ჯამში, რევოლუცია მოჰყვა.

მინდელს, რატომღაც, "არ ახსოვს", რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული სიები ძველ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადასცა, რომელსაც გია ზესაშვილი ხელმძღვანელობდა. ნუთუ, ცესკო-ში ვერ "მოახერხებდნენ" სიების გაყალბებას? თანაც, გაყალბება ხომ, ძირითადად, 2 ნოემბრის არჩევნების წინა ღამეს მოხდა?

მაგრამ სოციალისტებს უნდათ, რომ ეჭვი მაინცადამაინც IFES-სა და "რუსთავი-2"-ის თანამშრომლებზე მიიტანონ!

**"მე ვიცი, რომ სიები პირდაპირ IFES-ს გადაეცა, გარდა თბილისელ ამომრჩეველთა სიებისა,"** - "პირველ ჩვენებას" არ ცვლის ირაკლი მინდელი. არადა, სწორედ ამ "გარდა"-შია საქმე - საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ამომრჩეველთა სიები ყველაზე მეტად სწორედ თბილისში იყო "დაზიანებული", ანუ, ძირითადად, გაყალბდა სიების ის ნაწილი, რომელიც ძველი ცესკო-ს კონტროლის ქვეშ იყო.

ამასთან, სოციალისტებს ძველ ცესკო-ზე აუგს ვერ დააცდენინებ, სამაგიეროდ, კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ ახალ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელიც ჯერ წესიერად არც კი შეკრებილა.

ირაკლი მინდელი "ძალიან საშიშს" უწოდებს ცესკო-ს ახალი ხელმძღვანელის ზურაბ ჭიაბერაშვილის წინადადებას იმის თაობაზე, რომ ახალი საარჩევნო სიები ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე გაკეთდეს. **"ეს ძალიან შეამცირებს არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას. იმ შემთხვევაში კი, თუ აჭარა არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებს, ელექტორატის რიცხვი კიდევ უფრო შემცირდება. ამიტომ, შეიძლება ისე მოხდეს, რომ პრეზიდენტის ასარჩევად სულ რაღაც 300 ათასი ხმა აღმოჩნდეს საკმარისი,"** - აცხადებს ფრაქცია "სოციალისტის" თავმჯდომარე.

ახალი ცესკო-სადმი მინდელის ბრალდებების ნუსხა ამით არ ამოიწურება. მისი შეფასებით, "ცესკო "სამართლიანი არჩევნების" ქვედანაყოფი გახდა". ვინაიდან "სამართლიანი არჩევნები" არჩევნების მონიტორინგს მომავალშიც აპირებს, მინდელი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს არასამთავრობო ორგანიზაცია "ერთი ხელით არჩევნებს ჩაატარებს, მეორეთი კი მას გააკონტროლებს."

სოციალისტების ერთ-ერთმა ლიდერმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე შიდაპარტიულ გეგმებსა და ამოცანებზეც ისაუბრა. მინდელის განცხადებით, მოქმედ პარლამენტში მისი ფრაქცია მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდება, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო 2 ნოემბრის არჩევნების შედეგების არალეგიტიმურობას დაადასტურებს.

რაც შეეხება "სოციალისტური პარტიის" პოლიტიკურ პარტნიორებს, ამაზე მინდელი ჯერ მხოლოდ მინიშნებებით საუბრობს. თუმცა, როგორც ჩანს, ისინი "ახლებს", "აღორძინებასა" და "ლეიბორისტებს" შორის უნდა ვეძებოთ, რომელთა მიერ "ვარდების რევოლუციასთან" დაკავშირებით გამოხატული "მკვეთრი პოზიცია" ირაკლი მინდელის მოწონებას იმსახურებს.

# თენგიზ კიტოვანი: "რუსეთი შეიძლება გადაგვემტეროს"

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვში მყოფი საქართველოს თავდაცვის ექს-მინისტრი თენგიზ კიტოვანი მორიგი მრისხანე განცხადებებით გვაფრთხილებს: **"არავითარი გამართლება არ აქვს ამ ეტაპზე რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანაზე სტამბოლის ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნას. ეს რუსებს გააღიზიანებს და პოლიტიკურადაც ეს ნაბიჯი არ არის გამართლებული. ლეგიტიმიზაციამდე ჩვენს ხელისუფლებას მოსკოვის კეთილგანწყობა სჭირდებოდა,"** - აცხადებს კიტოვანი.

**"თუკი საქართველოდან რუსეთის სამხდრო ბაზების გაყვანის თემა არჩევნებამდე აქტუალური დარჩება, ვფიქრობ, მოსკოვი თბილისთან დიალოგს აღარ განაახლებს. უნდა ვიფიქროთ, რომ შევარდნაძე ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკოსების ხელით ცდილობს რუსეთისათვის ზიანის მიყენებას,"** - ასე მსჯელობს კიტოვანი.

ქართველი გენერლის ეს ვერსია, როგორც ყოველთვის, ემთხვევა მოსკოვის სამხდრო-პოლიტიკური წრეების ზოგიერთი წარმომადგენლის თვალსაზრისს. მაგალითად, გენერალი ტროშევი მიიჩნევს, რომ **"საქართველოში ლეგიტიმური ხელისუფლების მოსვლამდე რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხის გადახედვა პროვოკაციაა, რაზეც მოსკოვი არ წამოეგება."**

**"ჯერ ერთი, ბათუმისა და ახალქალაქის ბაზების გაყვანას დიდი დრო სჭირდება, მეორეც, აფხაზეთისა და სხვა ეთნიკური თვალსაზრისით არასაიმედო რეგიონებიდან რუსეთის გამოდევნა ეწინააღმდეგება რუსეთის საერთაშორისო ინტერესებს,"** - განაცხადა გენერალმა "არგუმენტი ი ფაქტის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე.

რუსი პოლიტიკოსებიც არ მიიჩნევენ მიზანშეწონილად არასტაბილური საქართველოს პირობებში სამხედრო ბაზების საკითხის პრინციპულად დაყენებას.

"რუსეთი ასრულებდა და ასრულებს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს, მაგრამ არა საკუთარი სტრატეგიული ინტერესების საზიანოდ," - განაცხადა რუსეთის სენატის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ მიხაილ მარგელოვმა. იგი ამბობს, რომ რუსეთის საზღვრების საიმედოობა და სტაბილურობა მეზობელ ქვეყნებში ოფიციალური მოსკოვის ერთადერთი პოზიციაა, რაც გადახედვას არ ექვემდებარება.

## მოკლედ

### ესროლეს ირინა სარიშვილის ბინას

გუშინ, 22 საათსა და 7 წუთზე ესროლეს ყიფშიძის ქუჩაზე მდებარე ირინა სარიშვილის ბინას. საცხოვრებელი კორპუსის მესამე სართულზე მდებარე ბინის ფანჯარას მოხვდა ერთი ტყვია, რომელიც ფანჯრის მოპირდაპირე მხარეს რკინის კარებმა შეაჩერა. როგორც იმ დროს სახლში მყოფმა ირინა სარიშვილმა განაცხადა, მას სროლის ხმა არ გაუგია. ამასვე აღნიშნავენ იმ დროს შემთხვევის ადგილზე მყოფებიც. საბედნიეროდ, ირინა სარიშვილის შვილები სახლში არ იმყოფებოდნენ. არსებობს ვერსია, რომ გასროლა მოხდა მოპირდაპირე მხარეს მდგარი კორპუსის სადარბაზოდან. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ტყვიის გულა. მიმდინარეობს გამოძიება. შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ განაცხადა, რომ ბოლომდე მიიყვანენ ამ საქმეს და დაუსჯელი არავინ დარჩება.

*24 საათი*

### ბუშის და პუტინის სატელეფონო საუბარი

ამერიკის შეერთებული შტატების და რუსეთის პრეზიდენტებმა ჯორჯ ბუშმა და ვლადიმირ პუტინმა სატელეფონო საუბრის დროს საქართველოში შექმნილი ვითარება განიხილეს.

როგორც რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის პრეს-სამსახური იუწყება, ბუშმა მაღალი შეფასება მისცა რუსეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რომელთა მიზანი იყო საქართველოში "რადიკალური სიტუაციის განვითარების თავიდან აცილება".

პრეზიდენტები ასევე შეთანხმდნენ, რომ საქართველოში ვითარების სტაბილიზაციას ხელს შეუწყობს მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების საერთაშორისო მონიტორინგის უზრუნველყოფა. ***ინტერ-პრესი***

### ამერიკული "დესანტი" საქართველოში

აშშ-ს მთავრობის უწყებათაშორისო დელეგაცია 3-6 დეკემბერს თბილისში მოლაპარაკებებს გამართავს საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან, მათ შორის - პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძესთან, სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან და პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, დელეგაციაში შევლენ თეთრი სახლის აპარატის, სახელმწიფო დეპარტამენტის, ფინანსთა, თავდაცვის და იუსტიციის სამინისტროების, ასევე ვაჭრობისა და განვითარების და საერთაშორისო განვითარების სააგენტოების წარმომადგენლები. ჯგუფს უხელმძღვანელებს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ლინ პასკო.

მოლაპარაკებებზე ყურადღების ცენტრში იქნება ამერიკულ-ქართული ურთიერთობების საკითხები. გარდა ამისა, შეერთებული შტატების დელეგაციის წევრები ქართველ კოლეგებთან განიხილავენ არჩევნების ჩასატარებლად ქვეყნისთვის კონკრეტული დახმარების გაწევის და პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერის საკითხებს. **პრაიმ-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**მაასტრიხტი.** მოსკოვი ნებისმიერი "სამკუთხედის" შექმნის წინააღმდეგია, მათ შორის რუსეთი-საქართველო-აშშ-ს ურთიერთობებში, განუცხადა სამშაბათს ჟურნალისტებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა. "ჩვენ ვიყავით საქართველოსა და მოლდოვას საშინაო საქმეებში ჩარევის მოწმეები, მაგრამ არა რუსეთის, არამედ სხვა სახელმწიფოების მხრიდან", - დასძინა მან.

რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა იმედი გამოთქვა, რომ რამდენიმე დღეში შეხვდება კოლინ პაუელს და გაარკვევს, თუ რას გულისხმობდა იგი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიგი წერეთელმა საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი უშიშროების საკითხებში დევიდ სმიტი მიიღო. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური მოძრაობა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" მიიჩნევს, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები საქართველოში გაზაფხულზე ადრე არ უნდა ჩატარდეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიგი წერეთელმა ლიტვის სეიმის წარმომადგენლობითი დელეგაცია მიიღო. შეხვედრაზე გაირკვა, რომ საქართველოში შექმნილი რთული ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისული სიტუაციის დასაძლევად იანვრის თვეში ლიტვის მთავრობა ჰუმანიტარულ დახმარებას გამოგზავნის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გააუქმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება ზუგდიდში მაჟორიტარული საპარლამენტო არჩევნების შედეგების დამტკიცების თაობაზე და ცესკო-ს დაავალა, ამ ოქში ჩატარებული არჩევნების შედეგები ხელახლა დათვალოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის" ლიდერი გიორგი კობახიძე მიიჩნევს, რომ მისი ორგანიზაციის, "სახალხო პარტიის" ლიდერის მამუკა გიორგაძის და "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ყოფილი ხელმძღვანელის ირინა სარიშვილის კვლავ ერთ პარტიაში - ედპ-ში გაერთიანებისთვის საჭირო ბაზა, ჯერჯერობით, არ არსებობს. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# კანცელარიაში ცხოვრების რიტმიც იცვლება

ლელა მჭედლიძე

*ამიერიდან არც ტრადიციული რადიოინტერვიუ იქნება, არც ოთხშაბათის მთავრობის სხდომები. მუშაობის დადგენილი გრაფიკი ახალმა ხელისუფლებამ ძველს თან გაატანა. ამიერიდან პრეზიდენტი, როგორც მოქმედი, ისე მომავალი, კვირის ყველა დღეს "მთელი მასმედიის საკუთრება" იქნება და არა ერთი კონკრეტული გაზეთისა ან არხის.*

**"ყველა ჟურნალისტი ერთნაირ სამუშაო პირობებში უნდა ჩავაყენოთ. ნებისმიერი ინფორმაცია, თუ, რა თქმა უნდა, იგი სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენს, ჟურნალისტებისთვის ხელმისაწვდომი გახდება. ახლა მთავრობის სხდომების გამართვა კვირის რომელიმე დღეს სავალდებულო არ იქნება. სხდომები გაიმართება იმის მიხედვით, როგორც ამას ვითარება მოითხოვს,"** - განმარტავდა გუშინ გიორგი არველაძე. სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის უფროსის, უფრო მოკლედ კი - ახალი პრესმდივნისთვის წინა მთავრობის სხდომები "ექსგიბიციონიზმის გამოხატულება იყო". ახალი სხდომები კი უფრო შინაარსობრივი და ხანმოკლე იქნება. თუმცა, გარკვეული საინფორმაციო შეხვედრების გარდა, მოქმედი პრეზიდენტის მხრიდან დაუგეგმავი პრესკონფერენციებიც იქნება. მთავარი მაინც ის არის, რომ ახალი პრესსამსახური ყველაფრის თუ არა, ბევრი რამის გაკეთებას აპირებს საიმისოდ, რომ **"ჟურნალისტმა სახელმწიფო კანცელარიაში თავი ადამიანად იგრძნოს".** სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის უფროსის თქმით, კანცელარიაში ჟურნალისტებისთვის პრესკაფე და საინფორმაციო ოთახი შეიქმნება. ბუნებრივია, საამისოდაც გარკვეული თანხების მოძიებაა საჭირო. არველაძემაც გადაწყვიტა, დამოუკიდებელ აუდიტორულ კომპანიას დაავალოს იმის გარკვევა, თუ რა თანხები დაიხარჯა მისი წინამორბედის მიერ და კონკრეტულად რა ფასეულობას ფლობს ახლა სახელმწიფო კანცელარიის პრესსამსახური.

გუშინ არველაძის დაპირებები კანცელარიაში აკრედიტებული ჟურნალისტებისთვის საკმაოდ სასიამოვნო მოსასმენი გახლდათ. საქმე მხოლოდ ის არის, რომ გიორგი არველაძე ამ დაპირებების შესასრულებლად დროში ცოტა შეზღუდულია. **"არ ვიცი, დავრჩები თუ არა ამ თანამდებობაზე საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ,"** -მორიდებით აცხადებდა არველაძე, რომელიც ახალ თანამდებობაზე, ტრადიციისამებრ, მოქმედმა პრეზიდენტმა დანიშნა, თუმცა მისი კანდიდატურა "ხავერდოვანი რევოლუციის" სამივე წინამძღოლთან იყო შეთანხმებული.

# დენის ტარიფი აღარ გაიზრდება

მაია ურუშაძე

**"ელექტროენერგიის ტარიფი აღარ გაიზრდება,"** – ოფიციალურად ამცნო ჟურნალისტებს გუშინ პრეზიდენტის პრეს-მდივანმა გიორგი არველაძემ. მისი თქმით, სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიას, ახალი მთავრობის სხვა წარმომადგენლებს, "თელასის" ხელმძღვანელობასა და რუსულ მხარეს შორის გამართული მრავალდღიანი მოლაპარაკებებისა და ინტენსიური კონსულტაციების შედეგად, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ელექტროენერგიის ტარიფი აღარ გაიზრდება. **"ტარიფის გაზრდა არათუ გადავადდება, როგორც ეს ადრე მოხდა, არამედ საერთოდ აღარ გაიზრდება,"** – განაცხადა გუშინდელ საგანგებო ბრიფინგზე გიორგი არველაძემ.

შეგახსენებთ, რომ 1 სექტემბერს ელექტროენერგიის ტარიფი 12,4 თეთრიდან 13,7 თეთრამდე უნდა გაზრდილიყო, მაგრამ მოგვიანებით, ახალი ტარიფის ამოქმედება 1 დეკემბრამდე გადაიდო. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობას ელექტროენერგიის საფასურის ახალი – გაზრდილი ტარიფით გადახდა უკვე უნდა დაეწყო. **"ჩვენ შეგვიძლია ვახაროთ საქართველოს მოსახლეობას, რომ ტარიფის ზრდის კატასტროფული პროცესი საბოლოოდ შეჩერდა: ეს საფრთხე თბილისის მოსახლეობას აღარ ემუქრება. ამასთან, მიმდინარე კონსულტაციების საფუძველზე, ყოველგვარი წინაპირობა არსებობს იმისათვის, რომ დედაქალაქს მთელი ზამთრის განმავლობაში 24-საათიანი ელექტრომომარაგება ჰქონდეს,"** – განაცხადა არველაძემ და მოუწოდა მოსახლეობას, რომ 12,4 თეთრზე შენარჩუნებული ტარიფით, დენის საფასური აუცილებლად გადაიხადონ. ეს მოწოდება, მეტწილად, თბილისის უმრიცხველოდ დარჩენილი უბნების მოსახლეობას უფრო ეკუთვნის, ვინაიდან გამრიცხველიანებულ უბნებში ელექტროენერგიის საფასურის ამოღების პრობლემა, ფაქტობრივად, არ დგას.

## გამოხმაურება

გაზეთ "24 საათის" 1 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა ზვიად რუაძის სტატია "კახეთში ახალი მთავრობა ძველი სახეებით კომპლექტდება." ამ საკითხთან დაკავშირებით სტატიაში მოყვანილია მალხაზ ბეგიაშვილის კომენტარი, რომელიც კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის კანდიდატურად მოიაზრება. სტატიაში მოყვანილი რამოდენიმე ინფორმაცია დაზუსტებას საჭიროებს. კერძოდ მალხაზ ბეგიაშვილმა, რომელიც გახლდათ სიღნაღის რაიონის გამგებელი, ეს თანამდებობა დატოვა 2001 წელს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, პირადი ინიციატივით და ექსგუბერნატორ ბიძინა სონღულაშვილს არ გაუთავისუფლებია ბიუჯეტის შეუსრულებლობის გამო, როგორც ეს სტატიაშია მოცემული.

გარდა ამისა, მალხაზ ბეგიაშვილი ცალსახად უარყოფს კულუარულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თითქოს ბიძინა სონღულაშვილი ყოველთვიურად ითხოვდა მისგან 5000 ლარს.

*"გაერთიანებული დემოკრატების" პრესსამსახური*

# ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს

პირველი გვერდიდან

ზურაბ ჭიაბერაშვილი წინასწარვე უშვებს იმის ალბათობას, რომ გაჩნდება დამატებითი სიების საჭიროება. ოღონდ, ცესკო-ს თავმჯდომარე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამის შესახებ მოსახლეობა წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული.

როცა გამყალბებლების დასჯის საკითხი დაისვა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს შოთა დოლონაძესა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის სიტყვიერი შელაპარკება გაიმართა. დოლონაძე ამტკიცებს, რომ უცხოეთის უბნებზე ხელისუფლებას ხმები არ გაუყალბებია: **"თუ კარგად დავაკვირდებით, მონაცემები მოწმობენ, საზღვარგარეთ სახელისუფლებო ბლოკმა წააგო..."**

**"ძალიანაც გვინდოდა დაკვირვება, მაგრამ ამის უფლება არ მოგვცეს - მოსკოვში უშიშროების ფედერალური სამსახურის კურსანტებმა ჩვენი დამკვირვებლები უბნებზე არ შეუშვეს. ის, რაც საზღვარგარეთის უბნებში მოხდა, არ მომხდარა თვით მარნეულშიც... დღემდე ვკითხულობ, თუ ვინმე არის ნამყოფი ქალაქ სვეტლოგრადში, მაგრამ დადებითი პასუხი ვერავისგან მივიღე. ამ არარსებულ ქალაქში 1974 ამომრჩეველია რეგისტრირებული. მათგან ყველამ სახელისუფლებო ბლოკს მისცა ხმა,"** - ფონდ "ღია საზოგადოება – საქართველოს" წარმომადგენელი კახა ლომაია აცხადებს, რომ უცხოეთში მომუშავე ჩვენმა საკონსულოებმა და საელჩოებმა ყველაფერი გააკეთეს არჩევნების გასაყალბებლად.


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*პრობლემები ბევრია, დრო კი ცოტა - ბარამიძეს და ჭიაბერაშვილს საფიქრალი ბევრი აქვთ.*

მათ, ვინც წინა არჩევნებში გამყალბებელთა დასჯის საკითხი დააყენა, მინისტრმა გიორგი ბარამიძემ აუხსნა, რომ გამოძიების დასრულების შემდეგ ყველა დამნაშავე პასუხს აგებს კანონის წინაშე. თუმცა, ხელისუფლება ამ პროცესის დასრულებას ვერ დაელოდება და საპრეზიდენტო არჩევნების ვადას ვერ გადასწევს.

გუშინდელ შეხვედრაზე კახა ლომაიამ ამჟამინდელი ხელისუფლების და მოსახლეობის გასაგონად განაცხადა: **"მთავარია არსებობდეს ასპროცენტიანი სისუფთავე, ასპროცენტიანი ჭეშმარიტება და სიმართლე. ტექნიკურ ხარვეზებს ყველაფერი ეშველება... ის ხელისუფლება ხალხმა გადააყენა დარღვევების გამო, ტყუილში დაიჭირა და გადააყენა. თუ დღევანდელი ხელისუფლებაც არჩევნებს მიზანმიმართულად გააყალბებს, მასაც იგივე ბედი ეწევა, რაც წინას დაემართა."**

დღეს პირველი საქმიანი შეხვედრა გაიმართება ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილსა და თავდაცვის მინისტრის მოადგილე დავით თოდუას შორის, რომელიც უშუალოდ საარჩევნო სიების საკითხს კურირებს.

# დევიდ სმიტი: ივანოვის მოქმედებამ მეც დამაბნია

პირველი გვერდიდან

- აბსოლუტურად გეთანხმებით, ეს ასეა.

**- რა არის დონალდ რამსფელდის ვიზიტის მიზანი საქართველოში, მხარდაჭერის გამოხატვა?**

- ჩვენ საქართველოს უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში დიდი ხანია, ვეხმარებით. გვინდა, რომ საქართველოს პროფესიული არმია ჰყავდეს და, ამ თვალსაზრისით, გარკვეული პროგრესი უკვე სახეზეა. წარმატებულად მიმდინარეობს "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა და რამდენადაც ვიცი, 2004 წელს ახალი სამხედრო პროგრამა უნდა დაიწყოს.

ჩვენ, ასევე, ვთანამშრომლობთ მესაზღვრეებთან, შინაგან ჯართან და გვინდა, რომ ამ სფეროში რეფორმები დაიწყოს და ძველი სისტემა შეიცვალოს.

მე ზუსტად არ ვიცი, კონკრეტულად რაზე ისაუბრებს ამერიკის თავდაცვის მინისტრი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მაგრამ ამ საუბრის თემა აუცილებლად იქნება უსაფრთხოების სფეროში საქართველოსა და ამერიკას შორის მომავალი თანამშრომლობა.

**- რევოლუციის დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა საკმაოდ დადებითი როლი ითამაშა, რამაც მეტნაკლები გაურკვევლობა დაბადა, რადგან არავის არ აქვს ილუზია, რომ რუსეთის პოლიტიკა ერთ დღეში შეიძლება ასე რადიკალურად შეცვლილიყო. თქვენ როგორ ახსნით ამას?**

- საგარეო საქმეთა მინისტრ ივანოვის მოქმედებამ მეც ისევე დამაბნია, როგორც ბევრი ის ადამიანი, რომელიც ამ პროცესს თვალყურს ადევნებდა. მეჩვენება, რომ ივანოვმა იმ დღეს კონსტრუქციული როლი შეასრულა. თუმცა, რა ხდებოდა დახურულ კარს მიღმა მოლაპარაკებების დროს, ეს მე არ ვიცი. ძნელი სათქმელია, ზუსტად როგორ აღიქვამს აქ მიმდინარე მოვლენებს რუსეთი. მაგრამ ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, მის ინტერესებში უნდა შედიოდეს ის, რომ საქართველო ძლიერი და დემოკრატიული იყოს.

**- მაგრამ რუსეთს არასოდეს ჰქონია ასეთი გონივრული მიდგომა საქართველოსთან.**

- დიახ, ეს ასეა და მე ამ პრობლემაზე ბევრი სტატია დამიწერია. მაგრამ იმედი მაქვს, მოსკოვში უკვე დაიწყეს იმის გაანალიზება, რომ ასეთი პოლიტიკა არც რუსეთის და არც საქართველოს ინტერესებში არ შედის.

თუმცა, რუსეთს მხოლოდ მაშინ შეუძლია დაამტკიცოს, რომ საქართველოს მიმართ მისი ხედვა შეიცვალა, თუ ის აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთსა და აჭარასთან მიმართებაში კონსტრუქციულად და გონივრულად იმოქმედებს. ანუ, მალე გამოჩნდება, რა როლის თამაში სურს მას.

**- რა არის მთავარი გამოწვევა დღეს საქართველოს ახალი ხელისუფლებისთვის?**

- ამ ეტაპზე ახალი ხელისუფლების უმთავრესი გამოწვევაა, რომ თავისუფალი არჩევნები ჩაატაროს. ეს იყო ოპოზიციის ლიდერების მთავარი პრეტენზია ძველი მთავრობის მიმართ. ამიტომ მათ ახლა უნდა შეძლონ იმის დამტკიცება, რომ დამოუკიდებელი და თავისუფალი არჩევნების ჩატარება შეუძლიათ.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალმა ხელისუფლებამ საერთაშორისო თანამეგობრობის ნდობა ბოლომდე მოიპოვოს და ქვეყანაში დიდი დახმარება მოიზიდოს.

შემდეგ კი ყველაზე დიდი გამოწვევა - ეს კორუფციაა. არაფერი არ გაკეთდება საქართველოში მანამ, სანამ ახალი ხელისუფლება კორუფციის წინააღმდეგ სერიოზულ და ნამდვილ ბრძოლას არ დაიწყებს და ფინანსურ პრობლემებს არ გამოასწორებს, რადგან, ძალიან ძნელია სხვადასხვა სფეროში გასატარებელ რეფორმებზე საუბარი, თუ ქვეყანაში სტაბილური საფინანსო სისტემა არ არსებობს. ასეთი სისტემის ჩამოყალიბება კი კორუფციასთან ბრძოლით უნდა დაიწყოს.

**- საქართველოს ყოველთვის ჰქონდა სურვილი, ნატო-სა და ევროკავშირის წევრი გამხდარიყო. როგორ ფიქრობთ, ამ რევოლუციამ გაზარდა საქართველოს შანსი?**

- მე ვფიქრობ, რომ გაზარდა. მაგრამ მაინც რეალისტები უნდა ვიყოთ. საქართველომ დაამტკიცა, რომ პოლიტიკურად მომწიფებული, გონიერი და დემოკრატიული ერია. თქვენ აჩვენეთ, რომ ევროპის ნაწილი ხართ. ახლა უნდა დაამტკიცოთ, რომ რეფორმების გატარების გზით, შეგიძლიათ წარმატებული, დემოკრატიული ქვეყანა ააშენოთ.


საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

საქართველოს ბანკი, დაარსებიდან 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით, აცხადებს კონკურსს სამიჯო ვიდეორგოლის ან ვიდეორგოლების სერიების სცენარზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დამოუკიდებელ პროფესიონალებს, სარეკლამო კომპანიებს, კინო-ვიდეოსტუდიებს და საპროდუსერო ორგანიზაციებს.

გამარჯვებული წინადადებებისათვის დაწესებულია:

1. პირველი პრემია - 1000 ლარი
2. მეორე პრემია - 500 ლარი
3. მესამე პრემია - 300 ლარი

წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 2 თებერვალი.

განაცხადები შემოტანილი უნდა იქნას დევიზით მისამართზე: ქ. თბილისი, პუშკინის ქ. №3. ტელ. 444-248; ელ.ფოსტა concurs@bog.ge


# საპარლამენტო არჩევნები, სავარაუდოდ, აპრილში გაიმართება

## პროკურატურა არჩევნების გაყალბების ფაქტზე გამოძიებას იწყებს

*ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პრეზიდენტობის მსურველთა განაცხადების წარდგენის ვადა გუშინ ამოიწურა. დღეისათვის, საქართველოს პრეზიდენტობაზე პრეტენზიას თხუთმეტი კანდიდატი აცხადებს.*

თამარ ასათიანი

ამ თხუთმეტ კანდიდატს შორის არიან:

**მიხეილ სააკაშვილი ("ნაციონალური მოძრაობა"), როინ ლიპარტელიანი (საინიციატივო ჯგუფი), ზურაბ ქელეხსაშვილი (პოლიტიკური გაერთიანება "მძლეველი"), ქართლოს ღარიბაშვილი ("საქართველოს ადვოკატები"), იგორ გიორგაძე (საინიციატივო ჯგუფი), გიორგი ყორღანაშვილი (საინიციატივო ჯგუფი), ბიძინა ხარიბეგაშვილი (პირადი განცხადება), ვაჟა ჩხაიძე (საინიციატივო ჯგუფი), ზაზა სიხარულიძე (საინიციატივო ჯგუფი), თემურ შაშიაშვილი (საინიციატივო ჯგუფი), გია ჩხიკვაძე (საინიციატივო ჯგუფი), სერგო ავქსენტიევი (საინიციატივო ჯგუფი), ელენე სტეფნაძე (საინიციატივო ჯგუფი), ლია ამანათაშვილი (საინიციატივო ჯგუფი), იური მკრტუმიანცი (საინიციატივო ჯგუფი).**

ბუნებრივია, მათი რიცხვი ათი დღის შემდეგ საგრძნობლად შემცირდება, რადგან საეჭვოა, თხუთმეტივე მათგანმა 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერის შეგროვება შეძლოს.

ჯერჯერობით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უშიშროების ექსმინისტრის იგორ გიორგაძის რეგისტრაციაში გატარების შესაძლებლობის თაობაზე არაფერს ამბობენ.

ეს საკითხი მოგვიანებით გადაწყდება, მაშინ, როდესაც კანდიდატების მხარდამჭერთა ხელმოწერების გადამოწმების პროცესი დასრულდება და ცესკო კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარებას შეუდგება. თუმცა, უკვე დღეს შეიძლება ითქვას, რომ იგორ გიორგაძეს საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნება, რადგან ყველა შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ექსმინისტრს ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში არ უცხოვრია.

გუშინ ცესკო-ში განაცხადი არ შეუტანია ახალი სახალხო მოძრაობის ერთიან კანდიდატს. ასე რომ, ყველა ნიშნის მიხედვით, ეს მოძრაობა მხარს იმერეთში პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულს თემურ შაშიაშვილს დაუჭერს. სავარაუდოდ, სწორედ შაშიაშვილის ირგვლივ შემოიკრიბებიან ექსპრეზიდენტ შევარდნაძის მხარდამჭერებიც.

თუმცა, როგორც ვთქვით, კანდიდატთა საბოლოო რაოდენობა ათ დღეში გაირკვევა. იქამდე კი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სხვა პრობლემების გადაჭრა უწევს.

საქმე ის არის, რომ ორი ნოემბრის პროპორციული არჩევნების შედეგების გაუქმების შემდგომ, კანონის თანახმად, ახალი არჩევნები ზუსტად ორი თვის თავზე უნდა გაიმართოს, ანუ, 25 იანვარს.

გუშინ ცესკო-მ, თავისი დადგენილებით, არჩევნების გამართვის დღედ სწორედ ეს თარიღი დაასახელა. თუმცა, ამის მიუხედავად, დღეს პოლიტიკურ სპექტრს და თავად ცესკო-ს წევრებს შესანიშნავად ესმით, რომ ამ მოკლე პერიოდში საპარლამენტო არჩევნებისთვის აუცილებელი საარჩევნო პროცედურების გამართვა თითქმის წარმოუდგენელია. ცესკო-ს წევრთა განმარტებით, ამ მოკლე პერიოდში კენჭისყრის პროცესის უზრუნველყოფა ბევრ მაღალმთიან რაიონშიც შეუძლებელი იქნება.

თანაც, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში 52 დეპუტატის საკონსტიტუციო სარჩელი უკვე შესულია. ისინი მაჟორიტარული არჩევნების შედეგების გაუქმებას ითხოვენ. თუკი სასამართლო ამ სარჩელს დააკმაყოფილებს, მაშინ საქართველოში ორივე – პროპორციული და მაჟორიტარული საპარლამენტო არჩევნები უნდა გაიმართოს.

აქედან გამომდინარე, გუშინ ცესკო-მ საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს ოფიციალური განცხადებით მიმართა, სადაც კომისიის წევრები საპარლამენტო არჩევნების ვადის გადაწევასა და ახალი, გონივრული ვადის დანიშვნას სთხოვენ.

ცესკო-მ ამ მიმართვაში არ დააკონკრეტა ახალი საპარლამენტო არჩევნების მისთვის სასურველი თარიღი, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, იგი აპრილის ბოლოსთვის იგეგმება.

და ბოლოს: გუშინ გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა ცესკო-ს აპარატის ყველა თანამშრომლის დაკითხვა დაიწყეს. შეგახსენებთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანმა არჩევნებმა" პროკურატურას არჩევნების გაყალბების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოსთხოვა.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, დაიკითხება ყველა ის ადამიანი, ვისაც უშუალოდ ჰქონდა შეხება შემაჯამებელ ოქმებსა და ხელახალი გადათვლის პროცესთან. ბუნებრივია, მათ შორის ძველი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებიც იქნებიან.

# ასათიანი შუამავლის როლისთვის ემზადება

*აკაკი ასათიანმა გაერთიანებული ოპოზიციის ბანაკი დატოვა, თუმცა, როგორც ირკვევა, არა უკანმოუხედავად. ამასთან, ასათიანი, ისევ მისი კატეგორიული განცხადებიდან გამომდინარე, მაშინვე პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილთან დაპირისპირებულთა ბანაკს მიაკუთვნეს. თუმცა, ფაქტია, რომ ცხოვრებაში, მით უფრო კი - პოლიტიკაში, მართლაც "არასოდეს უნდა თქვა არასოდეს".*

ლელა მჭედლიძე

გუშინ "ტრადიციონალისტების" მეთაური სახელმწიფო კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრს შეხვდა. ჟვანიასთან საუბრის შემდეგ კი იგი კანცელარიას უკვე საკმაოდ კარგი, ნაკლებად რადიკალური განწყობით ტოვებდა. ასათიანი ახლა უკვე "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის განცხადებების და არა თავად სააკაშვილის მიუღებლობაზე საუბრობს. იგი მიიჩნევს, რომ **"სააკაშვილს ახლა საკმარისი პასუხისმგებლობა აქვს აღებული და ამიტომ კიდევ დამატებითს უნდა მოერიდოს".** ახალი პასუხისმგებლობა კი მას იმ ლოზუნგების გამო ეკისრება, რომელსაც ბატონი მიხეილი ხალხს უხვად აძლევს და რომლებიც, ასათიანის თქმით, ნაკლებად შესრულებადია. ეს კი, ბატონი კაკოს დასკვნით, "უბრალოდ, ხალხის მოტყუებაა". თუმცა, უახლოეს მომავალში ასათიანი მაინც შესთავაზებს თავის დახმარებას მიხეილ სააკაშვილს. მთავარმა "ტრადიციონალისტმა" საკუთარ თავზე, ფაქტობრივად, იმ როლის აღება გადაწყვიტა, რისი შესრულების სურვილი და პრეტენზია ადრე "სოციალისტ" ვახტანგ რჩეულიშვილს ჰქონდა. საუბარია ცენტრსა და რეგიონს შორის შუამავლის სტატუსზე. ასათიანი მზად არის, ასლან აბაშიძესა და მიხეილ სააკაშვილს შორის გარკვეული კონსენსუსის მისაღწევად მუშაობა დაიწყოს. იმის დასამტკიცებლად, რომ საამისოდ მას გარკვეული გზები და უნარი ნამდვილად გააჩნია, ალბათ თავად ასათიანის განცხადებაც კმარა: ასლან აბაშიძეს, ზურაბ ჟვანიას მსგავსად, ვესაუბრე და იგი საპარლამენტო არჩევნების გადადების მომხრეა, რადგან ორი არჩევნების ერთდროულად ჩატარება ნამდვილად წარმოუდგენელი რამ არისო.

ზურაბ ჟვანიასთან კი ასათიანს ახლა საკონსტიტუციო ცვლილებების სურვილი აერთიანებს. მინისტრთა კაბინეტის შემოღების იდეას, რომელიც ასათიანს თავში, ვინ იცის, რამდენი ხანია უტრიალებს, ახლა ახალი სახელმწიფო მინისტრიც იზიარებს. ვინაიდან ასათიანის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, ახალმა ხელისუფლებამ ცესკო-ს დაკომპლექტების წესი აღარ შეცვალა, ასათიანი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საკუთარი კანდიდატურის წამოყენების სურვილს აღარ შეუწუხებია.

რაც შეეხება პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებს, ასათიანი არჩევანის გაკეთებაზე, ალბათ, ცოტა იყოყმანებს, რადგან გუშინ გული მას ცოტათი როინ ლიპარტელიანისკენაც მიუწევდა.

# USAID-ის გადაწყვეტილებით, აჭარაში ენერგოუსაფრთხოების პროგრამის განხორციელება შეწყდება

*აჭარაში, საპარლამენტო არჩევნებში დამკვირვებლის გიორგი მშვენიერაძის დაპატიმრების გამო, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებით, ენერგოუსაფრთხოების პროგრამის განხორციელება შეწყდება. ასეთი ინფორმაცია გაავრცელა გუშინ PA Consulting-მა.*

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ინიციატივის პროგრამის (GESI) თემთა მობილიზების კომპონენტი მიზნად ისახავს, საქართველოს ათი პარტნიორი რეგიონალური თემის ხელშეწყობას ენერგომომარაგებისა და ეკონომიკური განვითარების ალტერნატივების დადგენისა და განვითარების გზით; ძირითადი აქცენტი გაკეთდება როგორც სახელმწიფო ელექტროსისტემიდან მიწოდების აღდგენაზე, ასევე განახლებად ენერგიასა და ენერგოეფექტურობაზე. პროგრამის აღნიშნული კომპონენტის მიზანს წარმოადგენს ამ თემებისთვის ენერგორესურსების განვითარება და მოსახლეობისთვის ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობების გაფართოება.

"ფი-ეი კონსალტინგმა" (PA Consulting), რომელიც თემთა მობილიზების პროექტს ახორციელებს ვინროქ ინტერნეშენალსა (Winrock International) და ფონდ ჰორიზონტთან ერთად, მიიღო აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს თანხმობა, შერჩეულ ათ თემში გააგრძელოს მუშაობა. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ, თავდაპირველად, პროგრამაში ჩართული იყო აჭარის რეგიონში მდებარე სოფელი დაგვა. თუმცა, ბ-ნ გიორგი მშვენიერაძის დაპატიმრების გამო, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილების შედეგად, აღნიშნული თემი ამოღებული იქნა მისაღები პარტნიორების სიიდან.

ქვემოთ მოყვანილია საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე შერჩეული ათი თემი:

ნერგეთი (იმერეთის რეგიონი), ლიხაური (გურია), თეკლათი (სამეგრელო), აგარა (რაჭა), ფშაველი (კახეთი), რატევანი (ქვემო ქართლი), სპასოვკა (სამცხე-ჯავახეთი), ბრეთი (შიდა ქართლი), ვედრება (შიდა ქართლი), თამარიანი (კახეთი).

პროექტის ჯგუფის წევრები (ფიეი ქონსალთინგი, ვინროქი და ჰორიზონტი) ითანამშრომლებენ ადგილობრივ თემებთან და რეგიონალურ ექსპერტებთან აღნიშნულ თემებში პოტენციური განახლებადი-ალტერნატიული ენერგიისა და ენერგიის დაზოგვის შესაძლებლობების დასადგენად. ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება მინი და მცირე ჰიდროელექტროსადგურების, ბიომასისა და ბიოგაზის გამოყენებაზე, ხე-ტყის რესურსებით უზრუნველყოფის და ეკოლოგიურად სუფთა წიაღისეული საწვავით (ბუნებრივი გაზი) მომარაგებაზე.

ენერგო, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ანალიზის შედეგების გათვალისწინებით მომზადდება თემის სამოქმედო გეგმები და მათ განსახორციელებლად საჭირო ფინანსური წინადადებები.

შეგახსენებთ, რომ USAID-ის "საქართველოს ენერგო-უსაფრთხოების" ოთხწლიანი პროგრამის დაფინანსება შეადგენს 35 მილიონ აშშ დოლარს. აღნიშნული თანხა წარმოადგენს აშშ-ს მთავრობის მიერ საქართველოს ენერგეტიკისადმი გამოყოფილ გრანტს.

*24 საათი*

# დედაქალაქში 3 ათასზე მეტი მსხვილი სავაჭრო ცენტრია

*სანამ საქართველოს დროებითი ხელისუფლება "ზედა ეშელონებში" საკადრო ცვლილებებს ახორციელებს, მომავალი ცვლილებების მოლოდინში (რა თქმა უნდა, შემთხვევით სულაც არა) აქტიურდებიან ის სამსახურები, რომელსაც კონტრაბანდასთან ბრძოლა, გაყიდვაში მყოფი პროდუქციის ხარისხის კონტროლი და სხვა მსგავსი ფუნქციების განხორციელება ევალება. გუშინ სპეციალური პრესკონფერენცია გაიმართა სერტიფიკაციის, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის დეპარტამენტ "საქსტანდარტში", სადაც ჟურნალისტებს განხორციელებული და განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ ანგარიში ჩააბარეს.*

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „საქსტანდარტის" პროდუქციის ხარისხის კონტროლის სამმართველოს უფროსმა ვასილ ქარსელაძემ განაცხადა, სერტიფიკაციის, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის დეპარტამენტი „საქსტანდარტი" ქვეყანაში არსებული სავაჭრო ობიექტების რაოდენობის დადგენას ცდილობს. მისი თქმით, „საქსტანდარტში" რეორგანიზაცია ერთი თვის წინათ დასრულდა, ამიტომაც სამუშაოები სრული მასშტაბით ჯერ არ დაწყებულა. პირველ ეტაპზე „საქსტანდარტმა" მიმართა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს და სავაჭრო ობიექტების განლაგების დაზუსტება სთხოვა.

სამუშაოები თბილისიდან დაიწყო. წინასწარი ინფორმაციით, მხოლოდ დედაქალაქში 3 ათასზე მეტი მსხვილი სავაჭრო ცენტრია. ამ სიაში არ შედიან ჯიხურები და გარე მოვაჭრეები. ამ ობიექტებში არსებული პროდუქციის ხარისხი სათანადო კონტროლს ვერ გადის.

ქარსელაძის ინფორმაციით, თბილისის სავაჭრო ქსელში დიდი რაოდენობით არასერტიფიცირებული, ვადაგასული და უხარისხო პროდუქცია იყიდება. „საქსტანდარტი" უახლოეს მომავალში მაღაზიებში, ბაზრებსა და ბაზრობებზე ფართომასშტაბიან შემოწმებებს გეგმავს. გუშინვე „საქსტანდარტმა" თბილისში, ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, 50-მდე დასახელების უხარისხო პროდუქცია შეიძინა და შეამოწმა.

**"ეს არ იყო ბაზრობის შემოწმება, რადგან მაკონტროლებელ ორგანოს ამაზე სასამართლოს ნებართვა სჭირდება,"** - აცხადებს ქარსელაძე. აღმოჩენილი დარღვევების საფუძველზე, არსებული კანონმდებლობის თანახმად, „საქსტანდარტი" მიმართავს სასამართლოს, რათა მიიღოს ნებართვა ბაზრობების საკონტროლო შემოწმებაზე.

"საქატანდარტში" ისიც განაცხადეს, რომ გარე ვაჭრობის ადგილებში, ძირითადად, უხარისხო პური იყიდება. როგორც პრესკონფერენციაზე „საქსტანდარტის" პურისა და პურპროდუქტების სამმართველოს უფროსმა ომარ კვირიკაძემ აღნიშნა, ორი დღის წინათ მათ თბილისში, ვაგზლის მოედანზე, მანქანებიდან შეიძინეს რამდენიმე დასახელების პური, ნამცხვარი და პურპროდუქტები;

"ჭვავის პური, რომელიც უნდა იწონიდეს 750 გრამს, აღმოჩნდა 300-გრამიანი, ამასთან ფერიც ჭვავის პურისა არ ჰქონდა. საქართველოში მოქმედი ნორმები დარღვეულია მეორე დასახელების — ძირის პურშიც, რომელიც წონით ორჯერ ნაკლები აღმოჩნდა," - ამბობს კვირიკაძე.

გარე ვაჭრობაში, ძირითადად, მცირე კერძო საცხობებისა და თონეების პური იყიდება. ამჯერად „საქსტანდარტს" შეძენილი პურის ლაბორატორიული გამოკვლევა არ ჩაუტარებია, თუმცა შარშან, როცა ანალოგიური გამოკვლევა ჩატარდა, პურის ხარისხში უამრავი დარღვევა იყო გამოვლენილი; მათ შორის - დარღვეული იყო ტენიანობა, მჟავიანობა, პურში დამატებული იყო გამაუმჯობესებლები. აღმოჩნდა ცხობის პროცესის დარღვევებიც.

ომარ კვირიკაძე აცხადებს, რომ დღეისთვის თითქმის არაფერი შეცვლილა. პურის ძირითადი მწარმოებელი ქარხნების პროდუქცია შედარებით უკეთესია და შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს, ხოლო მცირე საცხობების პურპროდუქტების ხარისხი კვლავაც დაბალია.

*24 საათი*

# ენერგოკომპანიამ გუშინ 88 ფიდერი გამორთო

გუშინ გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მანგლისის, აბაშის და მარტვილის რაიონულ ფილიალებს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. ქუთაისის, რუსთავის, გორის და ხაშურის ფილიალებში ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო 88 ფიდერია გამორთული.

კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის ავთანდილ დვალიშვილის ინფორმაციით, ენერგოსექტორში არსებული დეფიციტის გამო შესაძლებელია ელექტროენერგია ისეთ რაიონებსაც არ მიეწოდებოდეს, რომლებიც კომპანიის მიერ დაწესებული გრაფიკის მიხედვით უნდა მარაგდებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის 50-მა რაიონულმა ფილიალმა, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიერ დაწესებული ლიმიტით, დღე-ღამეში 50 მგვტ ელექტროენერგია უნდა მოიხმაროს, თუმცა ზამთრის სეზონთან დაკავშირებით კომპანია ლიმიტის გაზრდის შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებს საბითუმო ბაზართან. საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიერ დაწესებული ლიმიტის დასაცავად განსაკუთრებულ ზომებს მიმართავს.

კომპანიას თავისი წარმომადგენლები ეყოლება იმ რეგიონებში, სადაც ადგილობრივი დისპეტჩერები ელექტროენერგიის მოხმარების რაოდენობას არ ან ვერ აკონტროლებენ. ამ თემაზე გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია მოლაპარაკებებს მართავს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან.

ფილიალისთვის დაწესებული ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში, კომპანიის ხელმძღვანელობა გასცემს ბრძანებას მისი გრაფიკით შეზღუდვის ან საერთოდ გათიშვის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის ლიმიტს გადააჭარბეს სამტრედიის, ვანის, დუშეთის, ყაზბეგის და ჩხოროწყუს ფილიალებმა. **მედია-ნიუსი**

# ნოლაიდელი დაცული მუხლების დავალიანებების "აღმოფხვრას" თებერვლისათვის აპირებს

*360 მილიონი ლარით გარღვეული ცენტრალური ბიუჯეტი, სამი-ოთხი თვის დაუფინანსებელი ხელფასები, პენსიები და დაძაბული ურთიერთობები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან - ასეთ მძიმე მდგომარეობაში იბარებს ქვეყანას ახალი ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოლაიდელი. ქვეყანაში შექმნილი ფინანსური კრიზისის დასაძლევად, მინისტრის ვარაუდით, სულ ცოტა ხუთი-ექვსი თვე და გაათმაგებული მუშაობაა საჭირო. 2003 წლის მინიმალური დანაკარგებით დამთავრება და მომავალი წლის თებერვლიდან არც ერთი თეთრი სახელფასო და საპენსიო დავალიანება - ასეთი სულისკვეთებით იწყებს ნოლაიდელი მინისტრობის პირველ კვირას.*

ეთერ მამულაშვილი

დაძაბული და საქმიანი დღეების მიუხედავად, ფინანსთა ახალი მინისტრი ჟურნალისტებთან შესახვედრად დროს მაინც პოულობს და აუდიენციას სამინისტროში ოთხ საათზე ნიშნავს.

ნოლაიდელმა ქვეყანაში შექმნილი ფინანსური მდგომარეობის მოკლე ექსკურსის შემდეგ უახლოესი დღეებსა და თვეებში გასაკეთებელი საქმეები გაგვაცნო.

მინისტრის თქმით, ის საერთაშორისო დახმარებები, რომელიც ამ დღეებში წამოვა სხვადასხვა ქვეყნებიდან, მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების გარდა, პენსიების, ხელფასებისა და შემწეობების დაფინასებას მოხმარდება. საერთაშორისო დახმარების მოცულობა ზუსტად ამ დღეებში გაირკვევა. სავარაუდოდ, ის რამდენიმე ათეული მილიონი ამერიკული დოლარი იქნება. ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით, უახლოეს სამ-ოთხ დღეში შეიქმნება “სატრასტო” ფონდი, სადაც თავს მოიყრის სხვადასხვა ქვეყნების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი ფულადი დახმარება. ფინანსთა სამინისტრო მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან ერთად გადაწყვეტს, თუ რას, როგორ და რამდენი უნდა მოხმარდეს.

ფინანსთა მინისტრი ძველ ტრადიციას არც ამჯერად ღალატობს და აცხადებს, რომ მისი მეორედ გამინისტრების შემდეგაც პრიორიტეტად კვლავ რჩება დაცული მუხლების უწყვეტი დაფინანსება.

ზურაბ ნოლაიდელი გვპირდება, რომ განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანს შემოსავლების შემოდინებას ცენტრალურ ხაზინაში იმ შვიდი სექტორიდან, რომლის საშუალებითაც ფაქტიურად ხდება ბიუჯეტის შევსება. ესენია: თამბაქო, ალკოჰოლური სასმელები, ნავთობპროდუქტები, ავტომანქანები, სახელმწიფო და კერძო საწარმოები და საბანკო სექტორი.

დღეიდან მკაცრად იკრძალება გადასახადების წინასწარ ამოღება, ანუ ე.წ. “პრაკრუტკები”, საბანკო სესხების აღება შემოსავლების გეგმის შესრულების მიზნით და აქტივებით ვაჭრობა.

ნოლაიდელი პირობას დებს, რომ მკაცრად დადგება იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ხსენებულ ქმედებებს განახორციელებს. ეს და სხვა მსგავსი ინსტრუქციები ფინანსთა სამინისტროს ყველა თანამშრომელმა უკვე მიიღო.



ვახო ხეცურიანს ფოტო

*ნოლაიდელი "პრაკრუტკებზე" უარს ამბობს.*

მინისტრის უახლოეს გეგმებში შედის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, მათ შორის - სავალუტო ფონდთან ურთიერთობის მოგვარება და პარიზის კლუბში საქართველოს საგარეო ვალები რესტრუქტურიზაციაზე თანხმობის მიღწევა.

თუ მუშაობა ამ ტემპებით გაგრძელდება, მინისტრი ნოლაიდელი ვარაუდობს, რომ 2005 წლიდან მოყოლებული ქვეყნის ეკონომიკა 5-7 პროცენტით მოიმატებს.

რაც შეეხება ყბადაღებულ საკადრო ცვლილებებს – გუშინ, დილით ცნობილი გახდა, რომ საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების თავმჯდომარეებმა თანამდებობები დატოვეს. მათი შემცვლელების ვინაობა, ნოლაიდელის ინფორმაციით, დღეს გაირკვევა. შეგახსენებთ, რომ საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტის უფროსებს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. ნოლაიდელმა გუშინ კანდიდატურების დასახელებისგან თავი შეიკავა. კულუარებში საგადასახადოს შეფად - გიორგი ისაკაძეს, ხოლო ქვეყნის მთავარ მებაჟედ ლევან ქისტაურს ასახელებდნენ. თუმცა ამ ინფორმაციას ფინანსთა სამინიტროში, ოფიციალურად არც უარყოფენ და არც ადასტურებენ. სამაგიეროდ, უკვე ცნობილია, რომ მინისტრის მოადგილის ლაშა ჟვანიას პოსტზე გიორგი გოდაბრელიძე დაინიშნა.

# რა სჭირდებათ უცხოელ ინვესტორებს

პირველი გვერდიდან

ეკონომიკური ექსპერტის კახა დამენიას შეფასებით, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად ორი უმთავრესი ფაქტორია გასათვალისწინებელი - ქვეყნის პოლიტიკური, საკანონმდებლო თუ ეკონომიკური სტაბილურობა და ინვესტიციების უსაფრთხოება, ანუ ელემენტარული წესრიგის დამყარება. მისივე თქმით, ის გარემო, რომელიც საქართველოში არსებობდა, მარტივად რომ ითქვას, ძალიან ცუდი იყო და ამის მაგალითად თუნდაც ქვეყანაში მოღვაწე უცხოელი ბიზნესმენების გატაცებათა ფაქტები შეიძლება დასახელდეს.

იმ მოვლენას, რომ საქართველოში უცხოური ინვესტიციები მაინც შემოდიოდა, კახა დამენია ქვეყნის პოლიტიკური და გეოპოლიტიკური მნიშვნელობით ხსნის და აღნიშნავს, რომ ხშირი იყო პრეცედენტები, როცა ოფიციალურად არსებულზე მეტი ინვესტიცია ფიქსირდებოდა, რათა ამა თუ იმ ორგანიზაციას ან ფირმას ინვესტორებისათვის დაწესებული კანონმდებლობით სარგებლობის საშუალება ჰქონოდათ.

მისი შეფასებით, **"საქართველოში უცხოური კაპიტალის დაბანდებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად საჭიროა ე.წ. ბანალური კორუფციის მინიმუმამდე დაყვანა. სამომავლო სამოქმედო გეგმაში კი გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს ბაზრის სიმცირე და, აქედან გამომდინარე, ჰარმონიზაცია მოხდეს თუნდაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ბაზართან, ანუ ინვესტორებისათვის მოქმედი ძირითადი კანონმდებლობა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის იყოს ერთიანი."**

როგორ აფასებენ საქართველოში არსებულ საინვესტიციო გარემოს თავად ინვესტორები? მსოფლიო ბანკი ამჯერადაც ატარებს ორი წლის წინ განხორციელებული გამოკვლევების ანალოგიურ პროცესს და შედეგები უახლოეს მომავალში იქნება ცნობილი.

# "ბოინგის" თავკაცი გადადგა

ადამ მჭედლიძე

"ბოინგში" მიმდინარე მოვლენები, ბოლოს და ბოლოს, ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა: ავიაგიგანტის თავმჯდომარე და მთავარი აღმასრულებელი ფილ კონდიტი თანამდებობიდან გადადგა. **"ეს იმ მიზნით გავაკეთე, რათა ბოლო მოვუღო ყველა იმ მითქმა-მოთქმას, რომელიც ბოლო წელია თან გვდევს,"** – განაცხადა კონდიტმა.

მითქმა-მოთქმები შემთხვევითი და უსაფუძვლო ნამდვილად არ ყოფილა. რამდენიმე ხნის წინ "ბოინგი" თავისი კონკურენტის, "ლოკჰიდ მარტინის" წინააღმდეგ კომერციულ შპიონაჟში ამხილეს. გასულ კვირას კი თაღლითობისა და მაქინაციების გამო თანამდებობიდან გადააყენეს კომპანიის მთავარი ფინანსური ოფიცერი მაიკ სიარსი.

"ბოინგში" ფილ კონდიტის ადგილს მაკდონელ დაფლასის" ყოფილი შეფი ჰარი სტოუნსიფერი (იგი მთავარი აღმასრულებელი გახდება) და "ჰიულეტ პაკარდის" ყოფილი თავკაცი ლუის პლატი (იგი თავმჯდომარედ იქნება) დაიკავებენ. ამ პიროვნებებს რთული ამოცანების გადაჭრა მოუწევთ. სკანდალებს რომ თავი დავანებოთ, "ბოინგი" სერიოზულ სიძნელეებს განიცდის კომერციული თვითმფრინავების ბაზარზე, სადაც მას სერიოზულად ავიწროებს "ეარბასი." "ბოინგი", ალბათ, საერთოდ წაგებაზე იმუშავებდა, რომ არა დიდძალი შეკვეთები თავდაცვითი სფეროდან.

თუმცა, მაიკ სიარსი სწორედ თავდაცვით სფეროსთან კონტაქტებს შეეწირა. როგორც გაირკვა, იგი მომარაგების განყოფილების ოფიცრად დაქირავების თაობაზე აწარმოებდა მოლაპარაკებებს ერთ პიროვნებასთან, რომელიც იმ პერიოდში პენტაგონში მუშაობდა. იმის გათვალისწინებით, რომ "ბოინგი" პენტაგონისგან დიდძალ დაკვეთებს იღებს, ამას მეტად უსიამოვნო გამოხმაურება მოჰყვა და სიარსს თანამდებობის დატოვება მოუხდა. ამ ფაქტმა გავლენა მოახდინა კონდიტის კარიერაზე, რადგან სიარსი მის შესაძლო შემცვლელებში უპირველეს ფავორიტად სახელდებოდა.

"ბოინგს" მართლაც მძიმე დრო უდგას. მას შემდეგ, რაც "ლოკჰიდ მარტინის" წინააღმდეგ შპიონაჟში ამხილეს, პენტაგონმა "ბოინგისგან" 1 მილიარდი დოლარის ღირებულების კონტრაქტები უკან გამოიხმო და "ლოკჰიდ მარტინს" გადააბარა, ანუ ავიაგიგანტს პრობლემები აქვს შექმნილი სამხედრო სფეროშიც, რომელიც მისი შემოსავლის უმთავრეს წყაროდ რჩება.

## მოკლედ

### გერმანიის მთავრობა მზადაა საქართველოს დაეხმაროს

გერმანიის მთავრობა მზადაა, საქართველოს ფინანსური დახმარება გაუწიოს. დღეს სახელმწიფო კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს რწმუნებულს რაინერ გიორდელერს შეხვდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ რაინერ გიორდელერმა ჟურნალისტებს განუცხადა, **"გერმანია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველოს ამ გარდამავალ პერიოდში დახმარება გაუწიოს. გერმანია საქართველოს არა მარტო არჩევნების პერიოდში დაეხმარება ფინანსურად, არამედ ფინანსური დახმარება სხვა სექტორებსაც მოიცავს,"** - აღნიშნა გიორდელერმა, თუმცა მან არ დაასახელა, თუ რა რაოდენობის თანხით განისაზღვრება ფინანსური დახმარება. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი** მსოფლიო ბანკმა "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის" 500 ათასი დოლარი გამოყო. აღნიშნული თანხით კომპანიის ირლანდიელმა მმართველებმა ზეთი, მცველები და სხვადასხვა სათადარიგო ნაწილები შეიძინეს. გამოყოფილი თანხა არ შედის იმ მენეჯმენტ-პროექტში, რომელიც მსოფლიო ბანკის კრედიტით ხორციელდება და ტექნიკურ გადაიარაღებასთან ერთად, კომპანიაში უცხოელი მმართველების მუშაობის უზრუნველყოფას ითვალისწინებს. მსოფლიო ბანკმა 500 ათასი დოლარი კომპანიის მმართველი ESBI-ის თხოვნის საფუძველზე გამოყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საქართველოს მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის განყოფილების დირექტორი დონა დოუსედ კოიროლო და მსოფლიო ბანკის ახლად დანიშნული წარმომადგენელი საქართველოში როი სოუზვერტი ეწვევიან.

"მსოფლიო ბანკი მიესალმება იმ მშვიდობიან გზას, რომლითაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა. მზად ვართ, დავეხმაროთ ქართველ ხალხს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში, მივცეთ ქვეყანას ახალი ეკონომიკური და სოციალური შანსები და ხელი შევუწყოთ საზოგადოებრივი სექტორის განვითარებას, რაც მოსახლეობის ინტერესებს ეხმაურება," - განუცხადეს "ინტერპრესს" მსოფლიო ბანკის საქართველოს წარმომადგენლობაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოს საფონდო ბირჟაზე რიგით 92-ე ვაჭრობა გაიმართა. საქართველოს საფონდო ბირჟაზე დღეს სავაჭროდ წარდგენილი 19 კომპანიის აქციებიდან მხოლოდ ოთხის აქციები გაიყიდა. გაიყიდა "საქართველოს ბანკის", "ჭიათურმანგანუმის", "საკარცხულის" და "გაერთიანებული ქართული ბანკის" აქციები, რომელთა საერთო მოცულობამ 4821 ცალი, ღირებულებამ კი 5329,28 ლარი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2003 წლის 14-16 დეკემბერს, ბრიუსელში, ფორუმი "ევრომარკეტ - 2003" გაიმართება, რომლის მიზანს მთელი მსოფლიოდან ბიზნესმენების მოზიდვა და განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად მნიშვნელოვანი საქმიანი წინადადებების შემუშავება წარმოადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საქართველოში გამოგზავნილ დელეგაციაში, რომელიც თბილისში ამ კვირაში ჩამოვა, ენერგეტიკის სექტორის ერთი ექსპერტიც შედის. საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელთან - ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრისას ამერიკელი ექსპერტი USAID-ის და "PA consulting"-ის მიერ მომზადებული რეკომენდაციებით იხელმძღვანელებს და ქვეყნის ენერგეტიკაში შექმნილ მდგომარეობას ღიად შეაფასებს. **ინტერ-პრესი**



## ორი სიტყვით

**ბოსნია.** ბოსნიის პარლამენტმა ფართომასშტაბიანი სამხედრო რეფორმა დაამტკიცა, რომლის თანახმადაც, ეთნიკური ნიშნით დაყოფილი ქვეყნის არმია საერთო სარდლობას დაემორჩილება.

1995 წლის დეიტონის სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, ბოსნია სერბულ და მუსულმანურ-ხორვატულ ნაწილებად დაიყო. ორივე მხარეს საკუთარი საჯარისო ფორმირებები უნდა ჰყოლოდა.

მართალია, ამის შემდეგაც არმია ეთნიკური ნიშნით იქნება დაყოფილი, მაგრამ მათ ერთი უნიფორმა და დროშა ექნებათ და ისინი ბოსნიის კოლექტიურ სარდლობას დაემორჩილებიან. დამკვირვებლების განცხადებით, რეფორმა ზრდის ბოსნიის შანსებს, მონაწილეობა მიიღოს ნატო-ს პროგრამაში "პარტნიორობა მშვიდობისათვის," რაც ნატო-ს წევრობისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ბოსნიაში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების წარმომადგენელმა პედი ეშდაუნმა სამხედრო რეფორმის კანონს "ისტორიული ნაბიჯი" უწოდა.

■ ■ ■

**რუსეთი.** რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ევროკავშირსა და რუსეთს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. მან ეს წინადადება მოსკოვში გამართული მრგვალი მაგიდის დროს წამოაყენა, რომელშიც ევროკავშირისა და რუსეთის მეწარმეები იღებდნენ მონაწილეობას. "მთავარ ორიენტირად ჩვენ თავისუფალი ვაჭრობის ზონას მივიჩნევთ, რაც ცალკეულ პრიორიტეტულ სექტორებში თანამშრომლობას გააღრმავებს," - განაცხადა პუტინმა. მისი თქმით, საუბარი, პირველ რიგში, ენერგეტიკას და ტრანსპორტს, მეცნიერებას და განათლებას, ეკოლოგიასა და ტელეკომუნიკაციებს შეეხება. პუტინის აზრით, თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა ასევე ხელს შეუწყობს რუსეთსა და ევროკავშირში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას. ევროკავშირის ლიდერები კი მიიჩნევენ, რომ რუსეთი ხელოვნურად უჭერს მხარს ენერგორესურსებზე დაბალი ფასების შენარჩუნებას, რითიც თავისი წარმოების უპირატესობას ამყარებს. ამასთან დაკავშირებით პუტინმა განაცხადა, რომ ენერგეტიკის სფეროში ევროკავშირსა და რუსეთს შორის არსებული უთანხმოება პრინციპულ ხასიათს არ ატარებს.

■ ■ ■

**სერბეთი.** იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი, რომელსაც ამჟამად ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალი სამხედრო დანაშაულისათვის ასამართლებს, პოლიტიკაში დაბრუნებას გეგმავს. მას განზრახული აქვს, წლის ბოლოს დაგეგმილ სერბეთის პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. ამის შესახებ გუშინდელი "ფაინენშალ ტაიმსი" იუწყება.

სახალხო საპროტესტო გამოსვლების შედეგად დამხობილმა და საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემულმა მილოშევიჩმა სერბეთის სოციალისტური პარტიის საპარტიო თავმჯდომარეობა შეინარჩუნა. პარტიის ლიდერები აცხადებენ, რომ 28 დეკემბერს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მათ სიაში მილოშევიჩი პირველ ადგილზე იქნება წამოყენებული.

■ ■ ■

**რუსეთი.** რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მრჩეველმა ანდრეი ილარიონოვმა განაცხადა, რომ რუსეთი კიოტოს ხელშეკრულების რატიფიცირებას არ მოახდენს. მისი თქმით, ასეთი პოზიცია თავად რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მოსკოვში ევროპელი ბიზნესმენების საერთო შეხვედრის დროს გამოხატა. როგორც ცნობილია, კიოტოს შეთანხმების ძალაში შესვლა რუსეთის მიერ რატიფიცირებაზეა დამოკიდებული. კიოტოს ხელშეკრულება მონაწილე ქვეყნებს ატმოსფეროში მავნე გაზების გატყორცნაზე კვოტებს უწესებს. რუსეთი კი ჯიუტობს და შეთანხმებას ხელს არ აწერს. "არ შეგვიძლია ჩვენს თავზე ავიღოთ მოვალეობა, რომელიც ჩვენს ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვნად შეზღუდავს," - აცხადებს ილარიონოვი.

■ ■ ■

**ლიტვა.** ლიტვის სეიმში, პრეზიდენტ რონალდას პაქსასის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებების შემსწავლელი, პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შედეგები დაამტკიცეს და იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებისათვის ემზადებიან. კომისიამ თავისი მუშაობა ორშაბათს დაასრულა. პრეზიდენტ პაქსასს რუსეთის კრიმინალურ დაჯგუფებებთან კავშირში ედება ბრალი. კომისიის დასკვნით, პაქსასი გადაწყვეტილებების მიღებისას უცხო ძალების აშკარა ზეგავლენას განიცდიდა, რითაც საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის უშიშროებას. როგორც სეიმის თავმჯდომარემ, არტურას პაულაუსკასმა თქვა, კომისიამ პრეზიდენტის ბრალეულობა დაადასტურა, ასე რომ, პაქსასისთვის უმჯობესია, იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას აღარ დაელოდოს და გადადგეს. იმპიჩმენტის პროცედურის დასაწყებად სეიმის 141 წევრიდან 36 ხმაა საჭირო. პრეზიდენტის გადაყენებას კი 86 დეპუტატის თანხმობა დასჭირდება. გუშინ დეპუტატებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. პაქსასი ისევ აცხადებს, რომ არ დატოვებს თანამდებობას: "გამომძიებელთა მიზანი სიმართლის დადგენა კი არა, არამედ ჩემი დემორალიზება და პოლიტიკური განადგურება იყო."

# კოლინ პაუელი: რუსეთმა საქართველო უნდა დატოვოს

პირველი გვერდიდან



REUTERS
კოლინ პაუელი მაასტრიხტში

კოლინ პაუელმა რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდა, რომ **"მხარი არ დაუჭირონ ისეთ ელემენტებს, რომლებიც საქართველოდან გამოყოფას და ამით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას ცდილობენ."** დამკვირვებელთა განცხადებით, მას აშკარად მხედველობაში ჰქონდა მოსკოვში რამდენიმე დღის წინ გამართული შეხვედრები აჭარის, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ლიდერებს შორის.

**"საქართველოს ხელისუფლებამ გულისწყრომა გამოთქვა, როდესაც რუსეთის ოფიციალური პირები გასულ კვირას სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობების ხელმძღვანელ პირებს შეხვდნენ, რომელთაც რუსეთთან სურთ შეერთება. მათთან ერთად, მოსკოვში შეხვედრები გამართა აჭარის ლიდერმაც, რომელიც, მართალია, არ არის გასული სახელმწიფოს შემადგენლობიდან, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებასთან მტრული ურთიერთობა აქვს,"** - ნათქვამია "როიტერის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამავე სააგენტოს თანახმად, საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა ნინო ბურჯანაძემ რუსეთი საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულა.

**"მათ საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანა არ სურთ. მათ სურთ საქართველო იყოს არა მათი მეგობარი, არამედ დაქვემდებარებული პარტნიორი,"** - მოჰყავს "როიტერს" ნინო ბურჯანაძის სიტყვები.

თუმცა, **"რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა ეს კრიტიკა უარყო და განაცხადა, რომ რუსეთი საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას არ აპირებს,"** - იუწყება სააგენტო "ბიზნისი."

მიუხედავად ამისა, რუსეთი ოკეანსგაღმელი ჰეგემონის კრიტიკას ვერ გადაურჩა.

ქალატონი ნინო ბურჯანაძის კრიტიკა რუსეთის მიმართ სამშაბათს უკვე კოლინ პაუელის ჩამოსვლამ გაამყარა. **"საერთაშორისო საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რათა დაცული იქნას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არა მარტო არჩევნებამდე, არამედ მის შემდეგაც,"** - განუცხადა კოლინ პაუელმა ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებს და შეხვედრის სხვა მონაწილეებს, თუმცა ამ მიმართვის მთავარი ადრესატი რომ რუსეთი იყო, ამას ბევრი ვარაუდი არ სჭირდება.

შეერთებულმა შტატებმა საქართველოს სრული მხარდაჭერა და დახმარება აღუთქვა, თუკი საქართველოში არჩევნები დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარდება. **"ეუთო-მ აქტიური როლი უნდა შეასრულოს არჩევნების ჩატარების და დაკვირვების პროცესში, რათა ქართველ ხალხს პატიოსანი ლიდერების არჩევაში დაეხმარონ,"** - განაცხადა კოლინ პაუელმა. **"მე ასევე მოვუწოდებ რუსეთსა და საქართველოს, რომ დროულად გადაჭრან ის დარჩენილი საკითხები, რომლებიც საქართველოში რუსეთის სამხედრო ყოფნას შეეხება,"** - დასძინა მან.

ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია. დასავლეთს რუსეთის ზოგადი ფრაზები, რომ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას არ აპირებს, აღარ აინტერესებს. თუკი მანამდე დასავლეთი და აშშ რუსეთს თავისი ინტერესების შესახებ საქართველოსა და კავკასიაში მხოლოდ ზოგადი ფრაზებით ესაუბრებოდა, ამჯერად უკვე ყველაფერი პირდაპირ უთხრა: რუსეთი საქართველოდან უნდა წავიდეს! ნიშანდობლივია, რომ ეს განცხადება შევარდნაძის ეპოქაში არ კეთდებოდა და არც გაკეთდებოდა. ამდენად, პოსტ-შევარდნაძისეული ეპოქა პირველი დიპლომატიური გამარჯვებით დაიწყო.

# კრემლი „იუკოსს" უკვე 5 მილიარდ დოლარს ედავება


REUTERS
საფონდო ბირჟაზე "იუკოსის" აქციები 4 პროცენტით დაეცა.

რუსეთის ხელისუფლებამ კომპანია "იუკოსს" ახალი ბრალდებები წაუყენა, რომლის თანახმადაც, კომპანიამ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტს 150 მილიარდი რუბლი (5 მილიარდი დოლარი) დაუმალა.

ასეთი წერილით გენერალურ პროკურატურას რუსეთის გადასახადების მინისტრის მოადგილემ იგორ გოლოვკოვმა მიმართა. კომპანიას ბრალი ედება მასთან დაკავშირებული ფირმების საშუალებით ნავთობის დაბალ ფასებში გაყიდვასა და გადასახადების გადაუხდელობაში. საუბარია 65 მილიარდი რუბლის დამალვაზე, პლუს ჯარიმის თანხა, რამაც საერთო ჯამში 150 მილიარდი რუბლი შეადგინა.

ამ განცხადებამ მყისიერი გავლენა იქონია საფონდო ბირჟაზე. "იუკოსის" აქციები 4 პროცენტით დაეცა.

კომპანიის მთავარი აქციონერის და ყოფილი შეფის მიხაილ ხოდორკოვსკის დაპატიმრებიდან დღემდე "იუკოსის" ფასი თითქმის ოთხჯერ გაიაფდა. საფონდო ბირჟაზე ბოლო ორი კვირის განმავლობაში ტრიალებდა ხმები იმის შესახებ, რომ "იუკოსს" მალე 5-10 მილიარდი დოლარის გადაუხდელობის ბრალდებას წაუყენებდნენ. გასულ კვირას კი გენერალურმა პროკურატურამ გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც, პრეტენზიები კომპანიის მიმართ შეიძლება კიდევ უფრო გაფართოვდეს. არ არის გამორიცხული, რომ სულ მალე კიდევ ახალი ბრალდებები გამოჩნდეს. მადა ხომ ჭამაში მოდის.

# ნატო ავღანეთში გააქტიურებას გეგმავს

*1 და 2 დეკემბერს ბრიუსელში ნატო-ს წევრი და წევრობის კანდიდატი ქვეყნების, ასევე პროგრამაში "პარტნიორობა მშვიდობისათვის" მონაწილე სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრების შეხვედრა გაიმართა. 4 და 5 დეკემბერს ბრიუსელში საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბებიან. შეხვედრებზე ნატო-ს შემდგომი განვითარების საკითხებს განიხილავენ. თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები ნატო-ს საბჭოს ფარგლებში, ტრადიციულად, წელიწადში ორჯერ იკრიბებიან.*


REUTERS
ნატო-ს თავდაცვის მინისტრების შეხვედრა ბრიუსელში.

თავდაცვის მინისტრების შეხვედრის დღის წესრიგში ნატო-ს ტრანსფორმაციის სამხედრო ასპექტები იდგა. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი ჩართულია ბალკანეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნატო ხელმძღვანელობს სამშვიდობო მისიას ავღანეთში. ამ გამოწვევების ფონზე უმთავრეს პრობლემად ნატო-ს სამხედრო შესაძლებლობათა სრულყოფა რჩება.

მრავალ საკითხთა შორის კვლავ აქტუალური რჩება ავღანეთის მისია და მისი შესაძლო გავრცობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ავღანეთის თემამ, ერაყში მიმდინარე პროცესების ფონზე, ოდნავ უკანა პლანზე გადაიწია და მის მიმართ ყურადღება შენელდა. არადა, ქვეყანაში წესრიგის დამყარებას ჯერაც ბევრი უკლია და ავღანეთი ისევ საერთაშორისო ტერორისტების პოტენციურ თავშესაფრად რჩება. ზოგი ინფორმაციით, ბინ ლადენი ცოცხალია და დღემდე ავღანეთის ჩრდილოეთში იმყოფება.

ალიანსი ავღანეთში გაერო-ს ეგიდით მოქმედი უსაფრთხოების მხარდამჭერი საერთაშორისო ძალების (ISAF) ხელმძღვანელობს. საინტერესოა, რომ ეს, პრაქტიკულად, პირველი შემთხვევაა, როცა ნატო ოპერაციას მისი უშუალო პასუხისმგებლობის სივრცის მიღმა ახორციელებს. 1999 წელს, ვაშინგტონის სამიტზე მიღებული ახალი კონცეფციით ალიანსმა მზადყოფნა გამოთქვა, ახალი ტიპის საფრთხეების და გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო. ამავე კონცეფციაში ასევე დაფიქსირდა, რომ ნატო ატლანტიკური სივრცის მიღმაც მზად იყო მოქმედებისათვის.

ავღანეთის შემთხვევაში ნატო და, განსაკუთრებით, მისი ძველი ევროპელი წევრები, როგორც ამბობენ, უფრო იძულებით მოქმედებენ, ვიდრე სურვილით. 11 სექტემბრის ნიუ-იორკის ტერაქტის შემდეგ ალიანსმა, თავისი არსებობის მანძილზე პირველად, დააფიქსირა, რომ კავშირის წევრ ქვეყანაზე თავდასხმა მოხდა და ამით 1949 წელს გაფორმებული ჩრდილო-ატლანტიკური შეთანხმების მე-5 მუხლი ამოქმედდა. ეს მუხლი მოკავშირე ქვეყნისათვის თანადგომის აღმოჩენას ითვალისწინებს. თუმცა, ეს მხოლოდ მორალური მხარდაჭერა იყო, რადგან ამერიკელებს პარტნიორების დახმარება, თუ არ ჩავთვლით მცირერიცხოვან სპეცრაზმებს ავღანეთში და ბრიტანელებს ერაყში, არ დასჭირვებიათ. სამაგიეროდ, ამერიკელებმა მოკავშირეებს ავღანეთის აღდგენითი სამუშაოების დაფინანსებისა და იქ მშვიდობის უზრუნველყოფის საჭიროების საქმეში მათი ვალდებულება შეახსენეს. ავღანეთიდან გამოთავისუფლებული ძალები ვაშინგტონმა ერაყში გადაისროლა, ხოლო ქაბულის კონტროლი მოკავშირეებს გადააბარა. სამშვიდობო ძალებს ჯერ ბრიტანელები, შემდეგ - თურქები, ხოლო ბოლოს - გერმანელები და ჰოლანდიელები ერთად ხელმძღვანელობდნენ. ნატო-მ სამშვიდობო ძალების მართვა 2003 წლის 11 აგვისტოს გადაიბარა.

გარკვეული დროის განმავლობაში ISAF-ის სამშვიდობო ძალები, რომელთა მთავარი ფუნქცია ავღანეთის დროებითი ადმინისტრაციის მხარდაჭერაა, ძირითადად, დედაქალაქის კონტროლით კმაყოფილდებოდნენ. იმავდროულად, ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ავტონომიურად მოქმედებენ ამერიკელი სამხედროები და სხვა ქვეყნების სპეცდანიშნულების რაზმები. ბოლო დროს შეიქმნა ექვსი ავტონომიური სამშვიდობო ბაზა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის მაზარ-ი-შარიფში, ბამიამსა და ყუნდუსში. სამშვიდობო ძალებს, დღევანდელი მონაცემებით, 5 700 ჯარისკაცი ჰყავს, ხოლო ავღანეთის სხვადასხვა მხარეში 10 000 ამერიკელი სამხედრო მოქმედებს.

ბრიუსელის შეხვედრებზე მხარეებმა ქაბულის გარეთ დამატებითი სამშვიდობო ჯგუფების შექმნის და უკვე არსებული ნაწილების ერთიანი სტრუქტურისათვის დაქვემდებარების საკითხი განიხილეს. სავარაუდოდ, სულ ჩვიდმეტამდე სამშვიდობო დაჯგუფება შეიქმნება, რომელიც ქაბულში განლაგებულ ცენტრს დაექვემდებარება. იმავდროულად, ამ გეგმების წარმატებაზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია. როგორც ნატო-ს გენერალურმა მდივანმა რობერტსონმა თქვა, მისიის გაფართოება შესაძლებელი მხოლოდ მას შემდეგ გახდება, რაც ნატო-ს წევრი ქვეყნები ჯერ კიდევ ადრე აღებულ ვალდებულებებს შეასრულებენ. სამშვიდობო მისია, ქაბულის მასშტაბითაც კი, სრულად დაკომპლექტებული არ არის.

## ორი სიტყვით

**აშშ.** ვოლტ დისნეის ძმისშვილი უოლტერ დისნეი, რომელიც კოპანიაში თავმჯდომარის მოადგილის პოსტს იკავებდა, გადადგა. იგი ბიძის კომპანიაში 1967 წლიდან მუშაობს და 1984 წლიდან სათავეში ჩაუდგა მულტფილმების განყოფილებას. მისი აზრით, კომპანიაში მიმდინარე პროცესები სრულიად გაუგებარი და აუტანელია. იგი აშკარად დაუპირისპირდა კომპანიის თავმჯდომარეს მაიკ ლეისნერს და განაცხადა, რომ მისი მმართველობის დროს კომპანიამ დაკარგა საუკეთესო კადრი და შემოქმედებითი მუხტი, გადაუხვია დასაბამიდან დასახულ გზას და მიზანს. მისი განცხადებით, ის სტრატეგია, რომელიც კომპანიას ახლა აქვს არჩეული, არაეფექტურია და სამომავლოდ კომპანიას არ გამოადგება. იგი დისნეილენდის მნახველების რიცხვის შემცირებასაც მაიკ ლეისნერს აბრალებს. უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა პრობლემა, რომელიც ახლა კომპანიას გააჩნია, მისი აზრით, მაიკ ლეისნერის ბრალია და მოითხოვს, რომ ისიც გადადგეს, თუ კომპანიის გადარჩენა სურს. სტენლი გოლდმა - დირექტორის თანაშემწემ და ვოლტერ დისნეის თანამოაზრემ - ასევე გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ.

■ ■ ■

**კოლუმბია.** შვიდი ადამიანი დაიღუპა და ექვსი დაიჭრა ტერორისტული აქტის შედეგად კოლუმბიის ჩრდილოეთში. პოლიციელთა კოლონა ნაღმზე აფეთქდა. კოლუმბიის ხელისუფლება ტერაქტში მემარცხენე-ექსტრემისტულ რევოლუციურ ძალებს ადანაშაულებს. ბოგოტადან ტერაქტის რაიონში არმიის დამატებითი ძალები გადაისროლეს. კოლუმბიაში, უკვე 40 წელია, რაც სხვადასხვა მემარცხენე მარქსისტული დაჯგუფებები ცენტრალურ ხელისუფლებას ებრძვიან. ამ დაჯგუფებებს ადრე სოციალური იდეოლოგია ამოძრავებდათ, ახლა კი ისინი კრიმინალურ რაზმებად ჩამოყალიბდნენ, რომელთა შემოსავლების მთავარი წყარო ნარკოტიკები და ადამიანთა გატაცებაა. რევოლუციურ რაზმებში, ზოგი შეფასებით, 20 ათასი მებრძოლია გაერთიანებული.

# წინააღმდეგობა ერაყში სულ უფრო კოორდინირებული ხდება

ერაყში ბოლო დროს მომხდარი სისხლიანი შეტაკებების უკან ერაყის ყოფილი დიქტატორის მარჯვენა ხელი იზათ იბრაჰიმ ალ-დური შეიძლება იდგეს. ამ ინფორმაციას აშშ-ს თავდაცვის სამდივნო ავრცელებს. მხოლოდ გასულ შაბათ-კვირას ერაყის სხვადასხვა კუთხეში მოკლეს შვიდი ესპანელი, ორი იაპონელი, ამდენივე კორეელი, ერთი კოლუმბიელი და რამდენიმე ამერიკელი. ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყების შემდეგ, კოალიციის წევრი ქვეყნებისათვის ნოემბერი ყველაზე სისხლიანი აღმოჩნდა.

ალ-დური ჰუსეინის მარჯვენა ხელად მიიჩნევა. მას ერაყის დიქტატორული რეჟიმის იერარქიაში მეორე ადგილს აკუთვნებენ. უკანასკნელი ცნობებით, ამერიკელებმა ქალაქ კირკუკში სპეცოპერაცია ჩაატარეს, რომლის მიზანიც, სავარაუდოდ, ალ-დურის დაკავება უნდა ყოფილიყო. გავრცელდა ცნობა, რომ ჰუსეინის მოადგილე ან დაკავებულია, ან სულაც - ლიკვიდირებული. თუმცა, მოგვიანებით ეს ინფორმაცია ამერიკელებმა უარყვეს. დღემდე მისი ადგილსამყოფელის დადგენა ვერ ხერხდებოდა. ალ-დურის ოჯახი გასულ კვირას დააკავეს ერაყში, ხოლო მის თავს ამერიკელები 10 მლნ დოლარად აფასებდნენ.


REUTERS
ამერიკელი ჯარისკაცები ახალი თავდასხმების მოლოდინში

პენტაგონში უკვე აღიარებენ, რომ წინააღმდეგობა ერაყში ბევრად უფრო ძლიერი და კოორდინირებულია, ვიდრე ეს თავიდან ეგონათ. უკანასკნელი თავდასხმების ალ-დურის სახელთან დაკავშირება შესაძლებელი გახდა ქალაქ სამარასთან დაკავებული ორი ერაყელის დაკითხვის შემდეგ.

იმავდროულად, ცნობილი ხდება, რომ ამერიკელების თავდაპირველ ინფორმაციაში სამარასთან გამართული შეტაკებების შესახებ, სავარაუდოდ, შეცდომები გაიპარა. აშშ-ს სამხედრო წარმომადგენლები იუწყებოდნენ, რომ სამხედრო კოლონაზე თავდასხმის მოგერიების შედეგად, სულ მცირე, 54 ერაყელი დაიღუპა, რვა თავდამსხმელი დაკავებულია, ხოლო თვრამეტი დაიჭრა.

ქალაქ სამარას პოლიციის შეფის, ისმაილ მაჰმუდ მოჰამედის თქმით, დაღუპულია რვა სამოქალაქო პირი და დაჭრილია 45. ამერიკელი სამხედროების პრესსამსახურმაც აღიარა, რომ ციფრი 54 საბრძოლო მოქმედებების პირველადი, სავარაუდო შეფასებიდან მოდიოდა. სამხედროებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ დაღუპულთა ცხედრები ბრძოლის ველიდან თავად თავდამსხმელებმა გაიტანეს. ასევე გადამეტებული აღმოჩნდა დაკავებულთა რაოდენობაც. იმავდროულად, ამერიკელებმა სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლის არსებობა უარყვეს.

ამასობაში, გაერო-ს უშიშროების საბჭოში გამოქვეყნდა მოხსენება, რომლის მიხედვითაც ერაყში გააქტიურებულია ტერორისტული დაჯგუფება "ალ-ქაიდა". დოკუმენტში ნათქვამია, რომ ერაყში "ალ-ქაიდას" ნოყიერი ნიადაგი შეექმნა. ერაყელი პარტიზანები და სხვა ქვეყნებიდან ჩასული მუსლიმი მებრძოლები ტერორისტების რიგებს ავსებენ. მათი მთავარი მიზანი "ებრაელებისა და ჯვაროსნების (ანუ პროამერიკული კოალიციის)" წინააღმდეგ საღვთო ომის წარმოებაა. მოხსენების ავტორები მსოფლიოს ქვეყნებს ტერორიზმთან ბრძოლაში ურთიერთთანამშრომლობისკენ მოუწოდებენ.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

მეცნიერის ტრიბუნა

## საქართველოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია

(იბეჭდება ექსპერიმენტის წესით)

სტატიის მიზანია აჩვენოს, რომ საქართველოს ფუნქციის და ინტერესების შელახვით საფრთხე ექმნება არა მარტო რეგიონულ, არამედ მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

წინამდებარე სტატია შეიქმნა ჩვენი ზოგადი, მოდელური კვლევის შედეგად და წარდგენილ იქნა აშშ-ს საელჩოს მიერ გამოცხადებულ ფულბრაიტის პროგრამის კონკურსზე, რომელიც ჩატარდა დევიზით: "ევრაზია მშვიდობის გარდაქმნათა გზები". აშშ-ს საელჩოს კულტურის ატაშემ ამასთან დაკავშირებით ოფიციალურად აღნიშნა: "...ასეთნაირი მიდგომა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსათვის...".

ზოგადი, მოდელური კვლევის საფუძველია თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ამიტომ იგულისხმება, რომ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ობიექტურ კანონზომიერებებს ემორჩილება, თუმცა არ გამოირიცხება სუბიექტური ფაქტორების დროებითი ზემოქმედება.

კვლევის ძირითადი შედეგები. ყოველი თვითორგანიზებადი სისტემის (მსოფლიოც მათ რიცხვს ეკუთვნის) ცხოვრებისეული [illegible] ექვსკომპონენტიანი, ქვემოთ გამარტივებული სახით მოცემული სქემის საშუალებით, [illegible]

(ნახ. 1) ისარი აღნიშნავს დროში ფუნქციების წინსწრებას.

მოცემულ სქემას, პირველ მიახლოებაში, მსოფლიოსათვის (საქართველოსთან მიმართებაში) გადავწერთ მხოლოდ იმ ქვეყნებისა და ქვეყანათა ჯგუფების მითითებით, რომლებიც აღნიშნულ ფუნქციებს ასრულებენ:




ნახ 1.




ნახ 2.

(ნახ. 2) ე.ი. საქართველო უნდა მოქმედებდეს (და პირიქით) იმ ქვეყნებზე ან ქვეყანათა ჯგუფებზე, რომლებსაც აკისრიათ შინაგანი წესრიგის დაცვა, სინთეზი, აქვთ მსოფლიო თავდაცვის, გარედან ინფორმაციის მიღების ფუნქციები; კონკრეტულად, თუ რომელი ქვეყნებია ესენი, დღეისათვის ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ ამ სქემიდან გამომდინარე, ერთი რამ ცხადია: საქართველო თავის ფუნქციას თუ ვერ (არ) შეასრულებს, გადაიდგმება ნაბიჯები მის გამოსასწორებლად (შესაცვლელად).

ამრიგად, საქართველოდან აფხაზეთის ჩამოცილება (საქართველოს ფუნქციის შეცვლა აფხაზეთის ჩამოცილებით და, საერთოდ, საქართველოს შავი ზღვისპირეთის ჩამოცილებით), როგორც მისი კვლავ დაბრუნება, გარკვეულ ობიექტურ კანონზომიერებებს ემორჩილება. სულ სხვა საქმეა, თუ რამდენად შეიძლებოდა კატასტროფის მასშტაბების შემცირება, ან მათი თითქმის ნულამდე დასვლა. ეს ჩვენი ადამიანური ქმედებებით უნდა გაკეთებულიყო.

ამ სქემიდან გამომდინარე, შეიძლება აიხსნას, როგორც შედარებით ახალი, ისე შორეული ისტორიული მოვლენები. მაგალითად, საქართველოდან აფხაზეთის ჩამოშორებას 1921 წელს წინ უძღოდა მაშინდელი მსოფლიო მმართველობის პრეტენზიის მქონე გერმანიის მიერ რუსეთის იმპერიის დაშლა, ამან გამოიწვია საქართველოს ფუნქციის მოშლა (საქართველო თავის ფუნქციას ველარ ასრულებს და გადაიდგა ნაბიჯი მის შესაცვლელად), რაც გადაწყდა მისი "დინამიური" ნაწილის - აფხაზეთის ჩამოცილებით; მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველო შეუერთდა სსრკ-ს, სადაც ბაზისურ როლს ასრულებდა რუსეთი (აღდგა მისი ფუნქცია), მოხერხდა აფხაზეთის დაბრუნება.

ისტორიულად უფრო ძველი ამბები მოვიგონოთ: საქართველოს მეორე "დინამიური" ნაწილის - აფხაზეთის (საქართველოს შავი ზღვისპირეთის) საქართველოდან მოწყვეტას წინ უძღოდა ბიზანტიის დაშლა, რომელიც მაშინ რეგიონში შინაგანი წესრიგის დაცვისა და სხვა ფუნქციებს ასრულებდა; [illegible]

მსოფლიოში განუწყვეტელად მიმდინარეობს სახელმწიფოთა ფუნქციების ცვლილების პროცესები, ანუ მიმდინარეობს სახელმწიფოთა სელექციონიზაცია და დიფერენცირება. გავიხსენოთ ჯონ კოკრატის სტატია გაზეთ "კომუნისტში" (1991 წ.), სადაც ლაპარაკი იყო ფუნქციების გამიჯვნაზე აშშ-სა და სსრკ-ს (რუსეთს) შორის, რომ აშშ-მ ვერ შეძლო პოლიციური ფუნქციების შესრულება ვიეტნამში, ანგოლაში და ა.შ. რადგან ის რუსეთმა გააკეთა; მაშასადამე, სახელმწიფოები ისე ვითარდებიან, ისე იძენენ ან კარგავენ თავიანთ ფუნქციებს, რომ არ დაირღვეს მსოფლიო ბალანსირება, ანუ ჩვენს სქემაში არ გაიზარდოს ქაოსის მათემატიკური მაჩვენებელი.

ასეთია ჩვენი მსჯელობა, რომელიც, როგორც ვთქვით, დაფუძნებულია თანამედროვე ცოცხალი სისტემების (ერი კი ასეთად მიგვაჩნია) გამომხატველ ზოგად სქემაზე; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სქემა არაცოცხალ სისტემებშიც მოქმედებს, რაც უკანასკნელი მეცნიერული გამოკვლევებით დასტურდება, მაგალითად, ფიზიკაში გრავიტაციული მოვლენები, სადაც ცდები არ მცირდება და ა.შ.

რასაკვირველია, ვფიქრობთ, რომ ასეთი მსჯელობა სქემატურია, მოითხოვს პრაგმატულ მიდგომას და არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან; ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია იმისაკენ, რომ მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და სხვა მეცნიერებებზე დაყრდნობით ყველას აჩვენოს საქართველოს ფუნქციების: თავდაცვის, ტრანზიტის (როგორც სულიერის, ასევე მატერიალურის), სტაბილიზაციის შენახვის, განაწილების აუცილებლობა როგორც თავისთვის, ასევე მსოფლიოსთვის.

ძიების პერსპექტივები.

ზემოთ მოცემულ ექვსკომპონენტიან სქემას აქვს 1 540 944 ვარიანტის რაოდენობა.

განზრახული გვაქვს, ვაწარმოოთ უფრო ღრმა ანალიზი ამ მიმართულებით, რათა წარმოვაჩინოთ, თუ რა განსაზღვრავს ქვეყნის ფუნქციებს - გეოგრაფიული მოხაზულობა, გეოლოგია, კლიმატი და ა.შ. საქართველოში, ისევე როგორც, რასაკვირველია, სხვა ქვეყნებში; გავითვალისწინებთ სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის და ა.შ. ფუნქციებსაც.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ასეთი კვლევა პანაცეა არ არის, ის ერთ-ერთი მოდელია მხოლოდ, საქმეს კი უპირველესად პოლიტიკური ქმედებები წყვეტს. თუმცა, კვლევის არსებობაც, ჩვენი აზრით, აუცილებელია.

*ირაკლი ავალიშვილი,*
*ფიზიკა-მათემატიკის*
*მეცნიერებათა კანდიდატი*

# აფხაზ ერს ერთი "პატარა" სამართლებრივი ბოდიში უნდა მოვუხადოთ

*ცნობილი ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ აფხაზების შემორიგება ერთი "პატარა" სამართლებრივი ბოდიშით უნდა დავიწყოთ, რასაც კონფლიქტის მოგვარება და დათმობის პოლიტიკა უნდა მოჰყვეს. სწორედ თითოეული მათგანის მნიშვნელობაზე გვესაუბრება ჩვენი დღევანდელი სტუმარი.*



პაატა ზაქარეიშვილი

### ერთადერთი გამოსავალი

საქართველოში აშკარად გამოიკვეთა აფხაზეთის პრობლემის მოგვარების სამი მიმართულება.

**I – სამხედრო გზა.** საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნია, რომ ომით წართმეული ომითვე უნდა დავიბრუნოთ; თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ ჯარს აფხაზეთის დროშა გადასცა: იცოდეთ, ვინ არის თქვენი მტერიო. ეს არის წვრთნის ძალიან მოძველებული ფორმა. მაგალითად, ამერიკული ნორმებით, ჯარს მტრის ხატი არ გააჩნია. მას თავდაცვის ფუნქცია აკისრია.

თამაზ ნადარეიშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ რევოლუციური აღტკინებით დავბრუნდებით აფხაზეთში, აბსურდია. ხალხი, რომელმაც საკუთარი ღირსება დაიცვა, სხვის ღირსებას ვერ შელახავს. აფხაზებს საკუთარი ღირსება გააჩნიათ და თუ ჩვენ მის შელახვას შევეცდებით, იგივე ვითარებას მივიღებთ, როგორიც დღეს ჩეჩნეთშია.

მაგრამ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, იმიტომ, რომ, როგორც ღირსეულ ხალხს, უნარი გაქვს, სხვისი ღირსებაც დავინახოთ და პატივიც ვცეთ. ეს ნიშნავს სხვისი ინტერესების გათვალისწინებას.

ასეა თუ ისე, ჩვენს საზოგადოებაში არის აფხაზეთის ომით დაბრუნების სურვილი, მაგრამ საამისოდ არავითარი გეგმა, სტრატეგია, ტაქტიკა არ შემუშავებულა. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს არც საიდუმლოდ გაუკეთებია ვინმეს.

თუ საქართველოს ამის გაკეთება უნდა, მაშინ სამხედრო ძალის გამოყენებით ძალიან სწრაფად, ერთ კვირაში უნდა დაამთავროს ყველაფერი და თანაც ისე, რომ მშვიდობიანი მოსახლეობიდან ერთი ღერი თმაც არ ჩამოვარდეს. ასეთ შემთხვევაში მსოფლიო საზოგადოება გვაპატიებს ძალის გამოყენებას. მაგრამ ჩვენ ამის გამკეთებლები არა ვართ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისევ რუსეთი გაგვიწევს წინააღმდეგობას და ეს იქნება აფხაზეთის საბოლოოდ დაკარგვა.

**II – საერთაშორისო ზეწოლა.** ახლადდანიშნულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა თედო ჯაფარიძემ პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას ხედავს საგარეო და საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკა და რუსეთი ერთმანეთს მოელაპარაკებიან და აიძულებენ აფხაზებს, დაგვნებდნენ. ეს გზა პირველს სჯობს, მაგრამ დიდი ნაკლიც აქვს. საუბარი არ არის აფხაზი ხალხის ნებაზე.

**III – დათმობის პოლიტიკა.** ეს არის გზა, რომელსაც მხარს უჭერს პროგრესული სამყარო, კონფლიქტოლოგები, ექსპერტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, და მათ შორის ვარ მეც. მხარე, რომელიც დაინტერესებულია კონფლიქტის მოგვარებით, იწყებს დათმობებზე მუშაობას. ჩვენ მოლაპარაკებებისა და კომპრომისების გზებით უნდა დავაჯეროთ აფხაზები, რომ მათთვის საქართველოსთან ცხოვრება უფრო უკეთესია, ვიდრე რუსეთთან.

დათმობის პოლიტიკა აპრობირებულია მთელ მსოფლიოში სამხრეთ აფრიკაში, ირლანდიაში, კვიპროსზე, შრი-ლანკაში. აშკარაა, რომ ეს არის კონფლიქტების მოგვარების ყველაზე აქტიური გზა და ყველაზე დიდი ფინანსური მხარდაჭერაც სწორედ ამ გზას აქვს. მიჩნეულია, რომ ამ გზამ უნდა მოახდინოს გავლენა წინა ორ მიმართულებაზე. საქართველოში მეტ-ნაკლები წარმატებით სწორედ ასე ვიქცევით და, ჩემი აზრით, ეს არის ერთადერთი გამოსავალი.

### აფხაზთა ინტერესები

აფხაზები საქართველოს მხრიდან ელოდებიან სიახლეს. ჩვენ, ქართველებს გვჭირდება ლტოლვილების დაბრუნება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ აქ აფხაზი ხალხის ინტერესები არ ჩანს. არ ჩანს, რომ აფხაზებიც საქართველოს მოქალაქენი არიან და საქართველოს ხელისუფლებამ მათზე ისევე უნდა იზრუნოს, როგორც ნებისმიერ ჩვენგანზე. უნდა იზრუნოს მათ უსაფრთხოებაზე და განვითარებაზე. სამწუხაროდ, ჩვენთან აფხაზებზე სიტყვითაც კი არ ზრუნავენ.

აფხაზებს, საბოლოო ჯამში, ორი ძირითადი ინტერესი გააჩნიათ – **უსაფრთხოება და განვითარება.**

აფხაზების თანხმობა რუსეთის პასპორტიზაციაზე ნიშნავს იმას, რომ უსაფრთხოების სანაცვლოდ, ისინი მზად არიან მიეცნენ ვილაც ძლიერს. ყოველი კრიზისის დროს აფხაზები გამოთქვამენ სურვილს, გახდნენ რუსეთის ასოცირებული წევრი, რაც აბსურდია, თუნდაც იმიტომ, რომ თავად რუსეთის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს ამას. ეს ორი მომენტი ნიშნავს იმას, რომ აფხაზები დამოუკიდებლობისთვის მზად არ არიან. მათ დამოუკიდებლობა მაშინ ახსენდებათ, როცა საქმე საქართველოს ეხება. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ჩვენგან უფრო მეტი საშიშროება ელით, ვიდრე რუსეთიდან.

აქედან, აფხაზების მთავარი ინტერესი უსაფრთხოებაა. ახალ ხელისუფლებას აქვს უნიკალური შანსი იმისა, რომ აფხაზ ხალხს დადებითი იმპულსები გაუგზავნოს და განაცხადოს, რომ აფხაზეთთან დაკავშირებით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ჯარს არ გამოიყენებს და ამით უზრუნველყოფს აფხაზი ხალხის უსაფრთხოებას. უსაფრთხოების მიზნით უნდა მოხდეს ე.წ. პარტიზანული მოძრაობის აღკვეთაც, რომელსაც პარტიზანობასთან, კარგა ხანია, არაფერი აკავშირებს და კრიმინალური მოვლენის რეპუტაცია აქვს. ჩვენ თუ ამას გავაკეთებთ, აფხაზეთიდანაც აუცილებლად მივიღებთ შესაბამის დადებით იმპულსებს.

რაც შეეხება განვითარებას. აფხაზებს უნდა მივცეთ საშუალება, აბსოლუტურად თანაბრად მართონ ჩვენი სახელმწიფო. აფხაზს, საქართველოს გარდა, სხვა სამშობლო არ გააჩნია. საქართველოში მცხოვრებ ყველა სხვა ერს აქვს ისტორიული სამშობლო. აფხაზების ზურგს უკან კი, რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გარდა, არაფერი დგას.

მხოლოდ აფხაზები წარმოადგენენ ავტოქტონურ ერს. ამიტომ ჩვენ არ უნდა ველაპარაკოთ მათ, როგორც სტუმარს. ჩვენ უნდა მივცეთ მათ ეროვნული სიამაყის საშუალება, იქნება ეს აფხაზი სპორტსმენების, მეცნიერებისა თუ სხვა სპეციალისტების ხელშეწყობა და შემდეგ მათი მიღწევებით გახარება (აფხაზებს უნდა დავეხმაროთ ინგლისური ენის სწავლებაშიც). დღეს აფხაზი აბიტურიენტები სასწავლებლად რუსეთში მიდიან და, ცხადია, რუსული მენტალიტეტით საზრდოობენ. ჩვენ მათ ხელი უნდა შევუწყოთ იმაში, რომ დასავლეთში ისწავლონ. ისინი სულ სხვა აზროვნებით დაბრუნდებიან. ორად-ორი ელჩი ჰყავდათ აფხაზებს საზღვარგარეთ: კაზანი - აშშ-ში, ჩირიკი – ევროპაში. ტვინი ორივეს "გადაუბრუნდა" და ორივემ უთხრა აფხაზებს, რომ გამოყოფის შანსები არ არსებობს, რომ მსოფლიოში ინტეგრაციული პროცესები მიმდინარეობს და თუ ქართველებთან საერთო ენას არ გამოვნახავთ, არაფერი გამოვაო. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აფხაზები ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს ხელისუფლებას თავად აღიარებენ. ეს არ მოხდება.

ამიტომ, ჩვენ მთელ აფხაზ ერს უნდა მოვუხადოთ ერთი "პატარა" სამართლებრივი ბოდიში, რაც იმის გარანტია იქნება, რომ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ. ჩვენ თუ ამას გავაკეთებთ, მერწმუნეთ, ბევრი აფხაზი შემოტრიალდება საქართველოსკენ. ამისათვის მზადყოფნა აფხაზებში შეიმჩნევა.

### დათმობის პოლიტიკა

ჩემი სურვილი იქნება, რომ ახალმა ხელისუფლებამ იმსჯელოს ყოველივე ამის თაობაზე.

მათ მართლაც ახასიათებთ ახალი აზროვნება, გააჩნიათ პრობლემების ახალი ხედვა და, ჩემი აზრით, არ უნდა დაგვჭირდეს იმის მტკიცება, რომ აფხაზეთთან მიმართებაში ახალი პოლიტიკაა საჭირო. ეს არის დათმობის პოლიტიკა, რაც დღემდე გათვალისწინებული არ ყოფილა. თუ ეს არ მოხდა, კონფლიქტის მართვის შესაძლებლობა სრულიად მოიშლება. დროის გაწელვის პოლიტიკა სარგებელს არ მოგვიტანს. ქართველების მხრიდან შეცდომაა იმის ფიქრი, რომ დროის განმავლობაში გვეყოლება ძლიერი ჯარი, ან გადმოვიბირებთ რუსეთს და ამით მოვაგვარებთ აფხაზეთის საკითხს. ასევე შეცდომაა აფხაზების მხრიდან იმის ოცნება, რომ მსოფლიოში ბევრია აუღიარებელი ტერიტორიული განაყოფი და ერთ მშვენიერ დღეს მათი ცნობის დროც მოვა. რუსეთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ დღეს აშკარად გამოჩნდა, რომ რუსეთი არ აპირებს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას. მას არც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა აინტერესებს. ამიტომ ყველა მოაზროვნე აფხაზმა იცის, რომ დამოუკიდებლობაზე საუბარი უტოპიაა. ამიტომ აფხაზებისთვის დამოუკიდებლობა გამორიცხულია. დიდხანს კი ისინი არალეგიტიმურ მდგომარეობაში ვერ გაძლებენ.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენთვის სასარგებლო იქნება ნებისმიერ დათმობაზე წასვლა (ცხადია, აქ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება არ იგულისხმება).

აფხაზეთში ნამყოფი ყველა უცხოელი ექსპერტი აფიქსირებს აფხაზების მზადყოფნას - მოუსმინონ ქართველებს. ვარდების რევოლუციის შემდეგ, რასაც მსოფლიოსა და რუსეთის მხრიდანაც მოჰყვა მხარდაჭერა, აფხაზები დარწმუნდნენ, რომ საქართველო ბევრად უკეთესი ქვეყანაა, ვიდრე დსთ-ს სხვა წევრები. მათ აქვთ გარკვეული შიში, მაგრამ, ამავე დროს, იმედებიც გაუჩნდათ.

ჩვენმა ხელისუფლებამ მკაფიოდ უნდა გამოხატოს, რა მიზანს ემსახურება აფხაზეთის კონფლიქტი – დევნილების დაბრუნება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, თუ კონფლიქტის მოწესრიგება. ჩემთვის კონფლიქტის მოწესრიგება ყველაზე მაღლა დგას. თუ ჩვენ მოვაწესრიგებთ კონფლიქტს, მოვაწესრიგებთ ყველაფერ დანარჩენსაც. ანუ, ლტოლვილებსაც დავაბრუნებთ და ტერიტორიულ მთლიანობასაც აღვადგენთ.

კონფლიქტის მოგვარება ნიშნავს გაითავისო აფხაზების ინტერესი, რაზეც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ.

რაც შეეხება დათმობებს. ჩემი აზრით, აფხაზებს ერთიანი სახელმწიფოს კონცეფცია უნდა შევთავაზოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველებმა და აფხაზებმა სახელმწიფო ერთად უნდა შექმნან. აფხაზებმა უნდა მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა და მათი ხმები უნდა იყოს დაცული ისე, რომ უმცირესობის ნება არ შეილახოს. ამის მექანიზმები არსებობს და მსოფლიოში აპრობირებულია. საქართველოს პარლამენტში უნდა იყვნენ აფხაზი დეპუტატები, ერთი ვიცე-სპიკერი უნდა იყოს აფხაზი ეროვნების. მიმაჩნია, შემოღებული უნდა იქნეს ვიცე-პრემიერის პოსტი, რომელსაც აფხაზი დაიკავებს. ჩემი აზრით, ამ საკითხების გარშემო აუცილებლად უნდა გაიმართოს მსჯელობა.

აფხაზები დღევანდელ ხელისუფლებას შიშით უყურებენ. ამიტომ, სააკაშვილმა უნდა გააკეთოს განცხადება, რომ მისთვის აფხაზი ხალხის ღირსება ხელშეუხებელია და რომ ის მშვიდობიანად აპირებს აფხაზებთან მოლაპარაკებას.

**P.S. ამბობენ, იგორ გიორგაძე სოხუმში ჩავიდაო. ამასთან დაკავშირებით, მინდა ერთი სცენა გავიხსენო, რომელიც აფხაზებმაც უნდა იცოდნენ. 1994 წელს, როცა ის უშიშროების მინისტრი იყო, მე საწდრო კავსაძის კომისიაში ვმუშაობდი. მაშინ ჩვენ მოვთხოვეთ გიორგაძეს, გაეთავისუფლებინა აფხაზი ტყვეები, რომლებიც ქართველ ტყვეებში უნდა გაგვეცვალა. მახსოვს გიორგაძის სიტყვები: " ახლა რუსეთში არჩევნები ჩატარდება, ჩვენი ხალხი მოვა და აფხაზებს ერთმანეთზე დავადუღებთ".**

**ეს იყო აფხაზეთის დაბრუნების მისეული პოზიცია. ვფიქრობ, მისი აფხაზეთში ჩასვლა რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ ბოლო იმპერიული გაფხაკუნებაა.**

### არძინბას გადაყენება

აფხაზ მეომართა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ამცახარა" აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტისაგან, მოქმედი კონსტიტუციის ფარგლებში, აფხაზეთის ჯანმრთელობაშერყეული პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას თანამდებობიდან კანონიერად გადაყენების გზების მოძიებას დეკემბრის შუა რიცხვებამდე ითხოვს.

"მეოთხე წელია, ქვეყანას ავადმყოფი პრეზიდენტი ჰყავს და გაურკვეველია, ვინ მართავს სახელმწიფოს," - განაცხადა "ამცახარას" თანათავმჯდომარემ მერაბ ქიშმარიამ აფხაზეთის პარლამენტის ხელმძღვანელობასთან გამართულ შეხვედრაზე.

მისი თქმით, აფხაზ ვეტერანებს სერიოზულად აღელვებთ ის გარემოება, რომ გაურკვეველია, აფხაზეთში ვითარების გამწვავების შემთხვევაში, ვინ შეასრულებს ქვეყნის მთავარსარდლის მოვალეობას.

"ამცახარას" მეორე თანათავმჯდომარე ვიტალი ტარნავა ავადმყოფი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას შეცვლის აუცილებლობას სააკაშვილი-ბურჯანაძე-ჟვანიას სახით საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლას უკავშირებს, რომელთა განწყობილებები აფხაზეთთან დაკავშირებით აშკარად რევანშისტულია.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "აიტაირას" ლიდერი ლეონიდ ლაკერბაია და სახალხო პარტიის თავმჯდომარე იაკუბ ლაკუბა აფხაზურ პარლამენტს ასევე მოუწოდებენ, დააჩქარონ ახალი კანონების მიღება დეპუტატებისა და პრეზიდენტის არჩევნების შესახებ.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სახალხო კრების – პარლამენტის თავმჯდომარე ნუგზარ აშუბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების მოთხოვნებს პრეზიდენტობიდან ვლადისლავ არძინბას გადაყენების თაობაზე მიუღებლად მიიჩნევს და აცხადებს, რომ აფხაზეთის პარლამენტში ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი კანონების უსწრაფესად მიღება ქვეყანაში შექმნილი სტაბილურობის შენარჩუნებას ხელს არ შეუწყობს. **ინტერ-პრესი**

### ხაჯინბას პოზიცია

სოხუმის პრემიერ-მინისტრის რაულ ხაჯინბას განცხადებით, 18-23 ნოემბერს თბილისში განვითარებული მოვლენები საქართველოს საშინაო საქმეა და აფხაზური მხარე საქართველოში განვითარებული პროცესების ვინმესთან, მათ შორის - რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან განხილვას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

მისივე განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური მხარისთვის "გაუგებარი რჩება თბილისში განვითარებული მოვლენების არსი", სოხუმი განაგრძობს მოვლენათა თვალყურის დევნებას და იმედოვნებს, რომ "საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეული ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობა აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად თანასწორობის, კეთილმეზობლური ურთიერთობების და აფხაზეთის მიმართ ძალის გამოუყენებლობის პრინციპებით იხელმძღვანელებს". "საქართველოში არჩევნების შემდეგ ცნობილი გახდება, რა გზას დაადგება ხელმძღვანელობა, აფხაზეთისთვის ყველაზე მისაღები ვარიანტია მშვიდობის შენარჩუნება და საქართველოსთან მოლაპარაკების პროცესის გაგრძელება," - თქვა ხაჯიმბამ. **ინტერ-პრესი**

### "კომსომოლეცის" ოცნება

რუსულმა გაზეთმა "მოსკოვსკი კომსომოლეცმა" გამოაქვეყნა სტატია სათაურით "მანდარინები ჩრდილოეთისკენ მიდიან; აფხაზები რუსეთის ფედერაციის პარლამენტს ირჩევენ".

მასში საუბარია აფხაზი სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მონაწილეობაზე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, რომელიც 7 დეკემბრისთვის არის დანიშნული. სტატიაში აღნიშნულია, რომ რუსეთში მოქმედი სახალხო პარტიის (ხელმძღვანელი გენადი რაიკოვი) სიით კენჭს იყრის იაკუბ ლაკობა, რომელიც ამავე პარტიის აფხაზეთის წარმომადგენლობის ლიდერია.

"თავად ლაკობას იმედი აქვს, რომ პარტია 100 ათასამდე აფხაზურ ხმას მიიღებს, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ თითოეული აფხაზი უკვე რუსეთის ფედერაციის მოქალაქე გახდება," - დაასკვნის გაზეთი. **მედია-ნიუსი**

### დესანტი გალში

ქართული მხარის წარმომადგენლის, ზუგდიდის საოლქო პროკურორის მოადგილის, მებრძოლ ჭკადუას განცხადებით, ქართული მხარე შეეცდება გაარკვიოს, გალის რაიონში მხოლოდ აფხაზური შს სამინისტროს ძალებია შემოყვანილი, თუ მათთან ერთად თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული რაზმებიც არიან.

მებრძოლ ჭკადუას განცხადებით, შეიარაღებულ პირთა ოდენობა, რომლებიც 22 ნოემბრის შემდეგ გალის რაიონში შემოიყვანეს, 200 ადამიანს აღემატება. მისი თქმით, დამატებითი ძალები განთავსებულნი არიან მდინარე ენგურის ზოლის გასწვრივ, 12-კილომეტრიან უსაფრთხოების ზოლში. **ინტერ-პრესი**

### მანდატის საკითხი

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარეს სერგეი მირონოვს წერილით მიმართა, რომელშიც აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი რუსი სამშვიდობოებისთვის მანდატის ვადის გაგრძელებას მოითხოვს. ეს ინფორმაცია რუსულ მედიას პრეზიდენტის პრეს-სამსახურმა მიაწოდა.

მისი მონაცემებით, მირონოვისადმი გაგზავნილ წერილში პუტინი სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის იმ დრომდე გაგრძელებას ითხოვს, სანამ კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტის საკითხს არ დააყენებს. **ინტერ-პრესი**

ფოტოკონკურსი



საკონკურსო ფოტო №6.

ანონსი

**რადიო "მწვანე ტალღა"**

**ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.**

**FM 107,4**

მოკლედ

## საგზაო პოლიციას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი ბარამიძის ბრძანებით, თბილისის საგზაო პოლიციის უფროსად დანიშნულია გია ბერაძე, რომელიც ამ თანამდებობიდან რამდენიმე თვის წინათ შს ყოფილმა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა გაათავისუფლა. გია ბერაძემ დაახლოებით ერთი თვის წინ გია ვაწაძისთვის გადაცემული პოსტი გუშინ უკან დაიბრუნა. გია ვაწაძის საქმიანობა ანტიკორუფციულმა საბჭომ შეისწავლა და მოკვლეული მასალები გამოსაძიებლად პროკურატურას გადაუგზავნა.

ბარამიძის ბრძანებით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსად თემურ დარახველიძე დაინიშნა, რომელმაც ამ თანამდებობაზე თამაზ ბიჭაშვილი შეცვალა. დარახველიძე ამ დანიშვნამდე თბილისის საპასპორტო-სავიზო განყოფილების უფროსი იყო.

ხელმოწერილია თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის უფროსის დავით ბედიას დანიშვნის ბრძანებაც. ბედიამ ამ თანამდებობაზე იოსებ დურგლიშვილი შეცვალა. დავით ბედია თბილისის პოლიციის ყოფილი შეფის სოსო ალავიძის ბიძაშვილია. იგი სხვადასხვა დროს სოლიდურ თანამდებობებზე მუშაობდა. ბიძაშვილის, თბილისის პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსის სოსო ალავიძის ხელმძღვანელობის პერიოდში იგი თბილისის პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს ხელმძღვანელობდა, შემდეგ თბილისის ვაკე-საბურთალოსა და დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციებს. გენერალი პროტექტორის პოლიციიდან წასვლის შემდეგ იგი შსს-ს კადრების განკარგულებაში იმყოფებოდა.

ორი სიტყვით

**ქუთაისი.** იმერეთის ოლქის მთავარმა პროკურორმა თამაზ ჭუმბურიძემ და ქუთაისის მთავარმა პროკურორმა შალვა ფხაკაძემ თანამდებობები დატოვეს. საქართველოს გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილებით, იმერეთის საოლქო პროკურატურას სათავეში 28 წლის მიხეილ ჩოგოვაძე ჩაუდგა, ხოლო ქუთაისის პროკურატურას - 33 წლის გელა გოგლიჩიძე. იმერეთის საოლქო და ქუთაისის პროკურატურებში განაცხადეს, რომ ეს საკადრო ცვლილებები არ უკავშირდება საქართველოში განხორციელებულ ე.წ. ხავერდოვან რევოლუციას და როგორც ჭუმბურიძემ, ისე ფხაკაძემ თანამდებობები საკუთარი სურვილით დატოვეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში გუშინ აღირიცხა 22 დანაშაული, გახსნილია — 15; მკვლელობის ორი შემთხვევიდან გაიხსნა ერთი; ჯანმრთელობის დაზიანების ორივე შემთხვევა გაიხსნა; ერთი ავტოსაგზაო შემთხვევა სიკვდილით დასრულდა; ყაჩაღობის შვიდი შემთხვევიდან გაიხსნა სამი; ქურდობის ექვსი შემთხვევიდან — ოთხი; ეკონომიკის სფეროში ჩადენილი ერთი დანაშაული გაიხსნა; ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით დაფიქსირდა ექვსი შემთხვევა; ამოღებულია სამი ცეცხლსასროლი იარაღი; დაკავებულია ცხრა ძებნილი; არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია ერთი დანაშაული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსამართლეთა მეორე საერთაშორისო კონფერენციამ მუშაობა დაასრულა. ფორუმში მონაწილეობდა სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს და გერმანიის 120-მდე მოსამართლე. კოფერენციის მასპინძლის - საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლადო ჭანტურიას განცხადებით, მსგავს ღონისძიებებს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია და უკვე შეაქვს დემოკრატიული ქვეყნებისთვის აუცილებელი ინსტიტუტის– სასამართლოს ფორმირებაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდში, ჩიტაძის ქუჩაზე მცხოვრებ ჯემალ ქირიას ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. რამდენიმე ნიღბიანი შეიარაღებული პირი ფულის გამოძალვის მიზნით შეიჭრა ქირიას ოჯახში, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ოჯახის უფროსს ჯემალ ქირიას და მის მეუღლეს. ჯემალ ქირია მოსკოვიდან ახლდახან დაბრუნდა და იგი მოსკოვი-ზუგდიდის სამარშრუტო ხაზის მფლობელია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისელმა სამართალდამცველებმა "ვაზ-21-06" მარკის ავტომანქანა დააკავეს, რომელიც რამდენიმე დღის წინ ქუთაისელ ზაზა ბაქრაძეს მოჰპარეს. დაკავებულ ავტომანქანაში გამტაცებლებთან ერთად აღმოჩნდნენ სხვა დანაშაულებში, კერძოდ, რამდენიმე ქურდობაში ეჭვმიტანილი პირებიც. 17 წლის ადგილობრივი მკვიდრი ზაზა ჩიხრაძე, 16 წლის ბექა ბანძელაძე, 15 წლის ავთანდილ გასვიანი და 19 წლის პაატა ბოჭორიშვილი პოლიციამ ერთდროულად აიყვანა და წინასწარი პატიმრობის საკანში მოათავსა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზესტაფონი.** ზესტაფონში უბედური შემთხვევა მოხდა. დაუდგენელი მიზეზით ცეცხლი გაუჩნდა "ვაზ-52"-ის ტიპის სპეციალურ საზიდ ავტომანქანას, რომლის ძარაში ნახევრად დამწვარი ცხედარი აღმოაჩინეს. გაირკვა, რომ დამწვარი, ზესტაფონის რაიონის სოფელ წიფლავაკეში მცხოვრები, 43 წლის ამირან ფერაძეა. სამართალდამცველებმა ასევე დაადგინეს, რომ ავტომანქანა ამავე რაიონში მცხოვრებ იური ჭანკვეტაძეს ეკუთვნის. მომხდართან დაკავშირებით მოკვლევას ზესტაფონის პროკურატურა აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსთავის პოლიციამ დააკავა თავისუფლების მოხდის ადგილიდან გაქცევისათვის ძებნილი, 26 წლის დავით ცერცვაძე, რომელიც 14 ნოემბერს გაიქცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებიდან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორი არასრულწლოვანი გოგონა, 15 წლის სოფიო მერაბიშვილი და 14 წლის ნინო ლელუაშვილი ავტომანქანის გატაცების ბრალდებით პოლიციელებმა თბილისის დიდუბის რაიონში დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, გოგონებმა 29 ნოემბერს, წერეთლის გამზირიდან, 36 წლის ირაკლი რატიანს თაღლითური გზით გასტაცეს ავტომანქანა "ნისან-პატრული". სამართალდამცავებმა ავტომანქანის გამტაცებლები იმავე დღეს დაადგინეს, ხოლო მეორე დღეს ისინი დააკავეს. მანქანა პატრონს დაუბრუნდა. ლელუაშვილი და მერაბიშვილი პოლიციის დროებითი დაკავების იზოლაროტში იმყოფებიან. **მედია-ნიუსი**

# ქართული მაფია ევროასპარეზზე

პირველი გვერდიდან



საფრანგეთის პოლიცია იუწყებოდა ტარიელ ონიანსა და სილვიო ბერლუსკონის შორის ურთიერთობის არსებობაზე.

"2000 წლის 28 აპრილით დათარიღებულ ფაქსში, რომელიც ინტერპოლის ვენის ოფისიდან ლიხტენშტეინის ოფისში გაიგზავნა, ნათქვამია: "ფირმა SVD-Anstalt –ის საქმე ვენაში სასამართლო განხილვის საგანი გახდა. ცხადია, რომ ამ ფირმის მეშვეობით კრიმინალური წარმომავლობის ფულის გათეთრება ხდებოდა". ამ ფირმის წარმომადგენელი და უფლებამოსილი პირი კი წარმოშობით ქართველი დავით სანიკიძე გახლდათ, რომელსაც ასევე ძნელია "ნორმალური ბიზნესმენი" უწოდო.

სანიკიძე 1946 წელს ბათუმში (საქართველო) დაიბადა. თავის ქვეყანაში ის გავლენიან ბიზნესმენად ითვლებოდა და 1991 წელს საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდა ამერიკაში, რომ იქ მოლაპარაკებები ეწარმოებინა "ეკონომიკური თანამშრომლობის" თაობაზე. იგი უკვე მაშინ ერთ-ერთი ავსტრიული საინვესტიციო კომპანიის გენერალური დირექტორი იყო. ეს კომპანია ლიზინგისა და სასტუმროების ბიზნესის სფეროში მოღვაწეობდა (საქართველოში კარგად ახსოვთ ამ კომპანიის სახელწოდებაც – თავის დროზე საქართველოში სახელგანთქმული ავსტრიელი ბიზნესმენის ლეოპოლდ ბაუსბეკის კუთვნილი "მარკო-პოლო", რომელმაც გუდაურის სასტუმრო და "მეტეხი პალასი" ააშენა. სწორედ ამ ფირმის გენერალური დირექტორი და პირველი ქართული ავიაკომპანია "ორბის" დამფუძნებელი გახლდათ დავით სანიკიძე – რედ.).

ერთი წლის შემდეგ სანიკიძე და "რუსული მაფიის" ნათლიმამა ვიაჩესლავ ივანკოვი ("იაპონჩიკი" - რედ.) უახლოესი მეგობრები გახდნენ. "ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს მონაცემებით, სანიკიძე ერთადერთი იყო, ვისაც ივანკოვის ანგარიშებზე ხელის მოწერის უფლება ჰქონდა. ეს ფაქტი კი მრავლისმეტყველია, რადგან საქმე მილიარდობით დოლარს ეხებოდა", - წერდა თავის დროზე ყოველკვირეული გამოცემა Wirtschafts Woche (სხვათა შორის, როდესაც ვიაჩესლავ ივანკოვი ამერიკელ სამართალდამცველებს ჩაუვარდათ ხელში, მან თავის მემკვიდრედ შეარჩია არა რომელიმე კანონიერი ქურდი, არამედ, როგორც მაშინდელი პრესა წერდა, პოლიტიკურ და ბიზნესმენთა წრეებში საკმაოდ გავლენიანი ადამიანი – დავით სანიკიძე. მისთვის ვენაში, სადაც ივანკოვის ერთ-ერთი ვაჟი ცხოვრობდა, ყველა კარი ღია იყო. თუმცა, საბოლოოდ, რუსული მაფიის სათავეში მოქცევა სანიკიძემ ვერ მოასწრო – რედ.).

### ფოტო ელცინთან

სანიკიძე, მრავლისშემძლე პარტნიორთან ერთად, პოლიტიკურ მოღვაწეებთან კონტაქტების დამყარებას აგრძელებდა. მათ რიცხვში შედიოდნენ დასავლეთში მეტნაკლებად პოპულარული, ცნობილი რუსი პრივატიზატორები ანატოლი ჩუბაისი და ეგორ გაიდარი. ცხადია, სანიკიძეს ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო მეთაურთან - ედუარდ შევარდნაძესთან, მაგრამ ყველაზე მეტად დავით სანიკიძე ამაყობდა ფოტოთი, რომელიც 1994 წელს გადაიღო და რომელზეც იგი ბორის ელცინის გვერდით არის აღბეჭდილი.

სანიკიძემ მოახერხა, რომ ავსტრიის მაშინდელი მმართველების – სოციალ-დემოკრატების კარზე სასურველი პარტნიორი და კომპანიონი გამხდარიყო. ამ დროს კი მისი საწარმოები, ქართული ავიაკომპანიისა და საქართველოში მდებარე რამდენიმე სასტუმროს გარდა, "დაზღვევით" საქმიანობას, უფრო კონკრეტულად კი, რეკეტს მისდევდა.

1996 წლის 11 ივლისს დავით სანიკიძე ვენის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე ჩაცხრილეს. მოგვიანებით, მისი მკვლელები ბუდაპეშტში დააპატიმრეს. ერთ-ერთი მათგანი ონიანის კლანს ეკუთვნოდა. 1998 წლის სექტემბერს სანიკიძის მკვლელების საქმის განხილვა დაიწყო ვენის სასამართლოში. პროცესზე მიწვეული მოწმეები ან საერთოდ არ ჩავიდნენ ვენაში, ან ჩვენების მიცემაზე უარს ამბობდნენ, ან ირწმუნებოდნენ, რომ ამ საქმის შესახებ არაფერი იციან იმაზე მეტი, რაც გამოძიებამ დააფიქსირა მათთვის ჩვენებების ჩამორთმევისას.

ავსტრიელ პროკურორს ტერეზია შუმაისტერ-შმარტალს ძალიან სურდა, სცოდნოდა, რა მონაცემები აქვს ვენის პოლიციას იმის თაობაზე, თუ საიდან ჰქონდა მოკლულს ასეთი ფართო კავშირები ვენის პოლიტიკურ წრეებთან (დავით სანიკიძის მკვლელობისთვის ბუდაპეშტის სასტუმროში ორი ახალგაზრდა ქართველი – ონიანი და ჯავახაძე დააკავეს. ერთი მათგანი ტარიელ ონიანის ძმისშვილი, მეორე კი ცოტა ხნით ადრე თბილისში მოკლული, წლების მანძილზე სანიკიძის ბიზნესპარტნიორის, რიჩარდ ჯავახაძის ვაჟი გახლდათ. სხვათა შორის, იმავე ჯავახაძის მკვლელობას დათო სანიკიძეს უკავშირებდნენ და ამიტომაც ვენის ქუჩაში მისი ჩაცხრილვა შურისძიების აქტად მოინათლა. თუმცა, მკვლელობის სხვა მოტივებზეც საუბრობდნენ, მაგალითად, ევროასპარეზზე სანიკიძის ჩანაცვლების სურვილზე. მოგვიანებით, მკვლელობაში თანამონაწილეობისთვის ვენაში დააპატიმრეს ცნობილი მომღერლის პაატა ბურჭულაძის ვაჟი. ამჟამად სამივეს სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი – რედ.).

### კავშირი ბერლუსკონისთან

ასეთი მოვლენები, ცხადია, აღფრთოვანებას ძნელად თუ იწვევს. ყოველ შემთხვევაში, პატივცემული მინისტრების, ექსმინისტრების, დეპუტატებისა და ფინანსური მრჩევლების ბრწყინვალე საზოგადოებაში ამის თაობაზე არაფრის გაგონება არ სურდათ. სანიკიძის ორივე სავარაუდო მკვლელი ჩრდილოვან წრეებში მეტად პატივცემული ტარიელ ონიანის ქართულ-ქუთაისური კლანის წევრები იყვნენ. მათ საბრალდებო დასკვნაში ეწერა, რომ ამ კლანმა მოსყიდვით, მოტყუებით, ადამიანების გატაცებაში მონაწილეობით, გამომძალველობითა და ხალხის დაშინებით, სხვადასხვა სახის ზეწოლით, მკვლელობების მომზადებითა და განხორციელებით, საიდუმლო ფინანსური ოპერაციების ჩატარებით შეძლო მოეპოვებინა მნიშვნელოვანი გავლენა ეკონომიკასა და პოლიტიკაზე.

კლანის სამთავრობო დონის კონტაქტების დადგენა შესაძლებელი გახდა საფრანგეთის პოლიციის მიერ ტარიელ ონიანის სატელეფონო საუბრების მოსმენის შედეგად. მაგალითად, პოლიცია იუწყებოდა "ტარიელ ონიანსა და სილვიო ბერლუსკონის შორის ურთიერთობის არსებობაზე".

1999 წლის 28 აპრილს მკვლელობისა და დანაშაულებრივ დაჯგუფებაში მონაწილეობისათვის განსასჯელებს ვენის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა, დანაშაულებრივ დაჯგუფებაში მონაწილეობა სასამართლო პროცესის მსვლელობისას მათ ვერ დაუმტკიცდათ. ვენის ერთ-ერთი გაზეთი ამ ფაქტს ასეთ კომენტარს უკეთებდა: "შესაძლოა, რომ ავსტრიის იუსტიციის ისტორიაში მაფიის წინააღმდეგ გამართული ყველაზე მსხვილი პროცესი კულისებს მიღმა ჩვეულებრივ კრიმინალურ საქმემდე დაიყვანეს. მოცემულ შემთხვევაში, მაფიაზე მონადირეებისთვის ეს მხოლოდ ერთს შეიძლება ნიშნავდეს – მუშაობა მეტად ინტენსიურად წარმართონ". თუმცა, ევროპოლი დღესაც დარწმუნებულია იმაში, რომ დავით სანიკიძე, ფაქტობრივად, კრიმინალური დაჯგუფების ლიდერი იყო.

ჰააგიდან ძალზე ფრთხილად ავრცელებენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მაშინ პროკურორზე სერიოზულ ზეწოლას ჰქონდა ადგილი. "ავსტრიის ხელისუფლებას არ აწყობდა ეს სასამართლო პროცესი, რადგან ძალიან ბევრი მათგანი ამ საქმეში ჩარეული იყო".

*მოამზადა სოფიკო ჩხაიძემ*

**P.S. რამდენიმე წლის მანძილზე პარიზში ცხოვრების შემდეგ ტარიელ ონიანი ესპანეთში, ბარსელონაში გადასახლდა. იგი დღესაც დიდი გავლენის მქონე ადამიანად ითვლება. გავრცელებული ხმების მიხედვით, ონიანი სერიოზულად ერევა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებშიც. გარკვეული ინფორმაციის თანახმად, იგი გასულ კვირას სპეცრეისით ჩამოფრინდა საქართველოში და მეორე დღესვე დატოვა ქვეყანა.**

# ჩეჩენი პატიმრები გამართლდნენ, თუმცა ციხის კედლებს ჯერ ვერ დატოვებენ



გუშინ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ ორი ჩეჩენი პატიმარი გაამართლა.

გუშინ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა და საქართველო-რუსეთის საზღვრის გადმოკვეთის ბრალდებით გასამართლებული ორი ჩეჩენი პატიმარი - ახმედ მაგომედოვი და ასლანბეგ ხანჩუკაევი გაამართლა.

უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ახმედ მაგომედოვს და ასლანბეგ ხანჩუკაევს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისა და იარაღის უკანონოდ ტარება-გადმოტანის ბრალდებები მოეხსნათ. საოლქოს ეს გადაწყვეტილება პროკურატურის წარმომადგენელმა ედიშერ ქარჩავამ მაშინვე უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა და ჩეჩენი პატიმრებისთვის კარგა ხნის წინ წაყენებული ბრალდების ძალაში დატოვება, გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და საქმის ხელახალ გამოძიებაში დაბრუნება მოითხოვა. ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

**"უზენაესმა სასამართლომ, როგორც ცოტა ხნის წინ საოლქო სასამართლომ, სავსებით კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოიტანა"**, - ასეთი შეფასება მისცა ჩეჩენ პატიმართა ადვოკატმა არჩილ ჩოფიკაშვილმა გუშინდელ სასამართლო ვერდიქტს.

ერთი სიტყვით, წელიწადნახევრის განმავლობაში ქართული მართლმსაჯულების ყველა ინსტანციაგამოვლილი მაგომედოვი და ხანჩუკაევი უზენაესმა სასამართლომ გუშინ საბოლოოდ გაამართლა. თუმცა, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების მიუხედავად, გამართლებული ჩეჩენი პატიმრები ჯერ ვერ გათავისუფლდებიან. საქმე ისაა, რომ მათ წინააღმდეგ კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, რომელიც უკვე მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს გადაეგზავნა. 2002 წლის 25 ოქტომბერს ორთაჭალის საპყრობილეში ბადრაგისთვის გაწეული წინააღმდეგობა – ეს ის ბრალდებაა, რომლითაც გამართლებულ ჩეჩენ პატიმრებს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში გაასამართლებენ. შეგახსენებთ, რომ ეს ბრალდება მათ მაშინ წაუყენეს, როცა ხუთი თანამებრძოლის რუსეთში ექსტრადირება გააპროტესტეს და ორთაჭალის ციხის საკნებში ამბოხება მოაწყვეს.

*24 საათი*

# გენერალურმა პროკურორმა საკადრო გადაადგილებები დაიწყო

საკადრო ცვლილებები გენერალურ პროკურატურაშიც დაიწყო. გუშინ გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ რამდენიმე საკადრო გადაადგილება განახორციელა. ნუგზარ გაბრიჩიძის ბრძანებით, ფოთის ყოფილი ტრანსპორტის პროკურორი დევი გოგუა საქართველოს ტრანსპორტის პროკურორის თანამდებობაზე დაინიშნა. გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ გია ჯიქიამ ტრანსპორტის პროკურორი გუშინ წარუდგინა თანამშრომლებს.

სიახლეა იმერეთის სამხარეო პროკურატურაშიც. იმერეთის საოლქო პროკურორის თანამდებობაზე ამავე ოლქის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი მიხეილ ჩოგოვაძე დაინიშნა.

ოლქის ყოფილი პროკურორი თამაზ ჭუმბურიძე კი ოლქის პროკურორის მოადგილედ გადაიყვანეს. ქუთაისის პროკურორად ქალაქის პროკურორის ყოფილი უფროსი თანაშემწე გელა გოგლიჩიძე დაინიშნა. ქუთაისის პროკურორი შალვა ფხაკაძე კი ქალაქის პროკურორის მოადგილედ გადაიყვანეს.

იმერეთის ოლქის პროკურორის მოადგილე მალხაზ საჯაია ოლქის პროკურატურის ერთ-ერთი განყოფილების უფროსად გადაიყვანეს.

ამასთან, როგორც გენპროკურატურაში აცხადებენ, გენერალური პროკურატურის ცენტრალურ აპარატში რაიმე ახალი საკადრო გადაადგილება არ მომხდარა.

**"გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით, პროკურატურის სისტემაში სერიოზული საკადრო ცვლილებები ახლა დაიწყო და კვლავ გაგრძელდება, მოსალოდნელია ძალზე სერიოზული გადაადგილებები. სერიოზულ თანამდებობებზე დაინიშნებიან პატიოსანი, კვალიფიციური ახალგაზრდები. პროკურატურაში ახალი ძალა უნდა მოვიდეს, უნდა შექმნას ახალგაზრდა პროფესიონალთა ძლიერი გუნდი,"** – ჩვენთან საუბრისას განაცხადა გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ გია ჯიქიამ.

*24 საათი*

# სააკაშვილი იგორ გიორგაძის დაპატიმრებას კატეგორიულად ითხოვს

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი "ტერორისტს და ბანდიტს" უწოდებს უშიშროების ყოფილ მინისტრს, ინტერპოლის მიერ ძებნილ იგორ გიორგაძეს და იმ შემთხვევაში, თუ ის საქართველოში ჩამოვა, სამართალდამცველებისგან კატეგორიულად მოითხოვს, დაუყოვნებლივ დააპატიმრონ. "ტერორისტების და ბანდიტების ადგილი საქართველოში არ არის," - განუცხადა ჟურნალისტებს მიხეილ სააკაშვილმა.

მისი აზრით, იგორ გიორგაძე არ არის პოლიტიკური ფიგურა, "უშიშროების ყოფილ მინისტრს სურს, შეკრიბოს თავისი სპეცრაზმელები, "ომეგელები", უცხო ქვეყნიდან შემოსული სხვა ხალხი და საქართველოში დესტაბილიზაცია მოაწყოს," - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

იგორ გიორგაძე ეჭვმიტანილია 1995 წელს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტის ორგანიზებაში.

საინიციატივო ჯგუფმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე წარადგინა განაცხადი იგორ გიორგაძის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია გიორგაძეს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებშიც სურდა კენჭისყრა, თუმცა იმის გამო, რომ მას ბოლო 2 წელი საქართველოს ტერიტორიაზე არ უცხოვრია, ცესკო-მ უარი უთხრა რეგისტრაციაზე.

"სამართალდამცველები და, კონკრეტულად, შს სამინისტრო ადამიანის უფლებების დაცვაზე იქნებიან ორიენტირებულნი და იმ შემთხვევაში, თუ ცესკო იგორ გიორგაძეს პრეზიდენტობის კანდიდატად გაატარებს რეგისტრაციაში, მას ექნება ხელშეუხებლობის იმუნიტეტი; მაგრამ თუ რეგისტრაციის გარეშე ჩამოვა საქართველოში, მაშინ მის მიმართ კანონით დადგენილი ღონისძიებები გატარდება, ანუ მოხდება მისი დაკავება, რადგან კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს," -აცხადებს შს მინისტრი გია ბარამიძე.

შს სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე სახალხო პატრიოტული კავშირის ერთ-ერთმა ლიდერმა გოჩა ფიფიამ განაცხადა, რომ ხელშეუხებლობის გარანტიის შემთხვევაში იგორ გიორგაძე მზადაა ჩამოვიდეს საქართველოში და გამოძიებას ყველა საჭირო ჩვენება მისცეს.

# დააკავეს ნარკორეალიზატორი

შს სამინისტრომ სავაჭრო ქსელიდან საკონდიტრო წარმოებაში გამოსაყენებლად შემოტანილი ყაყაჩოს თესლის ამოღება და განადგურება დაიწყო.

შსს-ს ნარკომანიასა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსის ალეკო ტაბატაძის განცხადებით, ამჟამად სამმართველოს შესაბამისი სამსახურების მიერ ბაზრობებსა და სავაჭრო ობიექტებიდან ამოღებულია 250 კილოგრამამდე ყაყაჩოს თესლი, რომლის განადგურება შს სამინისტროში მოხდება.

სავაჭრო ობიექტებიდან ნარკოტიკების შემცველი ყაყაჩოს თესლის ამოღების განკარგულება პრეზიდენტმა შევარდნაძემ ცოტა ხნის წინ გასცა.

გარდა ამისა, გუშინ შსს-მ მსხვილი ნარკოსაქმე გახსნა. შს სამინისტროს ნარკომანიასა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა დააკავეს წარსულში ქურდობისათვის ნასამართლევი, ვანში მცხოვრები 42 წლის მერაბ ჩახუნაშვილი. მას დიდი ოდენობით ნარკოტიკების რეალიზაციაში ედება ბრალი.

ნარკომანიასა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსის ალეკო ტაბატაძის განცხადებით, ჩახუნაშვილის კუთვნილი "მარნეული-თბილისის" რეისის სამგზავრო მიკროავტობუსის მოტორის საჰაერო ფილტრიდან ამოღებული იქნა 43 გრამი ჰეროინი. დადგენილია ასევე პიროვნება, ვისთანაც ჩახუნაშვილს აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერება მიჰქონდა რეალიზაციის მიზნით.

ამოღებული ჰეროინის საბაზრო ღირებულება 10 ათას აშშ დოლარზე მეტია.

მოკლედ

### ტერორისტები სასიკვდილო განაჩენს გადაურჩნენ

ერევანის სასამართლომ განაჩენი გამოუტანა 1999 წლის ოქტომბერში სომხეთის პარლამენტში მომხდარი ტერაქტის მონაწილეებს. სასამართლომ ექვს ტერორისტს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. მოსამართლის მიერ გამოტანილ განაჩენში ნათქვამია, რომ მსჯავრდებულები სიკვდილით დასჯას მხოლოდ იმიტომ გადაურჩნენ, რომ სომხეთს ევროსაბჭოს წინაშე ვალდებულებები აკისრია.

სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას განსასჯელებმა მომხდარი დანაშაული არ უარყვეს, მეტიც, მათ მოსამართლეს დეტალურად მოუთხრეს, თუ როგორ აპირებდნენ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას, რათა ქვეყანა არსებული ხელისუფლების დამანგრეველი პოლიტიკისგან ეხსნათ. შეგახსენებთ, რომ სომხეთის პარლამენტში მომხდარი სროლებისას დაიღუპა რვა ადამიანი, მათ შორის - ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ვაზგენ სარქისიანი და პარლამენტის სპიკერი კარენ დემირჭიანი.

### ნიგერიაში გატაცებული რუსი ბიზნესმენები ტყვეობიდან გაათავისუფლეს

ნიგერიაში გატაცებული შვიდი ბიზნესმენიდან ორი ტყვეობიდან გათავისუფლებულია. თავდაპირველად, გამტაცებლებმა წარმოებული მოლაპარაკებების შემდეგ გაათავისუფლეს აზერბაიჯანელი მძევალი. ნიგერიის შტატ დელტას ხელისუფლებმა გამტაცებლებთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს მართავს, რათა დაიხსნას ტყვეობაში დარჩენილი ხუთი ბიზნესმენი. გატაცებულები კანადის ნავთობკომპანია "Bredero Shaw"-ის თანამშრომლები არიან და ისინი ექსტრემისტული დაჯგუფების წევრებმა აიყვანეს მძევლად. მძევლებს შორის არის ორი კოლუმბიელი, ინგლისელი, ავსტრიელი, მოლდოველი და რუსი ბიზნესმენები. ბოევიკები დარჩენილი მძევლების გასათავისუფლებლად გამოსასყიდ თანხას – 36 ათას დოლარს ითხოვენ. ნიგერიის შტატ დელტაში, რომელიც ნავთობპროდუქტების ერთ-ერთ მთავარ რაიონად ითვლება, ადამიანის გატაცება სიახლე არ არის. დანაშაულის ეს სახეობა ადგილობრივ კრიმინალთა შემოსავლის სერიოზულ წყაროდ ითვლება. რამდენიმე კვირის წინ აქ ოთხი უცხოელი ბიზნესმენი დაატყვევეს, რომელთა გამოსახსნელადაც კომპანიამ, სადაც ისინი საქმიანობდნენ, სოლიდური გამოსასყიდი – 100 ათასი დოლარი გადაიხადა. ნიგერიელი სამართალდამცველები ამჟამად გეგმავენ სპეცოპერაციას რამდენიმე დღის წინ დატყვევებული ბიზნესმენების გასათავისუფლებლად.

ფოსტა

# ღია წერილი პარლამენტარ გურამ შარაძეს

ბატონო გურამ!

ჩემთვის, როგორც საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელისთვის, მსუბუქად რომ ვთქვათ, გაუგებარია თქვენი ასეთი დაინტერესება ჩვენი სასწავლებლის ბედით. ჯერ იყო და პარლამენტის სხდომაზე განაცხადეთ, არიქა, მივხედოთ თეატრალურ ინსტიტუტს, გიგა ლორთქიფანიძეს უნდა მიუვარდნენო, მერე კი ამ სიგნალით არ დაკმაყოფილდით და ტელევიზია "იბერიაში" განაცხადეთ, თითქოს "მაილსისა და სოროსის დაქირავებული კმარელები" უკვე მოვარდნენ ჩვენთან და, არც მეტი, არც ნაკლები, დღისით, მზისით, "აგდებდნენ გიგა ლორთქიფანიძეს".

როგორც გუშინწინ ვწერდი გაზეთ "24 საათის" ფურცლებზე, ეს არის მტკნარი სიცრუე. ბ-ნო გურამ, ვიღაც პროვოკატორმა არასწორი ინფორმაცია მოგაწოდათ და თქვენც გულუბრყვილოთ ენდეთ. თქვენნაირ გამოცდილ ადამიანს ასეთი რამ არ უნდა მოგსვლოდათ, მაგრამ რა გაეწყობა, შეუმცდარი მხოლოდ უფალი ღმერთია და ამდენად, კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ სტუდენტი - ახალგაზრდობის ჩართვისა პოლიტიკურ ვნებებში. ახლა, როცა არსებითად წყდება ქვეყნის ბედი, როცა დედა უნივერსიტეტში გარეგნულად მაინც მოწესრიგდა სიტუაცია, ნურავინ შეეცდება ახალი ცეცხლის გაღვივებას რუსთაველის პროსპექტზე.

თქვენმა ნებსითმა თუ უნებლიე პროვოკაციულმა განცხადებებმა, ბ-ნო გურამ, ერთობ არასასურველი შედეგი გამოიღო ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტობაში და ამდენად, უკვე ვალდებულიც ხართ, დაასახელოთ თქვენი ინფორმატორის ვინაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი პასუხისმგებლობა თქვენ დაგეკისრებათ.

*გოგი დოლიძე*

*საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი*

# გეკუთვნით, მაგრამ არ გეკუთვნით...

*"ხუთი წელი მოვანდომეთ იმას, რომ კორპუსის წინ ანტისანიტარიის ნაცვლად, ლამაზი სკვერი გაგვეშენებინა. დღეს ვიღაცეები გვემუქრებიან, თუ ნებით არ დათმობთ ამ ტერიტორიას, ძალით წაგართმევთო. ჩვენს პროტესტზე პასუხი ასეთია: ბაღი და დასვენება თუ გინდათ, ვაკის პარკში მიბრძანდითო..." – აცხადებენ ჯავახეთის ქუჩის მაცხოვრებლები. რომლებიც, უკვე რამდენიმე წელიწადია ამაოდ ცდილობენ, თავიანთი კორპუსის წინ გამწვანებული ტერიტორია გაჩეხვისგან დაიცვან.*

თამარ დვალი

1997 წელს, მერიის გადაწყვეტილებით, დედაქალაქში ყველა უკანონოდ ჩადგმული ჯიხური აიღეს. ჯავახეთის ქუჩის მაცხოვრებლები ახლა ხვდებიან, თუ რატომ დატოვეს მათი კორპუსის წინ მხოლოდ ერთი ჯიხური, რომლის ადგილასაც, ლუდის ბარის აშენებას გეგმავენ.

**"ღამ-ღამობით ვიღაცები მოდიან, მიწას ზომავენ და ადგენენ ნახაზებს. ერთი წლის განმავლობაში არ დაგვიტოვებია არც ერთი ინსტანცია, რომლისთვისაც არ მიგვიმართავს. ყველგან გვეუბნებიან, რომ ეს ადგილი ჩვენ გვეკუთვნის, მაგრამ არც გვეკუთვნის..."** - განაცხადეს "24 საათთან" საუბრისას ჯავახეთის ქუჩის მაცხოვრებლებმა. მათივე თქმით, არსებობს მთავრობის დადგენილება, რომლის მიხედვითაც, მათი კორპუსის წინ დარჩენილი ჯიხური უნდა აეღოთ: **"დადგენილებაში წერია, რომ ოთარ გოგიაშვილს ეს ტერიტორია ერთი წლის ვადით, იჯარით ეძლეოდა. უკვე კარგა ხანია, იჯარას ვადა გაუვიდა. მიწის მართვის დეპარტამენში დაგვიდასტურეს, რომ ეს ადგილი გაყიდული არ ყოფილა, თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ 23 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი უკვე გოგიაშვილის საკუთრება იყო. როგორც გაირკვა, ძველი თარიღით გაფორმებულ დოკუმენტებში, მას ეს ტერიტორია 24 ლარად შეუძენია."**

გოგიაშვილმა 1999 წლის 2 ივნისს, თბილისის საოლქო სასამართლოს მიმართა და მთავრობის 1999 წლის 20 აპრილის დადგენილების გაუქმება მოითხოვა. სასამართლომ გოგიაშვილის სარჩელი დააკმაყოფილა და თბილისის მთავრობის 1999 წლის დადგენილება გაუქმებულად სცნო. ამ გადაწყვეტილებას ჯავახეთის ქუჩის მაცხოვრებლები არ ეთანხმებიან. **"ჩვენ ამ პროცესის შესახებ ინფორმაციაც კი არ გვქონია. პროცესზე წარმოდგენილი იყო სხვა კორპუსის მაცხოვრებლების თანხმობები. ოთარ გოგიაშვილის სარჩელი, სასამართლოს პირველი ინსტანციის მიღმა, საოლქო სასამართლომ კანონის უხეში დარღვევით განიხილა და დააკმაყოფილა",** - აპროტესტებენ ისინი.

სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მოსახლეობამ ამა წლის 14 ივლისს საოლქო სასამართლოს განცხადება-საჩივარით მიმართა. პასუხი იქიდან დღემდე არ მიუღიათ.

მაშინ, როდესაც ქვეყანაში არსებობს საქართველოს პარლამენტის 1998 წლის დადგენილება: "საქართველოს დასახლებულ პუნქტებში გამწვანების ზონების, პარკების, ბაღებისა და სკვერების დაცვის შესახებ", რომლის მიხედვითაც, დასახლებულ პუნქტებში გამწვანებული ზონების ხელყოფა იკრძალება; ასევე, არსებობს თბილისის მთავრობის 1999 წლის №02.21.41 დადგენილება, სადაც ნათქვამია, რომ მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 9 ოქტომბრის დადგენილება, გოგიაშვილისათვის გამაგრილებელი წყლების პავილიონის მოსაწყობად მიწის ნაკვეთის დამაგრების შესახებ, გაუქმებულია, სასამართლო ღებულობს გადაწყვეტილებას, გააუქმოს მთავრობის დადგენილება და პარლამენტის დადგენილების საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღოს.

2003 წელს თბილისის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, თბილისში პარკების, სკვერების, ტროტუარებისა და სპორტულ-სათამაშო მოედნებზე პრივატიზაციის შეჩერებისა და მათ ტერიტორიაზე მშენებლობის აკრძალვის შესახებ. ხოლო, 2003 წელს, საკრებულოსვე გადაწყვეტილებით, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთები, ამ სახლებში მცხოვრებ მოქალაქეებს საერთო წილად საკუთრებაში გადაეცათ.

ყველაფერი ამის მიუხედავად, ჯავახეთის ქუჩის მაცხოვრებლები თავიანთ სიმართლეს ვერ ამტკიცებენ. მაშინ, როდესაც სკვერების გაშენებისათვის ბიუჯეტიდან უამრავი თანხები იხარჯება, ისინი თავიანთი სახსრებით გაშენებული სკვერის შენარჩუნებას ვერ ახერხებენ.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
OSCE
Mission to Georgia
ეუთოს მისია საქართველოში
საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ საქართველოში ეუთოს მისიის ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა გზამკვლევი "როგორ შევიდეთ საქართველოს სახელმწიფო სამსახურში".
გზამკვლევში ახსნილია საჯარო სამსახურში შესვლასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები და ნორმები, მოცემულია შესაბამისი განმარტებითი ინსტრუქციები.

უფასო
გზამკვლევი უფასოა და იგი შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე:
ვ. ორბელიანის 35.
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 922839, 923122
www.economists.ge office@economists.ge

# დაგვინახეთ - აქა ვართ

*გინახავთ, როგორ თამაშობენ გონებრივი შეფერხების მქონე ადამიანები შექსპირს? თუ არ გინახავთ, აუცილებლად ნახეთ, დღეს, ძველ გალერეაში. თუ არც ის გინახავთ, როგორი რუდუნებით ასხამენ სანთლებს, რანდავენ დაფებს, კერავენ თოჯინებს, მათი ნამუშევრების გამოფენასაც ესტუმრეთ, იმავე მისამართზე. ჩახედეთ ამ ადამიანებს თვალებში და მათ, ერთი შეხედვით ამღვრეულ მზერაში, ის სამყარო დაინახეთ, რომელიც ჩვენგან მხოლოდ ხელის გაწვდენაზეა. ნუ დაარქმევთ ამას მორალურ ქველმოქმედებას. ეს თქვენც გჭირდებათ, რომ ცხოვრებაში თქვენი ადგილი იპოვოთ.*


სამსახურში.

მაკა ჯაიანი

2003 წელი ევროპამ ინვალიდთა წლად გამოაცხადა. 3 დეკემბერი ინვალიდთა საერთაშორისო დღეა. საქართველოში დღეს გონებრივი შეფერხების მქონე 20 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ცხოვრება მათ ყოფას პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს - ერთ უნარშეზღუდულზე სახელმწიფო თვეში მხოლოდ 23 ლარსა და 75 თეთრს ხარჯავს. ეს თანხა სავსებით ჯანმრთელი ადამიანისთვისაც კი, რბილად რომ ვთქვათ, არასაკმარისია. გონებრივი შეფერხების მქონეთ, ამასთან, სხვა – ურთიერთობის პრობლემაც აქვთ. მათი გაგება, მიღება ყველას არ შეუძლია. საბჭოთა სისტემაში დამკვიდრებული ტრადიცია ამ ადამიანებს კვლავაც უხილავი გისოსების მიღმა კეტავს. ეს დანაშაულებრივი ტრადიციაა. სოციალური თერაპიის სახლმა ამის დამტკიცება ადვილად შეძლო.

სახლი მეოთხე წელია თბილისში მოქმედებს. იგი ჰოლანდიური საქველმოქმედო ფონდ "კორდეიდის" ხელშეწყობით დაარსდა და დღემდე მისი დაფინანსებით მუშაობს. ძმები უბილავების №8-ში მდებარე სამსართულიან შენობაში ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, მიდის გონებრივი შეფერხების მქონე 40 ადამიანი და სავსე ცხოვრებით ცხოვრობს. ვინ სანთლების სახელოსნოში მუშაობს, ვინ – ხის სახელოსნოში, ვინ საკანცელარიო ნივთებს ამზადებს, ვინ კერავს, ვინ – ხატავს და ა.შ. ყველაზე უმცროსი მათ შორის 16 წლისაა, ყველაზე უფროსი – 44-ის, მაგრამ ისინი ყველანი მეგობრები არიან. **"აქ კარგია, ბევრი მეგობარი მყავს,"** - იღიმება სანდრო; **"მე ჩემი საქმე გამომდის, მიყვარს. ბოროტი არა ვარ და ყველასთვის მხოლოდ კარგი მინდა,"** – ამატებს მზია.

**"ქვეყნები, რომლებმაც უარი თქვეს ამ ადამიანებზე, დღეს აღარ არსებობენ,** - ამბობს ფსიქოლოგი ნატალია ჩირიკაშვილი, - **სად არის სპარტა, ფაშისტური გერმანია, საბჭოთა კავშირი? საზოგადოება უნდა მიხვდეს, რომ ჩვენ ერთმანეთის თანადგომა გვჭირდება. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ საკუთარი თავი მათ ადგილზე. მუდმივად ოთხ კედელში გამოკეტვამ ნებისმიერი შეიძლება გააგიჟოს. გონებრივი შეფერხების მქონეთ სწორედ ასე ექცეოდნენ, არადა, მათ შეუძლიათ სხვებს გაუწიონ დახმარება. ორი წელია, საშობაოდ და სააღდგომოდ, ჩვენი სახლის ბინადარნი საკუთარ ნახელავს პაკეტებად კრავენ და ბავშვთა სახლებს ურიგებენ საჩუქრად. მათ ახსოვთ სხვები. ნურც ჩვენ დავივიწყებთ, რომ ესენი არსებობენ."**

"აქ ვართ" – ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომელიც რეჟისორმა ლია ჯაყელმა ამ ადამიანებზე ფონდ "კორდეიდის" დაფინანსებით გადაიღო. როცა უყურებ, როგორი მონდომებით ცდილობს პატარა მარიამი ბგერების წარმოთქმას, ქრისტინე – ცეკვას, ტატიანა – ხატვას; მთელი არსებით როგორ ითხოვენ ისინი მოფერებას, ხვდები, რომ ამ სურათების დავიწყებას ვერასდროს შეძლებ. ისევე, როგორც იმის დავიწყებას, რამდენად კონცენტრირებულები უთქვამენ სურვილებს ფერადფერად სანთლებს სოციალური თერაპიის სახლის ბინადრები და რა ფაქიზად უშვებენ გუბურაში; რაოდენ მობილიზებულები დგანან ეთნოგრაფიული მუზეუმის ამფითეატრის სცენაზე და "ზაფხულის ღამის სიზმარს" თამაშობენ...

მათ ბედმა გაუღიმა. სოციალური თერაპიის სახლში მოსახვედრად რიგში გონებრივი შეფერხების მქონე კიდევ 40 ადამიანი დგას, მაგრამ, თუ სახლი არ გაფართოვდა, სავსე ცხოვრების შეგრძნების შესაძლებლობა მათ, ალბათ, არ მიეცემათ. ვინც იქაა, იცის, რომ საქმეს აკეთებს. დროდადრო გამართული ბაზრობების წყალობით, ისინი სამუშაოდ საჭირო მასალების შესყიდვას და დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდას ახერხებენ. მთავრობამ არ იზრუნა, რომ მათ პროდუქციას მუდმივი დამკვეთი ჰყოლოდა. ამაზე სახლში არ ბრაზობენ. ამ ადამიანებს ცოტა ჰყოფნით და, როცა ეკითხები, რას ნიშნავს მათთვის იქაურობა, დაუფიქრებლად გპასუხობენ: **"ყოველ შაბათს და კვირას დაღამებას ველოდები, რომ მალე გათენდეს და სამსახურში მოვიდე."**

ზღვარზე

# აბსტრაქტული მილიონები ჩვენი ჯანმრთელობის დასაცავად

*იმის მუხედავად, რომ ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ათეულობით მილიონ ლარს ხარჯავს საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობის დასაცავად, უკმაყოფილო ხალხის რაოდენობა მაინც დღითიდღე მატულობს. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით, მოქალაქეთა უმრავლეოსობა არ ან ვერ სარგებლობს. ამას ის ათასობით წერილიც ადასტურებს, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროსა და სახალხო დამცველის ოფისის მაღალ თაროებზე, უყურადღებოდაა "დარჩენილი". თავის მხრივ, სამინისტროში აცხადებენ, რომ ისინი მხოლოდ ჯანდაცვის პოლიტიკის განმსაზღვრელები არიან და თითს ფინანსთა სამინისტროსკენ იშვერენ. იქ, ტრადიციულად, შემოსავლების სიმწირით და საჭირო ფინანსების უქონლობით იმართლებენ თავს. აქეთ-იქით სირბილსა და ჩინოვნიკთა მხრების ჩეჩვაში კი ყველაზე მეტად პაციენტები ზარალდებიან.*

ეთერ მამულაშვილი

ჯანდაცვის ის სახელმწიფო პროგრამები, რომელთა ერთი ნაწილი ფედერალური ბიუჯეტიდან ფინანსდება, ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფა. თითოეული ეს ჯგუფი რამდენიმე კომპონენტს მოიცავს. ცენტრალური ხაზინის გარდა, ჯანდაცვის რამდენიმე მნიშვნელოვან პროგრამას აფინანსებს მუნიციპალური ბიუჯეტები და სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდი. ჯანმრთელობის ხელშეწყობა, დაავადებათა პრევენცია და ეპიდკონტროლი; მოსახლეობის სტაციონარული დახმარება; მოსახლეობის ამბულატორიული დახმარება; მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა - ეს არის ის სახელმწიფო პროგრამები, რომლის შესრულებას ქვეყნის მაღალჩინოსნები მოსახლეობას წლის დასაწყისში დაჰპირდნენ. გასული თერთმეტი თვის შემდეგ კი ირკვევა, რომ დღეს ყოფილმა და მოქმედმა ჩინოვნიკებმა დანაპირების მხოლოდ ნახევარი თუ შეასრულეს. შესრულების ხარისხი ცალკე საუბრის თემაა.

სამედიცინო ექსპერტები ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამას ანიჭებენ. ალბათ, ამიტომ, ბოლო რამდენიმე წელია ზემოთხსენებულ პროგრამებს შორის ყველაზე მეტი დაფინანსება სტაციონალური დახმარების პროგრამაზე მოდის. გარდა სახელმწიფო სოციალური ფონდისა, სტაციონალური დახმარების პროგრამას რამდენიმე მუნიციპალური ბიუჯეტიც აფინანსებს. წელს ამ პროგრამის შესასრულებლად სახელმწიფომ 50 მილიონ ლარზე მეტი გამოყო (49.170.000 ლარი ფონდი, 2.575.000 ლარი თბილისის ბიუჯეტი).

როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ირწმუნებიან, ამ პროგრამის მიზანი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგრადობის გაუმჯობესება და სტაციონარული სამედიცინო დახმარებით მათი უზრუნველყოფაა. მთავარი შედეგი, როგორც პროგრამის ავტორები ვარაუდობენ, უნდა იყოს სიკვდილიანობის შემცირება და ინვალიდობასთან დაკავშირებული სიცოცხლის წლების გაუმჯობესება. ამ მიზნისა და საბოლოო შედეგების მისაღწევად რომ 50 მილიონი ლარი საკმარისზე ბევრად ნაკლებია, მათ კარგად უწყიან, ამიტომაც, სტაციონარული დახმარების პროგრამის რამდენიმე კომპონენტში შემოღებულია თანაგადახდის პრინციპი. ეს, მარტივად, იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფის გამოჯანმრთელებისთვის ფული სახელმწიფოსთან ერთად პაციენტმაც უნდა დახარჯოს.

მოსახლეობის სტაციონარული დახმარების პროგრამა 14 კომპონენტს მოიცავს: ფსიქიატრია, ფთიზიატრია (ტუბერკულოზი), სამეანო, ბავშვთა სამედიცინო დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაცია, უმწეოთა დამატებითი სამედიცინო დახმარება, ინფექციურ დაავადებათა მკურნალობა, ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაცია, კარდიოქირურგიული დახმარება, რეფერალური დახმარება, საკურორტო რეაბილიტაცია, სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა დამატებითი სამედიცინო გამოკვლევა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სამედიცინო დახმარება.

სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამებში პირველი, ფსიქიატრიული დახმარების კომპონენტი, მიზნად ისახავს ფსიქიკურად დაავადებულ ავადმყოფთა ძირითადი კონტინგენტის (იძულებით მკურნლობაზე მყოფ ავადმყოფთა და სოციალურად საშიშ ავადმყოფთა) სტაციონარული მკურნალობით უზრუნველყოფას. ფსიქიკურ დაავადებათა ქრონიკულმა ბუნებამ, მკურნალობის ხანგრძლივი კურსის საჭიროებამ, ავადმყოფთა სოციალურად საშიში ქმედებებისადმი მიდრეკილებამ და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში შექმნილმა კრიტიკულმა სიტუაციამ განაპირობა დარგის პრიორიტეტულობა, რის დასაფინანსებლად წელს სამი მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული.

პრიორიტეტად აღიარა სახელმწიფომ მეანობის პროგრამა და ამ კომპონენტის სრული, 100 პროცენტიანი დაფინანსების ვალდებულება აიღო. ამ დანაპირების, ისევე როგორც სხვა ბევრის, შესრულება დღეს სახელმწიფოს ძალიან უჭირს. ტენდერში გამარჯვებული იმ სტაციონარების ხელმძღვანელი პირების განცხადებით, რომლებსაც მეანობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება დაევალათ, უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში, ხაზინიდან, პრაქტიკულად, არცერთი თეთრი არ მიუღიათ.

ასი პროცენტით უნდა ფინანსდებოდეს ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამაც. ქვეყანაში სოციალური პირობების მკვეთრმა გაუარესებამ და მოსახლეობის მიგრაციული პროცესების გააქტიურებამ გამოიწვია ტუბერკულოზის ახალი ტალღის ინიცირება და დაავადების დინამიკის მკვეთრი მატება. შარშან ოფიციალურად ტუბერკულოზის ხუთი ათასამდე შემთხვევა დაფიქსირდა. ამ დაავადების სოციალური საშიშროების მაღალი კოეფიციენტის გათვალისწინებით, ტუბერკულოზის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები განისაზღვრა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად. მიუხედავად ამისა, წელს ტუბერკულოზთან ბრძოლა დაგვიანებით, მაისიდან, თანაც მიზერული თანხებით დაიწყო. მართალია, ის ორმილიონნახევარი ჩვენს გაჭირვებას მთლიანად ვერ უშველიდა, მაგრამ ექსპერტების აზრით - დაავადების კლების ბოლოდროინდელი ტენდენციის შენარჩუნება შესაძლებელი იქნებოდა, თუკი ფინანსთა სამინისტრო დანაპირებ თანხებს ადრესატამდე დროულად გადარიცხავდა.

ბავშვთა სამედიცინო დახმარების კომპონენტი, რომლისთვისაც წელს ბიუჯეტში ყველაზე მეტი თანხა იყო გათვალისწინებული, მიზნად ისახავს სამ წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო სტაციონარულ დახმარებას, მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდას და ამით ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას. ამ კომპონენტის განსახორციელებლად წელს ბიუჯეტში რვა მილიონზე ცოტა მეტი ლარი იყო ჩადებული. თერთმეტი თვის შემდეგაც კი ამ კომპონენტის განმხორციელებლებმა კუთვნილი თანხების მხოლოდ ნახევარი თუ მიიღეს.

**პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.**

მოკლედ

## ახალი წესები ამერიკაში წასვლის მსურველთათვის

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ვიზის გაცემასთან დაკავშირებით ახალ პროცედურებს აწესებს. საქართველოს მოქალაქეებზე ვიზა მხოლოდ ელექტრონული სკანერის მეშვეობით თითის ანაბეჭდების აღების შემდეგ გაიცემა. ანაბეჭდების აღება აშშ-ს საელჩოს საკონსულო განყოფილებაში გასაუბრებისას მოხდება და ამ პროცედურას ერთ წუთზე ნაკლები დრო დასჭირდება. აღნიშნული პროცედურის გავლა აუცილებელი არ იქნება 14 წლამდე და 79 წლის ზევით ასაკის პირებისთვის. აშშ-ს საელჩოს განმარტებით, ეს ცვლილება განპირობებულია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის უსაფრთხოების ახალი სისტემის დებულებით, რომელიც ქვეყანაში შესვლა-გამოსვლის წესებს განსაზღვრავს. აშშ-ს კანონმდებლობა მოითხოვს, ვიზის მიღების ყველა მსურველის ბიომეტრული იდენტიფიკატორების შეგროვებას 2004 წლის 26 ოქტომბრისთვის. კანონის ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ითხოვს ვიზის მიღების მსურველის ფოტოსურათს და თითის ანაბეჭდებს. **ინტერ-პრესი**

## ოთხი წლის 16 დღიანი აქცია

გუშინ, თბილისში, რეგიონულ და საქართველოს საკოორდინაციო ცენტრში "საერთაშორისო ქალთა დახმარება-კავკასია" ჩატარდა ბრიფინგი, რომელიც მიეძღვნა "კავკასიის 16 დღიან აქციას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ".

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში "საერთაშორისო ქალთა დახმარება - კავკასიამ", რომელიც კავკასიის 16 დღიანი კამპანიის ცენტრია, დაარსა სამი ეროვნული საკოორდინაციო კომიტეტი საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. ამ ხნის განმავლობაში რეგიონულმა კომიტეტმა განახორციელა რამდენიმე პროექტი და პილოტ-პროგრამა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან ერთად. როგორც ორგანიზაციის წევრმა, ინეზა ცომაიამ აღნიშნა: "რეგიონული ცენტრის არსებობა ესაა უნიკალური შემთხვევა, როდესაც სამი კავკასიური რეგიონი ერთად თანამშრომლობს ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში". მასში გაერთიანებულია 550-ზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, გაერო-ს სააგენტოები და მთავრობის წარმომადგენლები.

აქციის ჩატარების თარიღებად სპეციალურად შეირჩა 25 ნოემბერი-ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე და 10 დეკემბერი-ადამიანის უფლებების დაცვის დღე. დასკვნითი კონფერენციები გაიმართება კავკასიის სამივე ქვეყნის დედაქალაქში. როგორც ბრიფინგზე აღინიშნა, ამჟამად კავკასიის 16 დღიანი პროგრამა უდიდესი რეგიონული კამპანიაა და ის მიუერთდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ წარმოებულ ძალადობის პრევენციის კამპანიას.

"16 დღის განმავლობაში საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში აქციის წევრები ჩაატარებენ ასობით ღონისძიებას და სრულიად უსასყიდლოდ იმუშავებენ",- თქვა ბრიფინგის დასასრულს "საერთაშორისო ქალთა დახმარება - კავკასიის" პროექტის მენეჯერმა ქეთი წურწუმიამ.

*24 საათი*

ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გუშინ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს შეხვდა. შეხვედრა თავად ელჩების ინიციატივით გაიმართა და მისი მთავარი თემა ქვეყანაში განვითარებული მოვლენები იყო. ელჩებმა ხაზგასმით აღნიშნეს, ძალზედ დიდია ეკლესიის როლი რთული სიტუაციების დარეგულირებაში და პროცესების მშვიდობიანი გზით წარმართვაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალი ხელმძღვანელის ვინაობა სავარაუდოდ, კვირის ბოლოს გახდება ცნობილი. გასული კვირის ბოლოს ფონდის გენერალურ დირექტორთან ირაკლი კოპლატაძესთან ერთად, თანამდებობა საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნინო უგულავამაც დატოვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიგი წერეთელმა ლიტვის სეიმის წარმომადგენლობითი დელეგაცია მიიღო. შეხვედრაზე გაირკვა, რომ საქართველოში შექმნილი რთული ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისული სიტუაციის დასაძლევად იანვრის თვეში ლიტვის მთავრობა ჰუმანიტარულ დახმარებას გამოგზავნის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერის ვანო ზოდელავას განცხადებით, იგი არ ფლობს ინფორმაციას, გიგი წერეთელის დედაქალაქის მერობის კანდიდატად განხილვის შესახებ. ზოდელავა მომხრეა პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, ქალაქის მერის არჩევნებიც ჩატარდეს. კულუარული ინფორმაციით, თბილისის მერის თანამდებობაზე ნიკო ლეკიშვილიც განიხილება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გლდანის დასახლების მე-5 მიკრორაიონის 26-ე კორპუსის მშენებლობა, რომელიც 14 წლის მანძილზე "დაკონსერვებული" იყო, წელს საბოლოოდ დასრულდება და 64 ოჯახი კუთვნილ ბინებს მიიღებს. გუშინ საცხოვრებელი კორპუსი თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ მოინახულა. ამჟამად კორპუსში კარ-ფანჯრების ჩასმა და შიდა კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო ზამთრის პერიოდთან დაკავშირებით აცხადებს, რომ მცხეთა-ყაზბეგი-ლარსისა და გუდაური-კობის მონაკვეთების საავტომობილო გზებზე მოძრაობა შეზღუდულია. მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით, აუცილებელია მძღოლებმა მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები გამოიყენონ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სერტიფიკაციის, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის დეპარტამენტ „საქსტანდარტი" ქვეყანაში არსებული სავაჭრო ობიექტების რაოდენობის დადგენას ცდილობს. პირველ ეტაპზე „საქსტანდარტმა" მიმართა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს და სავაჭრო ობიექტების განლაგების დაზუსტება სთხოვა. სამუშაოები თბილისიდან დაიწყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერი ვანო ზოდელავა გუშინ საქართველოს დამსახურებელ მხატვარს ლევან ცუცქირიძეს ესტუმრა. ქალაქის მერი ცნობილ ხელოვანს შეჰპირდა, რომ მერიის შენობის ფოიეში, ან საგამოფენო დარბაზ "ქარვასლაში" მის ნახატებს გამოფენას თავად გაუწევს ორგანიზებას. ქალაქის მერმა დღევანდელი სტუმრობისას ხელოვანს ფინანსური დახმარებაც გაუწია. **ინტერ-პრესი**

ნომრის სტუმარი

# პატარა ქვეყნის ყველაზე ძლიერი იარაღი შიდა ერთიანობა და დიპლომატიაა

*ნამდვილად სიმბოლური იყო - საზღვარზე, იაპონელმა ოფიცერმა ვიზები რომ წაიკითხა - რა ქვეყანა არისო, იკითხა. იცოდა, რომ ამერიკის ჯორჯია არ იყო... ალექსანდრე რონდელი და მისი თანამგზავრი ამას მიჩვეულები არიან და იაპონელ ოფიცერს მოთმინებით აუხსნეს - კასპიის ზღვა, შავი ზღვა, რუსეთის სამხრეთი... კავკასიაო, - მიხვდა ოფიცერი და თვითონვე გაუხარდა... ამ ფაქტიდან რამდენიმე საათში მთელმა იაპონიამ გაიცნო საქართველო, რადგან ამ ქვეყანაში მართლაც სასწაული ხდებოდა.*
*საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პრეზიდენტი ალექსანდრე რონდელი ორიოდე დღის წინ დაბრუნდა იაპონიიდან, სადაც 22 ნოემბერს სულ სხვა საქართველოდან გაემგზავრა.*

მაია ჭალაგანიძე

**- "ვარდების რევოლუციას" იაპონიიდან აკვირდებოდით. რა შთაბეჭდილებას ვტოვებდით შორიდან?**

- იპონიაში ჩვენი ფონდის ვიცე-პრეზიდენტ თემურ იაკობაშვილთან ერთად წავედი. ვიცოდით, რომ თბილისში დიდი მასშტაბის მასობრივი გამოსვლები იყო მოსალოდნელი, მაგრამ ეს მივლინება ადრე იყო დაგეგმილი.

ჩვენმა ფონდმა დაიწყო თანამშრომლობა იაპონიის უდიდეს ფონდთან Nipon Faoundation, რომლის პრეზიდენტიც ცნობილი ბიზნესმენი და დიდი ქველმოქმედი ბატონი სასაკავაა. სასაკავას "მშვიდობის ფონდთან" ერთად კონფერენცია გავმართეთ და, როგორც ჩანს, თანამშრომლობა გაგრძელდება. ისინი კავკასიაში პარტნიორს ეძებდნენ და ჩვენი სახით იპოვეს.

**- რა ინტერესები აქვთ?**

- მათ სურთ, რომ იაპონიის ეკონომიკური განვითარების, ზრდის, ცვლილებებისა და რეფორმების გამოცდილება საქართველოში იყოს გამოყენებული. სხვა კერძო ინტერესები არ გააჩნიათ. ისინი აზიის თითქმის ყველა ქვეყანაში მუშაობენ, აქტიურები არიან ცენტრალურ აზიაში. ალბათ, კავკასიის სატრანზიტო ფუნქციითაც დაინტერესდნენ და გამოჩენა სურთ. მათი აქტიურობა ჩვენი ინიციატივაც იყო. იაპონია ხომ ეკონომიკურად მსოფლიოში მეორე ძალაა; მუყაითობისთვის, გამორჩეული შრომისუნარიანობისთვის იაპონელებს მსოფლიოში პატივს სცემენ. შეხვედრებისას ამას სულ აღვნიშნავდით ხოლმე. რა თქმა უნდა, მოსწონთ, ამას რომ ეუბნებიან. თუმცა, ცდილობენ, ემოცია არ აჩვენონ.

სასაკავა გავლენიანი ფიგურაა და მისი ფონდი იაპონიაში უდიდესია. ყოფილ პრემიერთან, ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრთან სწორედ სასაკავამ შეგვახვედრა. ამ ფონდთან თანამშრომლობა ნიშნავს კონტაქტებს უშუალოდ იმ წრეებთან, ვინც იაპონიაში გადაწყვეტილებებს იღებს და საზოგადოებრივ აზრს აყალიბებს. ბედმა გაგვიღიმა, ზუსტად იმ მომენტში აღმოვჩნდით იქ, როდესაც საქართველოს ბედი წყდებოდა. ამან ჩვენს მიმართ დამატებითი ინტერესი გამოიწვია.

საქართველო იაპონიისგან საკმაოდ შორს არის. ბუნებრივია, სამშობლოში მომხდარი ამბები ძალიან გვაღელვებდა. დღის განმავლობაში უამრავი საქმე გვქონდა და საინფორმაციო გადაცემებს, ძირითადად, ღამით ვუყურებდით. რევოლუციის გამო დამატებითი შეხვედრები დაინიშნა. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მაღალ დონეზე შეხვედრა და დეტალებში გარკვევა მოინდომა. შეხვედრა ისურვა პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის დირექტორმა ბატონმა კონომ. ის იაპონიის პოლიტიკის ახალგაზრდა, ამომავალი ვარსკვლავი, მადლენ ოლბრაიტის ასპირანტი, ძალზე საინტერესო პიროვნებაა. მან საქართველოში ჩამოსვლის დიდი სურვილი გამოთქვა. ბუნებრივია, მას საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ მეტი ყურადღება, დახმარება და მხარდაჭერა ვთხოვეთ.

შევხვდით ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს, საქართველოს საკითხებში უფრო გათვითცნობიერებულ ნაკაიამას. მისი შეკითხვები უფრო დეტალური და პროფესიული იყო. როგორც ჩანს, ამ არჩევნების დროს იაპონელები დამკვირვებლებს გამოაგზავნიან, ან განცხადებას გააკეთებენ და არ არის გამორიცხული, რომ სხვა ტიპის დახმარებაც შემოგვთავაზონ. შევხვდით ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ხაშიმოტოს, რომელიც ამჟამად პრემიერ კოიზუნის დიპლომატიური მრჩეველი და პარლამენტის წევრია. შეხვედრაზე დეტალურად განვიხილეთ საქართველოში მიმდინარე ამბები და პერსპექტივები.

იაპონიის ხელისუფლება დღეს ურთულესი ამოცანის წინაშე დგას. ის კოალიციას შეუერთდა და თავისი სამხედროების ერაყში გაგზავნას აპირებს. მთავრობის გადაწყვეტილება საზოგადოებამ არაერთგვაროვნად აღიქვა. ხელისუფლებას ეშინია, რომ მსხვერპლის შემთხვევაში, ძალზე სერიოზული პრობლემების წინაშე დადგებიან. იაპონიაში ასეა - პროტესტს გამოთქვამენ, ხალხი ქუჩაში გამოვა და მთავრობა გადადგება... იაპონიის ხელისუფლების მთავარი საზრუნავი ახლა ეს არის. ამის მიუხედავად, მხარდაჭერა მაინც აღგვითქვეს.

ვეთანხმები იმ ჟურნალისტებს, ვინც აღნიშნავდა, რომ ეს სხვა საქართველო იყო და 1991 წლის ისტერიკას და საგიჟეთს არ ჰგავდა. იქიდან უკეთ გამოჩნდა ჩვენს საზოგადოებაში არსებული დემოკრატიული მუხტი, რომლის იმედიც მთლიანად გადაწურული მქონდა. უამრავი ისეთი ხალხი დავინახე, ვისაც მართლა შესტკივა გული ქვეყნისთვის. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში უფრო ფეოდალური საზოგადოების მშენებლობის ნიშნებს ვხედავდი. ახლა დავინახე, რომ ხალხში დემოკრატიული ფასეულობები არსებობს, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისთვის კარგი საფუძველია.

**- ეს რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, რა გვემუქრებოდა? ბოლო პერიოდში საერთაშორისო არენაზე ჩვენი ღირსება სასწორზე იდო.**

- დასავლეთის გაციება ჩვენს მიმართ გასაგები იყო - ათი წელიწადი ერთ კლასში ვისხედით და სხვა კლასში გადასვლა ვერ მოვახერხეთ. ბუნებრივია, საერთაშორისო არენაზე ეს მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა.

დასავლეთი ცოტა უსამართლოც იყო ჩვენს მიმართ - ჩვენი ისტორია არ გვაძლევს იმის საშუალებას და არც მათ აძლევთ იმის თქმის უფლებას, რომ 10 წელიწადში დემოკრატიულ სახელმწიფოდ შეიძლება ვქცეულიყავით. ეს შეუძლებელია, ამის გამოცდილება ჩვენ არ გვაქვს. მაგრამ ვფიქრობ, რომ საკმაოდ წინ წავედით. ამ რევოლუციამ აჩვენა, რომ ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა და, რაც მთავარია, ხალხმა დაინახა, რომ მას თავად ძალუძს რაღაცის შეცვლა. ჩვენში ხომ ცინიზმი და ნიჰილიზმია გაბატონებული. საბედნიეროდ, თვითშეფასების ეს სტერეოტიპი იცვლება. მთავარი ის არ არის, თუ სხვა რას ფიქრობს ჩვენზე. მთავარია, თავად რას და როგორ ვფიქრობთ.

**- საქართველოს იზოლაცია საერთაშორისო თანამეგობრობიდან რეალური იყო?**

- ჩვენში შეიქმნა ხელისუფლების პირამიდა, სადაც ყველა ერთი კაცის მიმართ იყო ანგარიშვალდებული. ჩვენს ხელისუფლებაში, დაახლოებით, 3 ათასი კაცია და ბუნებრივია, ეს უზარმაზარი სტრუქტურა, რომელშიც არჩევითობა არ არის და ყველა ერთ კაცსაა მიჩერებული, არ შეიძლება იყოს ეფექტური და არაკორუმპირებული. ეს იყო ფეოდალური სტრუქტურა - სახესხვაობით. ეს ჩვენი დიდი ხნის ისტორიული გამოცდილებაა. მისი შეცვლა საკმაოდ რთულია. იგი ნელ-ნელა იწყებს მსხვრევას.

ისტორიაში ყველაზე კარგად ფეოდალიზმი უნდა ისწავლო, რადგან მისი ნიშნები ყველგან არის, ზოგჯერ დემოკრატიის დროსაც კი გამოსჭვივის ხოლმე. დემოკრატია ყოველთვის ამ ფეოდალურ გადმონაშთებს ებრძვის, იმიტომ რომ, ხელისუფლების საკუთრების შეგრძნება ჩვენში დაბუდებულია. სტრუქტურა, რომელიც შევარდნაძის დროს შეიქმნა, მისი გამოგონება არ იყო. უბრალოდ, მან ეს ამჯობინა სხვებს, ამ სტრუქტურაში შეეძლო მართვა და ამას ისე აკეთებდა, როგორც იცოდა.

ბევრისთვის, ვისაც გაეგებოდა, ეს ცუდი სიგნალი იყო. ვფიქრობდით, რომ ამ ერთგვარ ღარს მუდმივად გავყვებოდით და დიდხანს ვერ ამოვიდოდით - სწორედ ეს იყო სასოწარკვეთილების წყარო. ახლა ამ სტრუქტურის რღვევაა მთავარი.

იცით, ჩვენთან როგორი დემოკრატია იყო? – არსებობდა სცენა, სადაც მაგალითად კედლები, ყვავილები დეკორაცია იყო. ჩაი, რომელსაც არტისტები სვამდნენ - ნამდვილი. სკამიც ნამდვილი იყო, მაგრამ კუთხეში მიგდებული ჩანთა - დეკორაცია. რაღაც ელემენტები დემოკრატიული იყო, რაღაც - გამოგონილი. პრესა მაინც დემოკრატიული იყო და ხედავთ, რა გააკეთა მასმედიამ?! პრეზიდენტ შევარდნაძეს უნდა ვუმადლოდეთ; იმ ელემენტების შემოსვლას არ შეუშალა ხელი, რომელმაც მისი რეჟიმი კი დაასამარა, მაგრამ ქვეყნისთვის კარგი როლი შეასრულა. შევარდნაძეს ეს არ უნდა დავუკარგოთ.

კარგია, რომ ყველაფრის მიუხედავად, ეს რევოლუცია ცივილურად დასრულდა - არც არავინ გაქცეულა, არც არავინ ჩაუქოლიათ. ყველას თავისი უნდა დაუფასდეს - კარგიც და ცუდიც - ეს არის დემოკრატიის, ცივილიზებული, ახალი ქართველი ერის ძალიან კარგი დასაწყისი.

**- რა საფრთხეები ელის ახალ ხელისუფლებას?**

- საქართველოში, ტრადიციულად, ორგვარი საფრთხე არსებობს - რუსეთი და თავად ქართველები. ხან ერთი ჭარბობს, ხან მეორე, ხან ორივე ერთად. ზოგჯერ კი - ერთი ახერხებს მეორის აზვირთებას. სწორედ მაშინ არის ყველაზე საშიში, როდესაც გამცემლობის სინდრომი იღვიძებს. მოღალატეობა - ისტორიული თავისებურებების, სიმცირის, თავის გადარჩენის ინსტინქტის და ფეოდალური გადმონაშთების გამო - ჩვენში ოდითგან იყო განვითარებული. მაგრამ, ამ ყველაფერს ერთი საშიშროება დაემატა - ჩვენში უზნეოები, ქურდები და არამზადები კრიტიკულ მასამდეა მისული, რასაც წინა რეჟიმმა შეუწყო ხელი და თავადვე ველარ ერეოდა. უზნეობაზე, სიცრუესა და სიყალბეზე იყო აგებული ყველაფერი.

ახალმა ხელისუფლებამ ის უნდა მოახერხოს, რომ რაც შეიძლება, მეტი ცვლილება, მეტი არჩევითობა შემოიტანოს. ჩვენ ისიც კი ვერ გავიგეთ, რომ კულტურა მხოლოდ მრავალხმიანი სიმღერები და ძველი ანბანი კი არა, კანონის უზენაესობაა. სწორედ ამის მერე აყვავდება კულტურისა და ხელოვნების დანარჩენი ელემენტები. კულტურა არის დოვლათის შექმნისა და თვითმმართველობის უნარი. ამ თვალსაზრისით ჩვენი ქვეყანა ძალიან უკულტურო და ჩამორჩენილია.

**- მიმდინარეობს საკადრო ცვლილებები. შევარდნაძე-მენაღარიშვილის დიდი ეპოქა - თავისი პლუსებითა და უარყოფითი მხარეებით - დასრულდა. რას მოიტანს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე თედო ჯაფარიძის დანიშვნა, რომელსაც შევარდნაძის ხელისუფლებაში მოუხდა კარიერაზე ზრუნვა?**

- შევარდნაძის ეპოქას ასე მთლიანად ხაზს არ გადავუსვამდი. დრო გავა და რაღაც ისეთი ამოტივტივდება, რაც ახლა უხილავია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ შევარდნაძის ეპოქა საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ეპოქა იყო. პირადად მისმა სახელმა დადებითი როლი შეასრულა. ისიც უნდა ითქვას, რომ მან თავისი მმართველობის უკანასკნელ წლებში ველარ შეძლო იმის გაკეთება, რაც უნდა გაეკეთებინა (განსაკუთრებით, შიდა პოლიტიკაში) და საგარეო პოზიციებიც შეუსუსტდა. იგივეს თქმა შეიძლება მენაღარიშვილზეც, რომელმაც პროდასავლური კურსი გაატარა და პოსტიდან ღირსეულად წავიდა. ვფიქრობ, რომ ეს კურსი გაგრძელდება, რადგან საქართველოს სხვა გზა არა აქვს. საგარეო კურსის ეფექტურობისთვის ასევე აუცილებელია, რომ ქვეყანამ შიგნიდან გაიმაგროს თავი. შიდა და საგარეო პოლიტიკა ერთმანეთთან არის დაკავშირებული. თუ ქვეყანა შიგნიდან სუსტდება, საგარეო კურსი არ შეიძლება იყოს თანმიმდევრული. იწყება მანევრირება, ტყუილები, მოწინააღმდეგე ხედავს, რომ დასუსტებული ხარ და უპირატესობას იგდებს ხელთ.

საქართველო უნდა დაეწაფოს ევროპულ, უნივერსალურ ღირებულებებს. რუსეთთან ჩვენი პრობლემა - ღირებულებების პრობლემაა. ქართულ საზოგადოებას არ უნდა ისეთ ორბიტაზე დაბრუნება, სადაც მომავალში დემოკრატიულ ერად ჩვენი გადაქცევა სათუო იქნება. რასაც ჩვენ ევროპაში ვეძებთ, რუსეთში ვერ ვნახავთ.

**- გაგვიჩნდა თუ არა ახალი ამოცანები და პერსპექტივები ევროპულ, ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში?**

- ქართველებს საბჭოთა კავშირიდან პარაზიტული თვისებები გამოგვყვა - რას მოგვცემენ, რას ვიშოვით და ა.შ. სხვათა შორის, ეს თვისებები პატარა ქვეყნისთვის დამახასიათებელია. ჩვენ ვეძებთ უსაფრთხოებას, ეკონომიკური განვითარების საშუალებას. ამიტომ გვინდა თავის შეფარება ნატო-ში და ისეთ სტრუქტურებში, ვინც მეზობლებს ჩვენი დაჩაგვრის საშუალებას არ მისცემს. მაგრამ, ისინი საქველმოქმედო ორგანიზაციები არ არიან. იქ გარკვეული ფუნქცია უნდა შეასრულო. ამიტომ, ახალმა ხელისუფლებამ სწორი სტრატეგია და მისი განხორციელების გზები უნდა აირჩიოს. რაც შეიძლება მალე დაანახოს სამყაროს, რომ სწორ გზას ვადგავართ. შედეგად - იქნება მეტი დახმარება და ხელშეწყობა. გაჩნდება იმედი, რომ ისინი მიგვიღებენ.

**- რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კრიტიკულ დროს ჩამოვიდა საქართველოში. ამან შექმნა ილუზია, რომ რუსეთმა ჩვენთან პარტნიორული ურთიერთობები არჩია. ჰოლანდიაში მიმდინარე ეუთო-ს შეხვედრებმა და მანამდე პუტინის გამოსვლამაც დაადასტურა, რომ ეს ასე არ არის. რას ნიშნავს რუსეთთან ურთიერთობის ნულიდან დაწყება, რა უნდა გააკეთოს ამისთვის საქართველომ და რისი დათმობა მოუწევს რუსეთს?**

- საქართველოს რუსეთთან აღარაფერი აქვს დასათმობი - ახლა გაძლებაზე გვაქვს საქმე. რუსეთს შეუძლია, დათმოს, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ელიტა ფიქრობს, რომ საქართველოზე კონტროლის გარეშე სტრატეგიული გეგმების განხორციელებას ვერ შეძლებს. პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აშკარად ჩანს, რომ ელიტა ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებისგან რაღაცა ტიპის კავშირის აღდგენას ცდილობს, ეს აშარაა - უსაფრთხოების ახალი სტრუქტურის დაარსება სომხეთთან თამაშით, გაუგებარი თამაში ბელორუსთან, ყაზახეთთან, უკრაინასთან, კავკასიაში და ა.შ. ისე რთულად არავის დაუწყია დამოუკიდებლობა, როგორც საქართველოს და ასე რთულად არავის წასვლია საქმე რუსეთთან, როგორც ჩვენ. 12 წელიწადია, რუსეთის სტრატეგიული და პოლიტიკური კაპრიზების მსხვერპლი ვართ.

რაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მოხდა, ბევრი რამ ჩვენი ბრალია, მაგრამ პირდაპირ ვთქვათ, რომ რუსეთმა ჩვენივე ტერიტორიების ამპუტირება მოახდინა. დღეს საერთაშორისო სამართლით სახეზე გვაქვს საქართველოს ტერიტორიის სამხედრო ოკუპაცია. სამწუხაროდ, რუსეთის მეგაფონი ჩვენს მეგაფონზე დიდია და რუსეთის მოსახლეობამ არც კი იცის, რა მოხდა ამ რეგიონებში. საზოგადოებრივი აზრი რუსეთში ანტიქართულად არის განწყობილი და ეს გასაკვირი არც არის. რუსები ამას საგანგებოდ ნერგავენ. ეს ძალიან ნოყიერი ნიადაგია იმისთვის, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ანტიქართული გადაწყვეტილებები მიიღოს. როგორც წესი, პროპაგანდისტული ომი ვიღაცის მიმართ იმ შემთხვევაში მიმდინარეობს, თუ დარტყმა მზადდება და საზოგადოებას აჩვევენ აზრს, რომ დარტყმის ობიექტი ცუდია. რუსეთისთვის 12 წელიწადია, ცუდი ვართ.

**- რა უნდა მოიმოქმედოს ახალმა ხელისუფლებამ, რომ რუსეთის ჩვენდამი წარმოებული პოლიტიკა შეცვალოს?**

- ამ ზაფხულს თქვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ჩამოვთვალე, რა უნდა რუსეთს. ყველა ეს მოთხოვნა რომ შევასრულოთ (ერთი შესრულებულია - ენერგეტიკა მივეცით), დამოუკიდებლობას მთლიანად დავკარგავთ. რუსეთის მოთხოვნა ჩვენს სუვერენიტეტზე მაქსიმალურად უარის თქმა და მათ სატელიტად გახდომაა. ამისთვის საქართველო ერთადერთს მიიღებს - რუსეთის რისხვას და როგორც ისინი გვიქადიან, ტერიტორიულ დაშლას გადაურჩება.

**- შეძლებს თუ არა დამოკიდებულების შეცვლას ახალი ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკა, რომელიც შევარდნაძის დამთმობი პოლიტიკისგან რადიკალურად განსხვავებული უნდა იყოს?**

- ხელისუფლებამ საქართველოს ინტერესები უნდა გაატაროს. ამ ქვეყანას მხოლოდ დიპლომატიური რესურსი აქვს. თუ სწორი გზით მიდიხარ, თუ დემოკრატიულ სახელმწიფოს და საზოგადოებას აშენებ და პატარა შედეგები მაინც გაქვს - დემოკრატიული სამყარო აუცილებლად დაგეხმარება.

ჩვენს მიმართ იმიტომ გაცივდნენ, რომ გამოცხადებული ნდობა ვერ გავამართლეთ - უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყანა კორუფციამ შეჭამა, დემოკრატიული რეფორმები შეჩერდა, ყველა სფეროში ძალიან ცუდი გამოვლინებები იყო. ამან გამოიწვია საერთაშორისო გაციებაც და ამ რეჟიმის გადავარდნაც.

**- ხშირად საქართველოში განვითარებულ მოვლენებში მესამე, მითიური ძალა მოიხსენიებოდა. ერთნი მასში დასავლეთის სპეცსამსახურებს გულისხმობდნენ, მეორენი - რუსეთს.**

- რა თქმა უნდა, სპეცსამსახურები არსებობენ და მათ თავისი ფუნქცია აქვთ. თუ ჩვენ უკანაკნელი 30-40 წლის ისტორიას გადავხედავთ, სწორედ იქ მოხდა ყველაზე დიდი მარცხი, სადაც ძლიერი სპეცსამსახურები გვეგონა - აშშ ხშირად აღმოჩნდება ხოლმე უხერხულ მდგომარეობაში.

ყველაზე დიდი სპეცსამსახური ხალხის ნებაა. ვერც ერთი სპეცსამსახური ვერ მოახდენს ხალხის მობილიზებას, თუ ეს ხალხს არ უნდა.

**- და, "მესამე ძალას" სამუდამოდ გამოვემშვიდობეთ?**

- ჩვენ ისეთ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც სპეცსამსახურებს ისეთი როლი აღარ აქვს - ყველაფერი გახსნილია; ვფიქრობ, რომ ეს უფრო საზოგადოებრივი აზრის შექმნისთვის, ზოგიერთ პოლიტიკურ ლიდერზე ზეგავლენის მოხდენისთვის არის მნიშვნელოვანი. ახალგაზრდობაში მჯეროდა, რომ კონსპირაცია მნიშვნელოვანია. ახლა კი პროცესებისა და სტრუქტურების მჯერა - თუ სწორი პროცესები დაიძრა, ველარაფერი გააჩერებს.

**- ახლახან უშიშროების სამინისტრომ პოლიტიკური ფიგურის მკვლელობის საფრთხეზე ისაუბრა. ეს, ალბათ, საშიშია, მაგრამ რამდენად რეალური?**

- ეს ძალიან ცუდი სიგნალია, ამ სამსახურის ეფექტურობაზეც მოწმობს და იმაზეც, რომ საშიშროება მართლაც არსებობს. ვფიქრობ, რომ თუ დაცვა რიგზე იქნება, არაფერი მოხდება. ჩემი აზრით, ყველა ის მცდელობა, რომელიც დღეს მოსკოვიდან მოდის, დაშინების, ზეწოლისა და შანტაჟის ელემენტებია.

პატარა ქვეყნის ყველაზე ძლიერი იარაღი შიდა ერთიანობა და დიპლომატიაა. დიპლომატიაში ძალიან ბევრი ვისწავლეთ, შიდა ერთიანობაში კი მოგვიკოჭლებს. ჩვენ შიდა ერთიანობა დიპლომატიის დონეზე რომ იყოს, ჩვენ ქვეყანას არაფერი გაუჭირდება.



თინეიჯერი

# ვირთხები



ანა მაყაშვილი

როცა მითხრეს, - უნივერსიტეტის რექტორი უნდა გადადგეს, მოდი, მის ნაბიჯს მხარი დაუჭირე, რამდენ სტუდენტსაც შეგიძლია, იმდენს დაურეკე და მოიწვიეო, - მივხვდი, რომ ჯერ კავშირგაბმულობის მინისტრი უნდა გადამდგარიყო, ან ქსელები გამოეცვალა, ან რამე ექნა, იმიტომ, რომ საშინლად გავწვალდი – მარტო პოპულარულ ნომრებზე ირეკებოდა.

და როცა მივხვდი, რომ კავშირგაბმულობა უფრო მაწუხებდა, ვიდრე კორუმპირებული სწავლა-აღმზრდელობითი პროცესი, არ გადამიწყვეტია კავშირგაბმულობის სამინისტროს წინ აქციის გამართვა, იმიტომ, რომ, სინამდვილეში, სხვა რამე უფრო მაწუხებდა – მეგობარს უნდა შევხვედროდი სადგურზე, რომელიც მატარებლით ზესტაფონიდან მეგობრის მეზობლის ბებიის გასვენებიდან ჩამოდიოდა. შვიდ საათზე იქ ვიყავი, თუმცა ვიცოდი, რომ რვამდე მაინც მომიწევდა ლოდინი. ლოდინმა მოლოდინს გადააჭარბა, ძალიან დიდხანს მომიხდა ყურყუტი; ამასობაში თორმეტჯერ მოვახერხე ჩემი ჩანთის დაცვა ადგილობრივი ბოროტმოქმედებისგან. და მეც გაბოროტებული უკვე სახლში დაბრუნებას ვაპირებდი, რომ ჩვენი მატარებლის ამაყი გუგუნი მომესმა. გათანგული მეგობრისგან შევიტყე, რომ, არასაკმარისი ძაბვის გამო, მატარებელი თბილისის შემოსასვლელთან სამ საათს უძრავად იდგა; და მივხვდი, რომ ტრანსპორტის მინისტრსაც საფრთხეს შევუქმნიდი, მაგრამ აქციის მოწყობა არ გადამიწყვეტია, იმიტომ, რომ დაღლილი (მეც და მეგობარიც) სახლში უნდა წავსულიყავით.

სახლამდე მივაღწიეთ, ლიფტში რომ შევედით და ექვს-ნახევარი სართული ავიარეთ, დენი გამოირთო და მივხვდი, რომ თელასსაც ვერ ჰქონდა კარგად საქმე, მაგრამ ამას მერე მივხვდი, იმიტომ, რომ იმ წუთებში შიშით ვიყავი მოცული. საბედნიეროდ, ლიფტს ნახვრეტები ჰქონდა და სუნთქვას ვახერხებდით; როცა ჰაერი ბოლოჯერ მოვაგროვე ღრმულიდან და ვთქვი, - ალბათ, ლიფტში სიცოცხლე მიწერია-მეთქი, ვიღაცამ რკინის ჯოხით მოაკაკუნა კარებზე. საბოლოოდ გავთავისუფლდით, უცნობს მადლობა გადავუხადეთ, ვისკუპეთ ნახევარი სართულით დაბლა და მე ფეხი რაღაც რბილში ჩავაბიჯე – ვირთხის გვამი იყო. შეძრწუნება ვერ მოვასწარი, რომ მალე კივანა ვირთხების ალყაში აღვმოჩნდით, გიჟებივით ავირბინეთ კიბეები, თან ზედ მკვდარი ცხოველის სისხლის კვალს ვტოვებდი და სახლის ზღურბლს რომ გადავაბიჯე, აღარც ვიცოდი, რომელი სტრუქტურისთვის უნდა მეგინებინა დედა - ალბათ, უფრო მერიისთვის, მაგრამ მაშინ მარტო ვირთხებს ვაგინებდი. და მივხვდი, რომ გინება დამოკიდებულების გამოხატვის ყველაზე არაპერსპექტიული ხერხი იყო, იმიტომ, რომ ვერაფერსაც ვერ ვავნებდი ვერავის. მაგრამ, აქციების მოწყობა არ გადამიწყვეტია, იმიტომ, რომ დეპრესია დამეწყო, რომლის მიზეზად მეცნიერებმა ვირთხოფობია მიიჩნიეს.

და მე მივხვდი, რომ მეცნიერებიც სულელები იყვნენ, იმიტომ, რომ, მაგათი თქმის გარეშე, მეც ვიცოდი ჩემი მდგომარეობის მიზეზი. ისინი კი ჩემი თქმის გარეშე ვერ მიხვდებოდნენ – ხომ არ დაესიზმრებოდათ ვირთხებთან ინციდენტი?!

მე რამდენჯერმე დამესიზმრნენ ვირთხები, მაგრამ დეპრესიიდან მალე გამოვედი და გავაგრძელე რაღაც-რაღაცების მიხვედრა - მაგალითად იმის, რომ კულტურის სამინისტრო არაფერს მართავდა, ბრიფინგების გარდა, და ყველაზე კარგად ის მუსიკოსები მღეროდნენ, ის მწერლები წერდნენ და ის მხატვრები ხატავდნენ, რომელთა პროდუქცია მათი სახლის კარს არ სცდებოდა. კიდევ მივხვდი იმას, რომ წითელ შუქზე ყველაზე ხშირად პოლიციელის მანქანა გადადიოდა და ყველაზე მეტ საშიშროებას უშიშროების სამინისტროში ქმნიდნენ.

მაგრამ, აქციების მოწყობა არ გადამიწყვეტია, იმიტომ, რომ უცებ დავიბენი და საერთოდ ველარ მივხვდი, რა მაწუხებდა ყველაზე მეტად. ამდენმა წუხილმა ერთად რომ ამოყო თავი და ბოლოს ყველაფერი ზიზღში რომ გადაიზარდა, ემინემის ლირიკის გადაკითხვით ვიჯერე გული. მასში უხვად იყო ლანძღვა და გინება.

და მერე გამახსენდა: როცა ემინემს ტვინი შეუჭამეს, შენი სიმღერებისთვის ასეთ უცენზურო ტექსტებს რატომ წერო (განსაკუთრებით, სიმღერებში კრისტინა აგილერას და ბრიტნი სპირსის მიერ განხორციელებული ორალური სექსების მოხსენიება იგულისხმეს), მან ასეთი პასუხი გასცა, - რაზეც მინდა, იმაზე ვიმღერებ, მე რას გადამეკიდეთ, ვერ ხედავთ, ჩვენი პრეზიდენტი, სადაც ბუჩქს დაინახავს, იქვე იცუცქება, ორალური სექსისთვის მუდამ მზადააო. ამით ჩვენს წარსულ ან მომავალ პრეზიდენტზე რაიმე მინიშნებას კი არ ვაკეთებ (პირიქით, მე გამიხარდებოდა, ასეთი ავანტიურული ისტორიებით რომ იყვნენ განთქმულნი), უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ აქ ჯერჯერობით ვირთხას ვერ დაუშლი სადარბაზოში დროსტარებას, მანქანიან პოლიციელს ვერ დააკმაყოფილებ მწვანე შუქზე სიარულის უფლებით და რექტორშიც ვერ ჩაახშობ კორუფციისადმი განწირულ სიყვარულს. თუმცა, ჯერ ვერც ჩემი გულიდან მოახერხებ ვირთხების სიძულვილის ამოფხვრას.

მოკლედ

# ფესტივალი სალონიკში



ჟიურის თავმჯდომარე ოთარ იოსელიანი

რუსული კინოს ტრიუმფით დასრულდა რიგით 44-ე საერთაშორისო კინოფესტივალი სალონიკში. ფესტივალის მთავარი პრიზი "ოქროს ალექსანდრე" რეჟისორ ალექსეი გერმან-უმცროსის ნამუშევარს "უკანასკნელ მატარებელს" მიენიჭა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საერთაშორისო ჟიურიმ, რომელსაც ცნობილი ქართველი რეჟისორი ოთარ იოსელიანი ხელმძღვანელობდა.

ფილმმა "უკანასკნელი მატარებელი" საერთაშორისო ფილმების ასოციაციის ჯილდოც დაიმსახურა. კინოფესტივალის ერთ-ერთ ნომინაციაში, "სხვა ჰორიზონტები," დაჯილდოვდა კიდევ ერთი რუსული ფილმი – ანდრეი ზვიაგინცევის "დაბრუნება"; ფესტივალის საუკეთესო კინონამუშევრებად კი იტალიელი კინორეჟისორის მიქელანჯელო ფრამარტინოს "საჩუქარი" (რომელსაც "ვერცხლის ალექსანდრე" მიენიჭა) ბერძენი რეჟისორების: მიხალის რეპასისა და ტანასის პაპატანასიუს ფილმი "ჟანგბადი" აღიარეს. ფესტივალის პრიზიორებს შორის იყვნენ არგენტინელი, ჩეხი, ირანელი და ფრანგი კინემატოგრაფები. სულ ფესტივალში 200-ზე მეტი ფილმი მონაწილეობდა.

# კულტურის სტრატეგია საქართველოში

**1. რა უნდა იყოს კულტურის სამინისტროს ფუნქცია?**
**2. რა ცვლილებებს მოელით, ამ მხრივ, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ?**

**გოგა ხაინდრავა**

*კინორეჟისორი*

**1.** მისი დანიშნულება უნდა იყოს პირობების შექმნა, რომ ვიღაცების ნიჭი არ დაიკარგოს, ემსახუროს ჩვენს ქვეყანას. ეს არის ფუნქცია. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ახლა ცივილიზებული სამყაროს კარი შევაღეთ და, როგორც მიღებულია ამ სამყაროში, იმ წესით უნდა ვითამაშოთ - იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც საქართველოს აქვს, ვთქვათ, უძველესი კულტურა, დიდი წარსული. ოღონდ ჩვენ წარსულით კი არ უნდა ვცხოვრობდეთ, არამედ მომავლით. წარსული უნდა გვიმაგრებდეს ზურგს მომავალში შესასვლელად.

**2.** საბჭოთა კავშირი დამთავრდა საქართველოში 23 ნოემბერს, გიორგობას. ყველა სტრუქტურა შენარჩუნებული იყო და იმ წესით ფუნქციონირებდა, რაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში არსებობდა. ბუნებრივია, რომ კულტურის სამინისტრო, როგორც აქამდე წარმოედგინათ თავის თავი იქ შეკრებილ "ჩინოვნიკებს", აღარ უნდა არსებობდეს. ეს არის კოორდინატორის ფუნქციის მატარებელი დაწესებულება. რა დაერქმევა და რა გაერთიანდება, არ ვიცი. მე, მაგალითად, ასე ვხედავ, რომ, სპორტი, ტურიზმი, კულტურა, - ეს ყველაფერი ერთად უნდა იყოს ერთი სახურავის ქვეშ. რა სახით და სტრუქტურულად როგორი იქნება, ეს ჩემი სამსჯელო არ არის, იმიტომ, რომ მე ამის მცოდნე არ ვარ. ვფიქრობ, რომ კარდინალურად უნდა შეიცვალოს არამარტო კულტურის, არამედ ბევრი სამინისტრო. უნდა არსებობდეს მხოლოდ და მხოლოდ კოორდინატორის ფუნქციებით, არანაირი მართვა-გამგეობითა და დირექტივებით. კულტურის სამინისტროში სამსაათიანი სხდომები რომ იმართებოდა და მსჯელობდნენ - რას მსჯელობდნენ, მე როგორ გადავიღო კინო? ან, გია ბუღაძემ როგორ დახატოს? ან პაატა ბურჭულაძემ როგორ იმღეროს? ჩვენ კარგად ვიცით ეს.

**კოტე ყუბანეიშვილი**

*პოეტი*

**1.** კულტურის სამინისტრო - ეს ტერმინი ცოტა მოძველებული მგონია. ჩვენ, ალბათ, ჩვენი, ქართული სახელი უნდა მოვუგონოთ ამ სტრუქტურას; მაგალითად, ასეთი - დარბაზი, ან, რა ვიცი... რაც მთავარია, მასში კომპეტენტური ხალხი უნდა შევიდეს. 30-40 წლამდე არავინ არ უნდა შეუშვა. 25 წლის კაცი კულტურის სამინისტროს სახელით რომ დაიწყებს საუბარს, ესე იგი, ლიტერატურასთან და ხელოვნებასთან მას არანაირი კავშირი არ აქვს; ე.ი. მუშაკი და ფუნქციონერია. ხალხმა უნდა აირჩიოს რაღაცნაირად ის ხალხი, ვინც უკვე ხალხში ცნობადია და ვისი სიტყვაც ფასობს. მე, მაგალითად, წინააღმდეგი ვარ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ არ მოვხვდე ასეთ სტრუქტურაში, ვინც არ უნდა დამასახელოს. ახლანდელ ახალგაზრდებს ვატყობ, რომ ამისკენ მიდრეკილება აქვთ. რატომაც არა, - ფიქრობენ ისინი; ამიტომ არის ხოლმე მათი ტექსტები ბანალური. ჩვენმა საქმეებმა უნდა ილაპარაკონ. ჯერ ხომ ერთი სპექტაკლიც არ გაგიკეთებია, ან წიგნი არ გამოგიცია, მაგალითად, "დავითიანის" მსგავსი. ფუნქცია კი ის უნდა იყოს, რომ გზა გაუკვალოს ნიჭიერ ადამიანებს ოქსფორდის, კემბრიჯის უნივერსიტეტებისკენ; დაამყაროს კონტაქტები; ინტეგრაციას ხელი შეუწყოს.

**2.** მე, მაგალითად, ვაპირებ, გავაკეთო ის, რაც შემიძლია. სულ არ მჭირდება კულტურის სამინისტრო.

**ლევან წულაძე**

*რეჟისორი*

**1.** სამინისტრო იმ ფუნქციით, რომლითაც აქამდე იყო, ნამდვილად არ უნდა დარჩეს. ფოსტალიონს მაგონებდა, რომელიც განუწყვეტლივ თანხას ან რიცხავდა ან ირიცხავდა. არ გააჩნდა ბერკეტები, რომლითაც განსაზღვრავდა მიმართულებას, რომელი პროექტი დაეფინანსებინა. მიმაჩნია, რომ სამინისტროს მხრიდან დაფინანსება პროგრამული უნდა იყოს. მოჭრილი თანხა არ უნდა ჰქონდეს თეატრს მხოლოდ იმიტომ, რომ მას აკადემიურის სტატუსი აქვს.

**2.** თანხების მომატებას ნამდვილად არ ველოდები. როგორი უნდა იყოს კულტურის სტრატეგია და პოლიტიკა, ამაზეც უკვე ბევრი ითქვა. ჩემი აზრით, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვაა საჭირო და მერე ყველაფერი შეიცვლება.

**დავით-დეფი გოგიბედაშვილი**

*მწერალი*

**1.** პირადად ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმ ორგანიზაციას, რომელიც, გარკვეულწილად, აგებულია ძლიერ მენეჯმენტზე და განაგებს კულტურულ სფეროს, ერქმევა თუ არა კულტურის სამინისტრო. ჩემი აზრით, კულტურის სამინისტრო საერთოდ არც არის საჭირო იმ სივრცეში, რომელიც ჩვენ დღეს მივიღეთ. მაგალითად, ამერიკაში საერთოდ არ არის კულტურის სამინისტრო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ცუდია. ამას აქვს თავისი გამართლება იმ მხრივ, რომ სამინისტრო თუ იქნება აგებული გამართულად, სწორედ, გრამატიკულად გასწორებულ მენეჯმენტზე, ძლიერ ფინანსურ ბაზაზე და ექნება კონდირების უფლება, ანუ კრედიტების გაცემის გარდა, ექნება უნარი, რომ ხელოვანს არ დაუკარგოს მისი შემოქმედებითი სივრცე, გაიყვანოს უცხოეთში, მოუწყოს თუ მხატვარია – გამოფენები, თუ მწერალია – წიგნების თარგმნა, ტირაჟირება, - მაშინ ეს ყველაფერი მისასალმებელია. მაგრამ, ამ პირამიდას, რომლის სათავეში მინისტრი ზის, შემდეგ მინისტრის მოადგილე, შემდეგ განყოფილების გამგეები და ასე შემდეგ, მაშინ ეს სტრუქტურა სულ მოსაშლელია, რადგან კულტურა თვითმყოფადი სუბსტანციაა ადამიანის ემოციური და მენტალური სფეროების გავლენით. ეს არის ჩემი სულიერი, მშვინვიერი, ემოციური და მენტალური საწყისების კავშირი. აქედან გამომდინარე, არ არის აუცილებელი, რომ ჩვენ საქმე გვქონდეს მაინც და მაინც მინისტრთან. ხელოვანი ადამიანი, რომელსაც დრო არ რჩება ირბინოს სამინისტროებში, რათა თავისი კრედო აჩვენოს, ამ ნიადაგზე სამინისტროს შექმნა არაა საჭირო. მთავარია, იყოს სხვადასხვა ფონდებს დაქვემდებარებული ძლიერი საპროდიუსერო ცენტრი, ან პირიქით, მათზე დაყრდნობით, რომ ხელოვან ადამიანს შეეძლოს, რაც მთავრია, გაარღვიოს ეს ვაკუუმი - ანუ საქართველოს საზღვრებს გაცდეს და მოიზიდოს უცხოელი მკითხველი, მაყურებელი, პერფორმერი, ჩამოიყვანოს აქ, თვითონაც გავიდეს და მოხდეს ცნობიერების ველის გაცვლა. ნიკო ფიროსმანს, გალაკტიონ ტაბიძეს, ლადო ასათიანსა თუ ტერენტი გრანელს საერთოდ არ სჭირდებათ კულტურის სამინისტრო; ასეთი თვითმყოფადი ადამიანებით სავსეა საქართველო; ქართველები ნიჭიერთა ერია. ეს არის თავმდაბალი, მამაცი ადამიანების რაღაცა დაჯგუფება, რომელსაც ჩვენ ქართველებს ვუწოდებთ. ამიტომ, ჩვენ არ ვართ დამოკიდებულები მარტო სამინისტროებზე; ჩვენ დამოკიდებულები ვართ ჩვენს პასუხისმგებლობაზე, ანუ იმ ნიჭზე, რაც ბუნებამ დაგვაბერტყა თავს ყოველ ჩვენგანს; ამას სჭირდება, უბრალოდ, კარგი ორგანიზება; ეს არის ფუნქცია – ორგანიზებული, ძლიერი დაფინანსებითა და, რაც მთავარია, ღია და უბრალო ურთიერთობებით შემდგარი. აქ არ უნდა იყოს კაბინეტებში ჯდომა;

**2.** ყველაფერი მიდის ისე, როგორც ეს გვინდოდა ჩვენ - ადამიანებს, ქართველებს, მოქალაქეებს და, ღმერთმა ქნას, ასე გაგრძელდეს. მე მივესალმები ყველას, ვინც შემოვა კულტურის სამინისტროში ამ იდეით, რომ შეიქმნას სწორედ ასეთი ორგანიზაცია, რომელიც დახმარებას გაუწევს ხელოვან ადამიანებს არა კაბინეტური გზით, არამედ პირადი, სულიერ-ემოციური ფაქტორის გათვალისწინებით. "ვარდების რევოლუციას," რა თქმა უნდა, დიდი წვლილი მიუძღვის. ეს საწყისი ეტაპია, მთავარი ეტაპი წინ გვაქვს - ევოლუცია. როგორც მოხდა რევოლუცია ჩვენს ცნობიერებაში, ყველა ადამიანის გონში და გულში შეაღწია, ახლა ევოლუციამ უნდა განავითაროს ჩვენი გენეტიკური საწყისი, შინაგანი მოთხოვნილება. აქ უნდა დაიწყოს აღორძინება ძველი თვისებების, რომელიც მივიწყებულია. მე, პირადად, რევოლუციის პირველივე დღეს გამიარა ამ ეიფორიამ და დავიწყე მუშაობა. გაისად გამოდის ჩემი ახალი რომანი. ეს ნიშნავს იმას, რომ მე არ უნდა მოვწყდე ჩემში ჩაწნულ ამ რეალობას - ანუ ევოლუცია და განვითარებითი ვექტორი უნდა იყოს მიმართული დღეიდან ზეგამდე, ზეგიდან მაზეგამდე და ასე შემდეგ. წარსული უნდა ჩაბარდეს წარსულს და მომავალს უნდა ველოდეთ ჩვენს აწმყოში.

**დავით საყვარელიძე**

*რეჟისორი*

**1.** კულტურის სამინისტრო მთელ მსოფლიოში მუშაობს როგორც ფონდი, რომელიც სხვადასხვა კულტურული ორგანიზაციებისათვის აგროვებს ფულს - ფონდის ბიუჯეტს აგროვებს. ამის შემდეგ უკვე გრანტებითა და სხვადასხვა საშუალებებით კონკრეტული პროექტები ხორციელდება, მაგრამ, ასევე, არსებობს კულტურის პოლიტიკა. იმ პროექტებს აფინანსებს კულტურის სამინისტრო როგორც ფონდი, რომელიც მისთვის არის პოლიტიკურად მიზანშეწონილი. ეს არ უნდა იყოს მოგებიანი პროექტები, არამედ ინტელექტუალური და უფრო სულიერებაზე გათვლილი. ხელოვნება, რომელსაც ხელშეწყობა სჭირდება და არ მოიტანს მოგებას, საქართველოში უამრავია. კულტურის სამინისტრო ისეთი, როგორიც საბჭოთა პერიოდში იყო, ჩემი აზრით, აღარ უნდა არსებობდეს. უნდა იყოს ფუნდამენტურად განსხვავებული და ასე უფრო მოიგებს. ან კულტურის სამინისტროს ფუნქციები უნდა მივცეთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც კულტურის სფეროში ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს.

**2.** საერთოდ, ოპოზიციონერობა ასოცირდება წიგნთან, ინტელექტთან, წერასთან - მარტო ჩვენს ქვეყანაში არა, მთელს მსოფლიოში. ტოტალიტარული რეჟიმის შემქმნელები არ ასოცირდებიან წიგნებთან. მწიგნობარი ადამიანი ყოველთვის იდგა ოპოზიციაში. მე ველი წინსვლას, იმედიანად ვუყურებ. ყოველ შემთხვევაში, მთავრობა შეიცვალა უკეთესობისკენ, ჩემი აზრით, იმიტომ, რომ მოვიდა უფრო განათლებული ხალხი სათავეში. განათლება ჩემში არის წამყვანი. ადამიანი, რომელიც გრამატიკულად ვერცერთ ენაზე ვერ საუბრობს, იმან როგორ შეიძლება კარგად მართოს ქვეყანა. ასეთი ადამიანები, რომლებიც შეცდომით საუბრობენ მშობლიურ ენაზე და თვალს არ ადევნებენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, გადასაყრელი რომ იყო, რად უნდა ამას ჩემი თქმა. ჩვენი ტრაგედია ის არის, რომ გვაქვს კადრების პრობლემა. ვერ პოულობენ ადამიანებს, რომელთაც განათლება აქვთ და გაუსვრელები არიან. განათლების პრობლემას უკვე წავაწყდით.

**ლაშა ბუღაძე**

*დრამატურგი*

**1.** ჩემი აზრით, სისტემური ცვლილება უნდა მოხდეს ყველა სფეროში. სისტემის შეცვლა კონკრეტული ერთი ადამიანის გადადგომას არ ითვალისწინებდა მხოლოდ. ხალხი იყო და რჩება, უამრავი მიზეზის გამო, უკმაყოფილო. ამ შემთხვევაში ეს ითვალისწინებს პირველ სისტემურ ცვლას, როგორც განათლების სფეროში, ისე კულტურის სფეროში. უნდა იყოს ხელისუფლებიდან ნება, რომ ეს ცვლილებები განხორციელდეს. რადგან ადამიანს არ ეჭიროს მუდმივად თვალი დასავლეთზე, რომ აი, იქ უკეთესია და იქ ვიმოღვაწევებ. კულტურის სამინისტროც, იმის მიუხედავად, რომ ბევრი კარგი ადამიანი მუშაობდა დღემდეც და იმედი მაქვს, რომ იმუშავებენ, უნდა შეიცვალოს. როგორც არის ამის მაგალითები საფრანგეთში, გერმანიაში, როდესაც ფონდები განსაზღვრავენ ძირითადად კულტურის სამინისტროს სტრუქტურას. მე მგონი, ჩვენთან კულტურის სამინისტრომ უნდა შეითავსოს ტურიზმისა და სპორტის განყოფილებები და, როგორც ვიცი, ამას აპირებენ კიდეც. პირველ რიგში, ამ საქმის მცოდნეები უნდა ჩამოიყვანონ საქართველოში და ვისაც ეს ევალება, პირველ რიგში, მან უნდა ისწავლოს და განახორციელოს შემდეგ ეს ცვლილებები ჩვენთან. გვარებისა და სახელების შეცვლას არანაირი აზრი არ აქვს. თუ სისტემური ცვლილებები არ მოხდა, ეს ხალხი ისევ მოუტრიალდება ამ ხელისუფლებას - ისევე როგორც წინას.

**2.** მიტინგებზე ყოფნისას სულ ვიმეორებდი, რომ იმ მიტინგზე კონკრეტული პოლიტიკოსის გამო არ ვიყავით გამოსულები. სწორედ იმიტომ გამოვედი, რომ საარჩევნო უსამართლობა იყო ის ბოლო წვეთი, რომელიც ქართველმა ხალხმა მიიღო 12- წლიანი უამრავი უსამართლობის შემდეგ. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში კონკრეტული ადამიანის პოლიტიკიდან ველი უამრავ ცვლილებას. გასაგებია, რომ დღეს და ხვალ ეს არ მოხდება, მაგრამ ეს იქნება მალე და იქნება მაქსიმალური ცვლილება. ხალხი ელოდება მაქსიმალურ ცვლილებებს და ეს პროცესი მგონი დაიწყო კიდეც. ეს არა მხოლოდ სისტემური, არამედ მენტალური ცვლილებაც იქნება. საზოგადოება ამას ითხოვს. მან მკვეთრად გამიჯნა მორალური და ამორალური კატეგორიები. პირველ რიგში, შევეწინააღმდეგებით მენტალურ მანკიერებებს.



გიორგი ხაინდრავა



კოტე ყუბანეიშვილი



ლევან წულაძე



დავით-დეფი გოგიბედაშვილი



დავით საყვარელიძე



ლაშა ბუღაძე

# ლიტერატურის კუნძული

## წიგნის თაროები პოლიტიკოსებს

ნანა ბასილაშვილი

ყავისა და ჩაის მრავლფეროვანი ასორტიმენტი და უამრავი წიგნი, მყუდრო და ლამაზი გარემო და კიდევ სხვა მრავალი საინტერესო რამ დღეიდან ლიტერატურის პატარა კუნძულზე იარსებებს, რომელსაც, რასაკვირველია, თავისი სახელი აქვს და მას "ლიტერატურული კაფე" ჰქვია. ეს ადგილი ყველა წიგნიერ ადამიანს, ვფიქრობ, ისევე შეუყვარდება - როგორც წიგნი. ასეთია ჩემი წინასწარმეტყველება "ლიტერატურული კაფის" შესახებ. თუმცა, ამ ვარაუდებს, დღევანდელი სიტუაციიდან (წიგნისაკენ შემობრუნებას ვგულისხმობ) და ამ კაფეში გუშინ მოსული საზოგადოების საუბრებიდან გამომდინარე, გამოვთქვამ. გულთმისანი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ვიდრე სხვადასხვა მწერლებს, პოეტებს, რეჟისორებს, მუსიკოსებს და ა.შ ("ლიტერატურული კაფეს" პრეზენტაციაზე კულტურისა და საზოგადო მოღვაწეს, თითქმის, ყველას ნახავდით), ამ სიახლის შესახებ აზრის გაზიარებას ვთხოვდი, ყველას პასუხი წინასწარ ვიცოდი: "მივესალმებით... საინტერესო ინტერიერი და გარემოა შექმნილი... რაც მეტი იქნება მსგავსი ადგილები, მით უკეთესი... წიგნი, წიგნი და მხოლოდ წიგნი თუ გადაგვარჩენს... გვიხარია, ბედნიერები ვართ.... ვულოცავთ... და ა.შ." მერწმუნეთ, ეს გადაპრანჭული და გაზეპირებული ფრაზები ნამდვილად არ ყოფილა, უბრალოდ, განწყობა მართლაც ასეთი იყო.

"იდეა დაიბადა რამდენიმე თვის წინათ, როდესაც ცხადი გახდა, რომ ქვეყანა იმდენად იყო ჩაძირული უზნეობასა და უწიგნურობაში, რომ რაღაც აუცილებლად უნდა შეცვლილიყო. იგი, ფაქტობრივად, დრომ მოიტანა. ჩვენ ამ უკანასკნელ პერიოდში გავხდით იმის მოწმეები, რომ დღეს ეპოქალური ცვლილებების მომენტში ვიმყოფებით და, იმედი გვაქვს, რომ ეს ადგილი, ასე ვთქვათ, მომავალი საქართველოს წიგნიერების ერთ-ერთი კუნძული გახდება. ჩვენ გვინდა, რომ ქვეყანას მართავდეს წიგნიერი ხალხი და ზნეობრივად ამაღლებული ადამიანები", - "ლიტერატურული კაფის" დირექტორი გია ხუხაშვილი ახალ საგანმანათლებლო კერას, მწერლებთან და პოეტებთან ერთად ქმნის. დათო ტურაშვილი, დათო მაღრაძე, ლაშა ბუღაძე, მამუკა ხერხეულიძე, რატი ამაღლობელი და გოჩა ენუქიძე - ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც გარკვეული წვლილი მიუძღვით ამ ყველაფერში და რომლებიც "ლიტერატურული კაფის" ერთგვარ მასპინძლებადაც გვევლინებიან.



გია ხუხაშვილი "ლიტერატურული კაფეს" გახსნაზე

გუშინ პრეზენტაციაზე მწერლებისა და პოეტების ხილვა ნამდვილად არავის გაჰკვირვებია. გაკვირვება არც პოლიტიკოსების გამოჩენას გამოუწვევია, თუმცა ეს, დაახლოებით, იმას ჰგავდა, კანცელარიას რომ ესტუმროს რომელიმე ხელოვანი - გასაკვირი არაფერია, მაგრამ ცოტათი მაინც გაგიკვირდება. არ ვიცი, ეს უკანასკნელი რამდენად სასიამოვნო ფაქტი იქნება, მაგრამ გუშინ "ლიტერატურულ კაფეში" მაია ნადირაძის, აკაკი ასათიანისა თუ პეტრე ცისკარიშვილის სტუმრობა, რატომღაც წიგნიერი მომავალის გარანტიად აღვიქვი. მაშინ, როდესაც ხელოვანები "ვარდების რევოლუციის" შედეგებზე საუბრობდნენ, ზემოთ ნახსენები პოლიტიკოსები ჩუმად, ინტერესით ათვალიერებდნენ წიგნებს სათითაოდ. დიდი ხნის თვალიერების შემდეგ აკაკი ასათიანი ერთ-ერთი პირველი მყიდველი გახდა. მისი შენაძენი კი ერთგვარად სიმბოლურად მეჩვენა - Великие Бытви.

"ლიტერატურულ კაფეში" პრეზენტაციაზე, ოფიციალური მიწვევით, პოლიტიკურ ლიდერებსაც ელოდნენ. გია ხუხაშვილს სპეციალურად მათთვის საჩუქრებიც კი ჰქონდა გამზადებული. "მე დაპატიჟებული მყავდა პოლიტიკური ლიდერები, ასე ვთქვათ, მომავალი ხელისუფლება და მინდოდა, მათთვის მეჩუქებინა ბიბლია და კონსტიტუცია და ამით უნდა მეთქვა, რომ მათ კი არ უნდა მართონ ქვეყანა, ქვეყანა უნდა მართოს ამ ორმა წიგნმა - ბიბლიამ და კონსტიტუციამ. მთავარი კი ის არის, რომ მათ მართონ ქვეყანა ისე, რომ სწორედ ამ ორმა წიგნმა მართოს ქვეყანა; და თუკი ამას მოახერხებენ, ჩვენს თაროებზე მათი ნააზრევისთვისაც მოიძებნება ადგილი.

"პარნასსა" და "წიგნის სახლთან" ერთად ახლა თბილისში კიდევ ერთი წიგნის კერა "ლიტერატურული კაფე" იარსებებს. დიახ, ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და სრულებითაც არ თვლიან, რომ ერთმანეთის კონკურენტები არიან.

"ჯერჯერობით იმდენად ცოტაა ეს მაღაზიები, რომ, პირიქით, მხოლოდ თანამშრომლობის რეჟიმში ვმუშაობთ - ერთმანეთს ვეხმარებით ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად. ეს, ასე თუ ისე, ახალი ბიზნესია, ახალი წამოწყებებია, ერთმანეთს გვერდით ვუდგავართ, რომ ჩვენ-ჩვენი გამოცდილებითა და ცოდნით გავუადვილოთ მუშაობა. უცხოეთში, თითქმის, ყოველ ორას მეტრში წიგნის მაღაზიაა და მინდა, რომ თბილისშიც ასე იყოს - რაც შეიძლება მეტი და, რაც უფრო მეტი იქნება, მით უკეთ ვიქნებით, ცხოვრება წინ წავა", - აღნიშნა "წიგნის სახლის" დიასახლისმა ნინო ჟვანიამ. იგივე აზრისაა "ლიტერატურული კაფის" დირექტორიც, - "მე არ ვუყურებ მათ როგორც კონკურენტებს. ამას მხოლოდ მივესალმები, რაც უფრო მეტი ადგილი იქნება ასეთი, მით უკეთესია. რაც შეეხება განსხვავებებს, აქ სუფთა ტექნიკური ხასიათის სხვაობა შეიძლება იყოს, თორემ იდეაში, ყველგან ერთი და იგივე რამაა ჩადებული, ვინ როგორ განახორციელებს, ამაზეა დამოკიდებული".

და მაინც, "პარნასი", "წიგნის სახლი" და "ლიტერატურული კაფე", ერთი ძირითადი საქმიანობის მიუხედავად, სხვადასხვა ღონისძიებებსა და პროექტებს ახორციელებენ. მაგალითად, "ლიტერატურული კაფე," შემოქმედებითი საღამოების გარდა (რომელსაც მონაცვლეობით, ასე ვთქვათ, აქაურობის მუდმივი მასპინძლები დათო ტურაშვილი, რატი ამაღლობელი, ლაშა ბუღაძე და დათო მაღრაძე გაუძღვებიან), შეხვედრებს გამართავს უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებთან; აქ მოეწყობა ფილმების დახურული ჩვენებები, შემდგომ მათი განხილვა; დაარსდება ბავშვთა მხატვრული კითხვის ჯგუფები და ა.შ. ეს სამომავლოდ, რაც შეეხება მათ პირველ საღამოს, პარასკევს აქ პოეტ რატი ამაღლობელის შემოქმედებითი საღამო გაიმართება.

"ლიტერატურული კაფე" იმუშავებს ყოველ დღე. წიგნის მაღაზიასთან ერთად კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იმუშავებს კაფე, სადაც ადამინს შეეძლება დაჯდეს, მიირთვას ჩაი, ყავა... წყნარად წაიკითხოს გაზეთი თუ წიგნი - ქართული, ინგლისური თუ რუსულენოვანი ლიტერატურა - რეკლამასავით ჟღერს, მაგრამ, უბრალოდ, წერილის ასეთი ლოგიკური დასასრული ვარჩიე.

# რა ხდებოდა მიწისქვეშ, როცა ზემოთ რევოლუცია იყო

## მორიგი პრემიერა თეატრალურ სარდაფში

თეონა ჯაფარიძე

**"ოთხ საათამდე რეპეტიციები გვქონდა, მერე მიტინგზე მივდიოდით, მერე ისევ თეატრში ვბრუნდებოდით," – იხსენებს დღეს ჭოლა (რეჟისორი ლევან წულაძე),** მაგრამ თეატრალური სარდაფის მორიგი ახალი სპექტაკლი პატრიკ ზიუსკინდის "კაფე როსინი" რევოლუციის გამოძახილი ნამდვილად არ გახლავთ – თუნდაც, ეს "ვარდების რევოლუცია" იყოს და ამ არგუმენტით სპექტაკლის შეფასებას არც ვაპირებთ. უბრალოდ, ძალიან შემშურდა მსახიობებისა და დასის, იმიტომ, რომ იმ დღეებში "სარდაფიდან" მათი ეს "ამოსვლები" და "ჩასვლები" ცივი და ცხელი შხაპის იმ კონტრასტულ შეგრძნებებს მაგონებს, დადებითი ენერგიითა და მუხტით რომ გავსებს. ალბათ, სწორედ ამიტომ გამოვიდა "კაფე როსინი" სარდაფის ლაღ სპექტაკლებს შორის ყველაზე უფრო ლაღი.

კონტრასტული-თქო იმიტომ ვთქვი, რომ ის რაც "ვარდების რევოლუციის" დროს მიწის ზემოთ ხდებოდა, კარდინალურად განსხვავდებოდა ზიუსკინდისეული ბოჰემური ამბავისაგან, რომელიც მიწისქვეშმოთ – "სარდაფში" თამაშდებოდა.

ზიუსკინდი დღეს მოდაშია თბილისში. მისი "პარფიუმერი" და "კონტრაბასი" ხელიდან ხელში გადადის. სამშობლომ – გერმანიამ, და საერთოდ, დასავლეთმა ის ჯერ კიდევ 80-იან წლებში აღიარა და დღეს უკვე მისი წიგნები ბეტსელერებია; მისი პიესები დასავლურ სცენებზე იდგმება.

"კაფე როსინი" კინოსცენარია, რომელიც ლევან წულაძემ თეატრალურ სივრცეში გადაიტანა: სარდაფის სცენამ ტრადიციული მდებარეობის ნაცვლად, დარბაზის შუაგულში გადაინაცვლა, მაყურებელი სცენის ორივე მხარეს განლაგდა და პროდიუსერებით, რეჟისორებით, ბანკირებითა, თავისუფალი პოეტებითა და "აქტრისებით" სავსე ცნობილ ბოჰემურ და სასაცილოდ სნობურ კაფე "როსინი"-ში აღმოჩნდა. აქ სიყვარულისა თუ კინოში მთავარი როლებისათვის ერთმანეთს ებრძვიან, ინტრიგები დუღს და გადმოდუღს, მაგრამ ყველაფერი ეს უწყინარი და პოეტურია, იმიტომ, რომ მათი ერთადერთი "დანაშაული" ის არის, რომ "ძალიან უყვართ კინო".

**"ზიუსკინდის ამ მასალაზე მუშაობა თავდაპირველად "გოეთეს ინსტიტუტმა" შემომთავაზა. იყო ლაპარაკი, რომ თბილისში პრემიერაზე თავად ზიუსკინდიც ჩამოეყვანათ, მაგრამ ვერ მოხერხდა. ისე, როგორც ამბობენ, - საკმაოდ ღრჯო კაციაო,"** – მეუბნება ჭოლა. სწორედ ამ ღრჯო, უცნაური, ექსტრავაგანტული, ეული, დაბნეული და ძალიან პოპულარული მწერლის პროტოტიპია სპექტაკლში იაკობ ვინდიში. ის ისეთი პოპულარულია, რომ მასზე მეტი მკითხველი "მხოლოდ ბიბლიას ჰყავს", მისი "ლიორელაის" კინოვერსიისათვის კი ცნობილი რეჟისორი და პროდიუსერი სამმილიონიან კონტრაქტზე სთხოვენ ხელისმოწერას გენიოს ავტორს, მაგრამ ვერაფრით ახერხებენ. ეძებენ ლიორელაის როლის შემსრულებელსაც. ის აუცილებლად ქალი ღმერთი, "ფაუსტური, ნატიფი გერმანელი" უნდა იყოს. "ვინც ლიორელაის შეურაცხყოფს, ის მთელ გერმანიას შეურაცხყოფს," – აცხადებს გერმანელი ბანკირი, რომლიც პურ-ბურლულეულით ვაჭრობს და ეს ჩვენთვისაც კარგად ნაცნობი განცხადებებია, რომლებითაც დროთა განმავლობაში ეროვნული სტერეოტიპები და დოგმები შეგვიქმნეს.



ვინდიში - გურამ ბრეგაძე და ოტო ზანტერი - თემიკო ჭიჭინაძე

პიესის შინაარსზე სიტყვა გამიგრძელდა. უბრალოდ, ვისაც არ გინახავთ, გირჩევთ, აუცილებლად ნახოთ შოტლანდიის მთებიდან "კაფე როსინიში" ჩამოსული და სცენაზე ველოსიპედით შემოგრიალებული გენიოსი მწერლის როლში მსახიობი გურამ ბრეგაძე. (მე, პირადად, მისი ფანი გავხდი) გირჩევთ, ნახოთ ქორეოგრაფ გია მარღანიას დადგმული რიტმული მოძრაობები და შეიგრძნოთ გერმანული კულტურის აურა ზურა გაგლოშვილის მუსიკალური გაფორმებით. სცენაზე კი შედარებით ძველი და ახალი "გვარდია თამაშობს: ნინო თარხანმოურავისა და თემიკო ჭიჭინაძის წყვილი, ეკა ნიჟარაძე, ნინო იოსელიანი, რუსუდან გრიშკაშვილი, სანდრო ბერიაშვილი, ონისე ონიანი, ზაზა გოგუაძე, ზურა ინგოროყვა, ნათია მიქაშავიძე, ეკა ბაკურაძე და რამაზ ზურაბაშვილი.

"პოლიტიკური თეატრი ისეთი დიდი დოზითაა ტელეეკრანებზე, რომ ჩვენ ვარჩიეთ, მაყურებლისათვის შეგვეთავაზებინა თეატრი თეატრალებზე - ესაა და ეს," – ამბობს ლევან წულაძე და, როგორც მისთვისაა დამახასიათებელი, უკვე ახალ სპექტაკლზე მუშაობს.



# უსმინეთ ჯინა ვილდს

## ფუმფულა, სექსუალური და კმაყოფილი

სულ რამდენიმე წლის განმავლობაში ის ჯერ გერმანიის, შემდეგ კი ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ეროტიკულ ვარსკვლავად იქცა. ავტობიოგრაფიაში "მე, ჯინა ვილდი" მიხაელა შაფრათი არა მკითხველს, არამედ მსმენელს – წიგნი ჩანაწერის სახით გამოვიდა – პორნობიზნესში თავის აღმასვლის ამბავს უყვება.

ფართოდ გავრცელებული აზრის მიუხედავად, რომ პორნობიზნესში ჩართული ადამიანი ან ავადმყოფია, ან საშინლად გაჭირვებული, ან გონებაშეზღუდული, მიხაელა შაფრათს ანუ ჯინა ვილდს მსგავსი არაფერი სჭირს. მისი აზრით, თუ მწარმოებელს ასეთი თვისებები აქვს, მომხმარებელიც სათანადო ეყოლება.

მოგეწონათ ეს ვერსია? არა მგონია...

"რა საჭიროა დამალობანას თამაში? დიახ, მე პორნოგრაფიულ ფილმებში მიღებდნენ. და მე ეს ძალიან მომწონს," აცხადებს ჯინა. ის დეტალურად ჰყვება იმის შესახებ, როგორ ექსპერიმენტებში მიუღია მონაწილეობა, როგორ გადაიღეს პირველად მოყვარულებმა, როგორ ჰქონდა სექსი ქალებთან და როგორ იქცა ის პორნოვარსკვლავ ჯინა ვილდად. თავის ცხოვრებით ის უაღრესად კმაყოფილია, რადგან განვლილმა გზამ აჩვენა, რომ ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ვნებაა და სხვა არაფერი.

მართალია, მიხაელა ყოველთვის ასეთი სიცოცხლით აღსავსე არ ყოფილა. სკოლაში ის საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილო იყო და თავს ძალიან უბედურად გრძნობდა, სანამ 1989 წელს თავის ოცნების მამაკაცი და შემდგომ მეუღლე, აქსელი არ შემოეყარა. აქსელმა მასში საკუთარი თავის რწმენის გაღვივება შეძლო, და უნდა ითქვას, რომ ისინი დღემდე ერთად არიან.

1999 წელს ქალი, რომელიც მანამდე ეროტიკული ფოტოსურათების მოდელობით ირჩენდა თავს, პორნორეჟისორ ჰენრი ს. მორგანს მიადგა კარს და თავი გააცნო: ჯინა ვილდი. "ეს მე ვარ, მიხაელა შაფრათი, ქალი, რომელსაც სიცოცხლე და დიდება სწყურია".

ის მართლაც მომხიბვლელია: თვალები მუდამ უცინის, მუდამ კეთილგანწყობილია და მამაკაცებში უჩვეულო გრძნობებს აღძრავს – ეცინებათ და ამავე დროს ინუსხებიან. სამი წლის განმავლობაში გადაღებულ შვიდ პროფესიულ კინოსურათში ის საკუთარ თავს თამაშობდა – მას სექსი უყვარს, და ამ ფილმებშიც სექსი უხვად იყო. მაგრამ, ჯინას თქმით (და მას ნამდვილად დაეჯერება), "პორნო შორს ვერ წაგიყვანს" (საინტერესოა, რომ ეს მარტივი ჭეშმარიტება ყველა პორნომსახიობს არ ესმის). "რა მნიშვნელობა აქვს, ჯინა ვილდი ვიქნები თუ ქალბატონი შაფრათი. ჩემი თაყვანისმცემლები მაინც ჩემი ერთგული იქნებიან," დარწმუნებით ამბობს ჯინა. "მეც მათი ერთგული ვარ, ძალიან მიყვარან – სხვა თუ არაფერი, მთელს ჩემს წარმატებას სწორედ მათ ვუმადლი".

ჯინა ვილდის მიერ მოღვაწეობის სფეროს შეცვლის მცდელობამ და ქალბატონ შაფრათის სახელის დაბრუნებამ დიდი ქირქილი გამოიწვია, და სულ ტყუილად – მისი ძალა მხოლოდ მისი სხეული არაა, არამედ ის ბავშვური ხიბლიც, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ. გარდა ამისა, ის უდავოდ მსახიობია - ამაზე თუნდაც ჯინა ვილდის დაუჯერებელი პორნო-კარიერა მეტყველებს.

პორნო-ვარსკვლავისთვის უჩვეულო თვისება: ჯინას საკუთარი პრინციპები აქვს და მათ არასდროს ღალატობს. "მე ლამაზი, ნაზი სექსი მიყვარს. გალაქული ჩექმები, ტყავი და მსგავსები არ მაინტერესებს – მტკივნეულია და საერთოდ, რად მინდა," განაცხადა მან. სწორედ ამ პრინციპების გამო "დაეტაკა" ის ეროტიკული ალბომებით ცნობილ ნიუ იორკელ ფოტოგრაფ რიჩარდ კერნს: გადაღებების დროს ფოტოგრაფს პირსინგი სჭირდებოდა, ჯინამ კი აუხსნა, რომ ძალიან კარგი გოგოა და ზედმეტი ნახვრეტები არაფერში არგია. გაჯავრებულმა კერნმა თქვა, რომ ჯინა ეროტიკული კი არა, პორნოგრაფიულია, ჯინამ კი ახსნა, რომ სწორედ ასეთი მსოფლმხედველობის გამოა, რომ თავმოყვარე კაცი კერნის ალბომებს არ ყიდულობს: "ხალხში არ გამოიჩინება. 18 წლამდე ბავშვებს არ უნდა დაანახვო".

უცნაურია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: სირცხვილის გრძნობას მოკლებულ ვარსკვლავს მიაჩნია, რომ მისი ფილმები შეზღუდული კონტინგენტისთვის განკუთვნილ ვიდეოთეკებში უნდა იყიდებოდეს და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს: "შვილები როცა მეყოლება, პორნოსამყაროს შეძლებისდაგვარად მოვარიდებ. თან ისიც ცუდი იქნება, თუ რაღაც-რაღაცეებს თანატოლებისგან შეიტყობენ. მოკლედ, დაბნეული ვარ..." და ამის შემდეგ ჟურნალისტს ურჩევს, 17 ადამიანთან ერთად დაკავდეს სექსით: "მაგარია, ძალიან ისიამოვნებთ", და როცა გაოგნებულმა ჟურნალისტმა ჰკითხა, დამცინითო, მოთმინებით აუხსნა: "გააჩნია, ზოგს მოსწონს, ზოგს – არა..."

"ცოდვის დედოფალი" საკუთარი თავით ძალიან კმაყოფილია და ტოპ-მოდელებს არ აღიარებს: "მირჩევნია ფუმფულა, სექსუალური და კმაყოფილი ვიყო", ამბობს ის. "ჩემს სხეულში შესანიშნავად ვგრძნობ თავს. ჯანმრთელია და ამტანი. თან ჩემს საქმეშიც ძალიან გამომადგა".

თავისი სხეულის სილამაზის საიდუმლოს ის საიდუმლოდ არ ინახავს და ავტობიოგრაფიასაც ჰყვება. მაშ ასე, პირველი წესი: "უბრალოდ, ნახევარი ულუფა შეჭამეთ. მე ხშირად ვჭამ, მაგრამ ცოტ-ცოტას. ხილს, ბოსტნეულს, თევზს ვეძალები, ხორცს და ცხიმიან საჭმელს – ნაკლებად. უბრალოდ, ჭამას ჭკუა უნდა დაატანო". ერთადერთი, შოკოლადს ვერ ელევა, "თან მსმენია, რომ შოკოლადი ბედნიერების შეგრძნებას იძლევა," იცინის ჯინა.

მეორე: "მე ბევრს ვვარჯიშობ, ძირითადად, ტრენაჟორებზე. ცოტა ხნის წინათ 2,5 კილოგრამიანი მანჟეტები ვიყიდე და როგორც კი საშუალება მეძლევა, ბარძაყებზე ვიმაგრებ ხოლმე. ბევრი ვერაფერი სიამოვნებაა და სანახავადაც ნაკლებად მიმზიდველია, მაგრამ ფრიად ეფექტური რამ გამოდგა".

"გარდა ამისა, ბევრი უნდა იძინოთ". ესაა და ეს. მაგრამ საეჭვოა, რომ ჯინასთანა ზღაპრულ მკერდს ჭამა, ვარჯიში და ძილი ჰყოფნიდეს. ეს უკვე ღვთის წყალობაა, თუ? "ყველამ იცის, რომ ცოტა შევეშველე", არ მალავს ჯინა. "თორემ 33 წლის როცა ხარ, ბუნებრივად ასეთი რამ არ ხდება".

ფეხბურთი

# "იუვენტუსს" დორტმუნდში სტამბული დახვდა

## "გალათასარაი" მერვედფინალის შანსებს ინარჩუნებს

აკა ტონია

სტამბულში მომხდარი ტერაქტების გამო, ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ტურის მატჩი, რომელშიც "გალათასარაი" და "იუვენტუსი" უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, ერთი კვირის დაგვიანებით, გუშინ გაიმართა. შეხვედრა, რომელიც თურქული კლუბისათვის საშინაო უნდა ყოფილიყო, ნეიტრალურ მოედანზე, დორტმუნდის "ვესტფალენშტადიონზე" შედგა.

მერვედფინალის საგზური "იუვენტუსმა" კარგა ხნის წინათ მოიპოვა და გუშინდელ შეხვედრას ტურინელთათვის ალარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ "გალათასარაისათვის" ეს მატჩი უკანასკნელი შანსი იყო. გუშინდელი შეხვედრისადმი მისი მონაწილე გუნდების ასეთი "განსხვავებული" დაინტერესება "იუვენტუსის" შემადგენლობაშიც ნათლად აისახა. ტურინელებმა გუნდის რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი საერთოდ არ წაიყვანეს დორტმუნდში. ბუფონის ნაცვლად "იუვენტუსის" კარს ჩიმენტი იცავდა, ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა ვეტერანი კონტე...

გასაგები მიზეზების გამო, გერმანელ გულშემატკივართა შორის ეს მატჩი არც თუ ისე დიდ ინტერესს იწვევდა. მიუხედავად ამისა, "ვესტფალენშტადიონზე" გუშინ 66 ათასმა ქომაგმა მოიყარა თავი, ხოლო მათი უმრავლესობა გერმანიაში მცხოვრები თურქი იყო. ასე რომ, "გალათასარაი" ფაქტიურად საკუთარ კედლებში თამაშობდა.

იმ ფაქტმა, რომ ერთ-ერთი გუნდი ნაკლებად მოტივირებული იყო, მატჩზე დადებითად იმოქმედა. "იუვენტუსიმა" მისთვის არადამახასიათებელი შემტევი ფეხბურთით თამაში არჩია და საკუთარი კარის დაცვას ნაკლებ ყურადღებას უთმობდა. აქედან გამომდინარე, თამაში საოცრად გახსნილი და საინტერესო საყურებელი გამოდგა.


ტურინელებმა ჰაკან შუქურის შეჩერება ვერ შეძლეს

მცველების არც თუ ისე მჭიდრო თამაშის გამო, ორივე გუნდს გოლის გატანის აურაცხელი შანსები ჰქონდათ. პირველ ტაიმში ანგარიშის გახსნა შეეძლო "იუვენტუსელ" მარკო დი ვაიოს, თუმცა "გალათასარაის" კოლუმბიელი მეკარე მონდრაგონი გუშინ შესანიშნავად გაისარჯა, მათ შორის დი ვაიოს სახიფათო დარტყმისას.

მეორე ნახევარში "გალათასარაი" უკეთ თამაშობდა და მატჩის 47-ე წუთზე დამსახურებულად გახსნა ანგარიში. თურქი გულშემატკივრების კერპმა, ჰაკან შუქურმა თავური დარტყმით გაიტანა გოლი, მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი იმავე შუქურმა ანგარიში ორმადე გაზარდა.

"იუვენტუსი" დამარცხდა, თუმცა მერვედფინალისაკენ გზაზე მას ველარავინ გადაეღობება. გასარკვევი ისღა დარჩა, შეძლებს თუ არა "იუვენტუსი" ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებას. ამისათვის კი ტურინელებმა მომავალ შეხვედრაში ერთი ქულა უნდა მოიპოვონ ბერძნულ "ოლიმპიაკოსთან".

"გალათასარაის" კი ყველაფერი წინ აქვს. იმისათვის, რომ მერვედფინალში გავიდეს, ფატიხ ტერიმის გუნდმა უკანასკნელ მატჩში სტუმრად უნდა დაამარცხოს "რეალ სოსიედადი", რომელიც ამჟამად მეორე ადგილზე იმყოფება. თუ ეს მატჩი ფრედ დასრულდა, შემდეგ ეტაპზე ესპანელები გავლენ, "გალათასარაი" კი UEFA-ს თასზე გააგრძელებს ასპარეზობას.

| E ჯგუფი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 2 - 0 | იუვენტუსი | | | | | |
| [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 1 | იუვენტუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 |
| 2 | სოსიედადი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 8 |
| 3 | გალათასარაი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:7 | 6 |
| 4 | ოლიმპიაკოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:6 | 4 |

# "ჩემი ფეხბურთელები ვარჯიშზე შეიარაღებულნი მოდიან"

## რატომ ვერ ელევა ბერნდ შტანგე ერაყს

ნინო პირველი

დღე არ გავა, ერაყში რამე საშინელი არ მოხდეს. აფეთქებები, ტერორისტული აქტები, ადგილობრივი მოსახლეობის შეტაკება მოკავშირეთა ჯარისკაცებთან... ყოველი დღე შიშით თენდება, დასაძინებლად მიმავალმა ერაყელებმა ისიც კი არ იციან, გაიღვიძებენ თუ არა მეორე დღეს. ომი დასრულდა, მაგრამ ამით ბევრი არაფერი შეცვლილა. ერაყში ცხოვრება მაინც ძალიან სახიფათოა. ტყვია არავის ინდობს - ხან ამერიკელები კვდებიან, ხან იტალიელები, ხანაც ესპანელები. ერაყი ისევ მსოფლიოს ერთ-ერთ ცხელ წერტილად რჩება და არავინ იცის, ამ ყველაფერს როდის მოეღება ბოლო.

ასეთ პირობებში ძალიან ძნელია ფეხბურთზე კონცენტრირება. აბა, ვის ეფეხბურთება, როცა ქვეყანაში სრული ანარქია სუფევს? მაგრამ ერაყში მაინც არის ხალხი, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა უკეთესი მომავლის, ვისთვისაც სულ ერთი არ არის, იარსებებს თუ არა სპორტი ერაყში. ეს ხალხი სადამ ჰუსეინის ექს-სამფლობელოში ფეხბურთის გადარჩენას ცდილობს...

ერაყის საფეხბურთო ნაკრების გერმანელი ხელმძღვანელი ბერნდ შტანგე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც დარწმუნებულია, რომ ფეხბურთი ერაყელებს აუცილებლად სჭირდებათ. შტანგესთვის იოლი არ არის ერაყში ცხოვრება და მუშაობა. მას არავითარი პირობები არა აქვს საამისოდ - არც ფულია, არც სტადიონი, სადაც ფეხბურთელები მშვიდად ივარჯიშებდნენ და არც მაყურებელი, რომელიც თავისი ეროვნული ნაკრების ყოველ გამარჯვებას სიხარულით შეხვდება, მაგრამ ბერნდ შტანგეს ეს ვერ აბრკოლებს, ის ერაყული ფეხბურთის მომავლისთვის იღვწის და უკვე მიაღწია კიდეც გარკვეულ წარმატებებს. მის მიერ გაწვრთნილი ნაკრები უპრობლემოდ მოხვდა აზიის ჩემპიონატზე, ემზადება ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის და ფიფას რეიტინგში 74-ე ადგილიდან 44-ზე გადაინაცვლა. ბერნდ შტანგე თავისი ნაკრების ერთგულია და სხვა სამუშაოს მოძებნა აზრადაც არ მოსდის, მიუხედავად იმისა, რომ ალმოდებულ ბაღდადში დარჩენა საოცრად სახიფათოა...


ბერნდ შტანგე (მარჯვნივ) ერაყში ბედნიერია

### "იარაღის გარეშე ბაღდადში ვერ გაივლი"

როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სადამ ჰუსეინთან ომი დააპირა, ყველა ქვეყანამ სასწრაფოდ გამოიწვია ერაყში მყოფი თავისი მოქალაქეები. ბერნდ შტანგესაც მოუხდა გერმანიაში დაბრუნება, რასაც ის ძალიან განიცდიდა და ყველა ინტერვიუში გულდათუთქული ჩიოდა, ჩემს ფეხბურთელებს საომრად წაიყვანენ და, ალბათ, ერთმანეთს ველარასოდეს ვნახავთო. მაშინ შტანგემ თავისი პაციფისტური მოწოდებებით ლამის მთელი ამერიკა გადაიკიდა. არც გაემტყუნებოდა - მას მშვიდობა და მუშაობა სურდა და არა ომი და სისხლის ღვრა.

როცა ყველაფერი დამთავრდა, შტანგე ერაყში დაბრუნდა და შეეცადა, ყველაფერი თავიდან დაეწყო, რაც საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. სანახევროდ დანგრეულ ბაღდადში შეუძლებელი იყო თავისუფლად გადაადგილება, ფეხბურთელები იძულებული გახდნენ, ვარჯიშზე შეიარაღებულებს ევლოთ. უიარაღო ერაყელებს თუ უცხოელებს მძარცველების პანიკური შიში აქვთ. ასეთი ძარცვა ხომ არაერთხელ დასრულებულა უდანაშაულო ადამიანების სიკვდილით. თავად შტანგე ბაღდადის ქუჩებში მხოლოდ პიკაპით და პირადი დაცვის თანხლებით დადის. თუ ის მანქანას დატოვებს და ფეხით მოისურვებს გავლას, დაცვა პასუხს აღარ აგებს მის სიცოცხლეზე. მას ერთხელ უკვე მოუკლეს მძღოლი. შემთხვევით გასროლილი ტყვია მანქანის საქარე მინას მოხვდა, შუშამ ტყვია აისხლიტა და მძღოლი სასიკვდილოდ დაიჭრა. ერთხელ ტერორისტების სამიზნედ შტანგეს სასტუმროც იქცა: უცნობმა პირებმა შენობას რაკეტები დაუშინეს, მაგრამ შტანგე ვერც ამან შეაშინა. ენერგიული გერმანელი თან გუნდს წვრთნის და თანაც პროპაგანდას ეწევა, ამერიკელებს მოუწოდებს, ყოველდღე ერაყში მილიონებს რომ ხარჯავთ, ცოტა ფეხბურთისთვისაც გაიმეტეთო. შტანგეს, უბრალოდ, არ შეუძლია, არ იფიქროს ერაყის ნაკრებზე: "ჩემი საქმე ძალიან მიყვარს. ერაყის ნაკრების ჩამოყალიბებას იმდენი ძალღონე შევალიე, ფეხბურთელები ისე დამიახლოვდნენ, ახლა რომ ამ ყველაფერს თავი დავანებო, ალბათ, დარდისგან მოვკვდები", - ამბობს გერმანელი სპეციალისტი.

ამჟამად მოუსვენარი შტანგე ევროპასა და ავსტრალიაში მოგზაურობს და თავისი ნაკრებისთვის ფულის შეგროვებას ცდილობს. ამერიკელები მისი საქმიანობით დაინტერესდნენ და ფინანსურ მხარდაჭერას შეჰპირდნენ. შტანგე იმედოვნებს, რომ მსოფლიო არ მიატოვებს ერაყელ ფეხბურთელებს. უკვე დაგეგმილია ამხანაგური მატჩები ბაჰრეინისა და თურქეთის ნაკრებებთან, მონაწილეობის მიღება ჰამბურგის მინიფეხბურთის ტურნირზე. შემდეგ კი ერაყელები ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მოემზადებიან და იქნებ მანამდე ერაყშიც აღდგეს ცხოვრების ნორმალური რიტმი.

კალათბურთი

# ნიჭი, მონდომება: შედეგი - ჯორდანი

*იყო დრო, როდესაც ამერიკულ კალათბურთს არავინ უყურებდა. მაშინ ძველ კონტინენტზე ყველაფერი საკმარისად იყო - მოთხოვნილებაც და ხარისხიც. ამერიკა რისი ამერიკა იქნებოდა, რომ ყველაფერში პირველი არ ყოფილიყო. ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია ერთობლივად შექმნეს ფულიანმა და ნიჭიერმა ადამიანებმა, ხოლო მის ისტორიას ქმნიდა ის ხალხი, ვინც სწორედ იმ ნიჭიერმა და ფულიანმა ხალხმა მიიწვია. ერთ-ერთი ასეთი იყო მაიკლ ჯორდანი, რომელიც, მართლაც, ერთი ცალკე ტომია ნაციონალური ლიგის ისტორიაში. არსებობს გამოთქმა: "ქვეყანაზე ბევრია ისეთი, ვისაც ღმერთის სჯერა, მაგრამ ცოტაა ისეთი, ვისიც ღმერთს სჯერა". ჯორდანი სწორედ ის ადამიანი იყო, ვისიც ღმერთს სჯეროდა და ამიტომაც მისცა ასეთი დიდი ნიჭი.*

სანდრო ნავერიანი

აშშ-ს ნაკრებში, ჯერ კიდევ მაშინ, სანამ "ოცნების გუნდი" (dream team) დაერქმეოდა, შევიდნენ ისეთი კალათბურთელები, რომლებმაც 80-90-ანი წლების ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს. ლარი ბიორდი, მეჯიკ ჯონსონი, მაიკლ ჯორდანი, ჩარლზ ბარკლი, დევიდ რობინსონი, სკოტი პიპენი, კლაიდ დრექსლერი, პატრიკ იუვინგი, კრის მალენი, კარლ მელოუნი და ჯონ სტოქტონი ის ხალხია, რომლებიც მაშინდელ "ოცნების გუნდს" წარმოადგენდნენ. სასაცილოა, როდესაც ასეთ გუნდთან კარგი თამაშის იმედი გაქვს, მაგრამ ოლიმპიადაზე სისხლი უნდა დაღვარო, რომ წლების შემდეგ, ვინმემ, თუნდაც დამარცხებული, გაგიხსენოს. "ოცნების გუნდის" მოთამაშეებმა განაცხადეს, რომ თავს გამარჯვებულად არ ჩათვლიან, თუ ფინალში მეტოქეს 50 ქულით ვერ მოუგებს. ფინალში მათი მოწინააღმდეგე იყო ხორვატიის ნაკრები, რომელმაც შეძლო და 32 ქულის სხვაობით დათმო შეხვედრა. და მაინც, ამ გამარჯვებამ, რომელიც "ოცნების გუნდმა" 117:85 მოიგო, მსოფლიოს დაანახა, თუ რაოდენ დიდია განსხვავება ევროპულ და ამერიკულ კალათბურთს შორის.



"ოცნების გუნდის" უდიდესი კალათბურთელებიდან ერთ-ერთი, მაიკლ ჯორდანი, უკვე რვა წლის განმავლობაში ბრწყინავდა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის სასახლეებში. ჯორდანი "ჩიკაგო ბულზში" 1984 წელს მივიდა და პირველივე სეზონში წლის საუკეთესო ახალბედას ტიტული მიიღო. წლიდან წლამდე, სეზონიდან სეზონამდე ჯორდანი აუმჯობესებდა თავის შედეგს და მთელი მსოფლიო მასზე ლაპარაკობდა. ჯორდანი, მართლაც, გენიალური კალათბურთელი იყო და, რაც უნდა იძახონ, ჩემბერლენი, ლარი ბიორდი, აბდულ ჯაბარი ჯობიაო, მე მაინც ჩემს აზრზე დავრჩები: ჯორდანი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელია. "ჯორდანი ისე გრძნობს ჰაერში თავს, როგორც მიწაზე, როდესაც ორ ფეხზე დგას", - განაცხადა მისივე თაობის კალათბურთელმა ჩარლზ ბარკლიმ.

"ჩიკაგო ბულზის" შემადგენლობაში მან 1991 წლიდან 1993 წლამდე სამჯერ მოიგო ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული და ფინალური სერია. დროის ამ მონაკვეთში მან სამჯერ მოირგო ჩემპიონის ბეჭედი და სამჯერ გახდა წლის საუკეთესო მოთამაშე. ამის შემდეგ ჯორდანმა განაცხადა: "სპორტის ამ სახეობაში აღარ მაქვს არანაირი მოტივაცია. არ არის ტიტული თუ პრიზი, რომელიც არ მომეპოვებინოს. ამით მე იმას კი არ ვამტკიცებ, რომ ძალიან ძლიერი ვარ, უბრალოდ, საშინლად ამბიციური გახლავართ. ამიტომ გადავწყვიტე, კალათბურთიდან ბეისბოლზე გადავიდე", - ეს თქვა ჯორდანმა და აასრულა კიდეც. 1993 წელს მან დატოვა საკალათბურთო სამყარო და სრულიად განსხვავებულ სახეობაში გამოსცადა თავი. საბედნიეროდ (დიახ, სწორედ საბედნიეროდ), ჯორდანმა ბეისბოლში ვერაფრით გამოიჩინა თავი. სანამ ჯორდანი ბეისბოლს თამაშობდა, ვერც "ჩიკაგო ბულზმა" მოწყვიტა ციდან ვარსკვლავები.

კალათბურთი და "ჩიკაგო ბულზი" ჯორდანის მოწოდება იყო, რამაც გადააწყვეტინა, 1995 წელს კვლავ საყვარელ კალათბურთს და ასევე საყვარელ გუნდს დაბრუნებოდა. ამ ნაბიჯით მან აღტაცებაში მოიყვანა როგორც გულშემატკივართა მრავალმილიონიანი არმია, ისე მისი მოწინააღმდეგენიც. 32 წლის ჯორდანის კალათბურთში დაბრუნებას მისი თაობის ცნობილმა კალათბურთელებმა სხვადასხვა შეფასება მისცეს: "არანაირი მოტივაცია არ მქონდა, როდესაც "ბულზსს" ვეთამაშებოდი. მნიშვნელობა არ ჰქონდა, მოვიგებდი თუ წავაგებდი. ახლა კი დიდი სიამოვნებით ვითამაშებ მაიკლის წინააღმდეგ. ვფიქრობ, მან სწორი არჩევანი გააკეთა, როცა კალათბურთს დაუბრუნდა. ის ისეთივე ფორმაშია, როგორც ორი წლის წინ", - განაცხადა "ნიუ-იორკ ნიქსის" ლიდერმა პატრიკ იუვინგმა. "უდიდესი კალათბურთელი დაუბრუნდა ამ ულამაზეს სპორტს. მოუთმენლად ველი იმ დღეს, როდესაც მის წინააღმდეგ მომიწევს თამაში", -განაცხადა ჰაკიმ ოლაჯუვონმა. იყო ისეთი განცხადებებიც, რომელთა ავტორები ჯორდანის დაბრუნებას არაფრად აგდებდნენ, მაგრამ...

ჯორდანის მოსვლის შემდეგ "ჩიკაგო ბულზმა" სამჯერ ზედიზედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული და სამჯერვე ჯორდანი წლის საუკეთესო კალათბურთელი გახდა. რამდენჯერაც "ჩიკაგო ბულზი" ფინალში ჯორდანთან ერთად გავიდა, იმდენჯერვე გაიმარჯვა. მახსოვს, როდესაც მაიკლ ჯორდანი "რეალ მადრიდის" თამაშზე იყო. მატჩის შემდეგ ჯორდანი რაულთან მივიდა და ავტოგრაფი სთხოვა. რაულმა ავტოგრაფს ასეთი წარწერა დაურთო: "მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელს". მართლაც, ჯორდანი მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელია და ამას მთელი მსოფლიო აღიარებს. მოდი და, ნუ აღიარებ! მართალია, ჯორდანის დროს არ ყოფილა იმდენი ვარსკვლავი, რამდენიც დღეს არის, მაგრამ მაშინდელი ვარსკვლავები თამაშის გამო ხდებოდნენ ვარსკვლავები და არა რეკლამების წყალობით. დღეს საქმე სულ სხვაგვარადაა: ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში პოპულარულები არიან შაკილ ო`ნილი, კობი ბრაიანტი, ვინს კარტერი, ტიმ დანკანი, ტრეისი მაკგრეიდი, დირკ ნოვიცკი... დღეს ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში აშშ-ს 27 და კანადის ერთი ქალაქიდან 29 გუნდია, რომელიც მომავალ სეზონში კიდევ ერთით გაიზრდება. 1947 წელს ნაციონალურ ლიგაში სულ რაღაც რვა გუნდი იყო, მაგრამ დრო გადის, იზრდება მოთხოვნილება, იზრდება ფინანსები, მატულობს ხარისხი და რასაც მიაღწია ამ ხარისხმა, ყველა კარგად ვხედავთ -ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია ყველაზე მდიდარი სპორტული ორგანიზაციაა.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გიორგი ნემსაძე ორი დღეა, რაც ინგლისის პრემიერლიგის კლუბ "პორტსმუთში" იმყოფება. ქართველ ფეხბურთელს კლუბის ხელმძღვანელობასთან შესაძლო კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკება ჰქონდა. ნემსაძე, რომელიც ახლა თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს, "პორტსმუთის" ხელმძღვანელობისგან პასუხს ელოდება. შეგახსენებთ, რომ შოტლანდიურ "დანდიში" შექმნილი ფინანსური კრიზისის გამო ნემსაძე თავისუფალი აგენტი გახდა. "დანდიმ" უსახსრობის მიზეზით 20 ფეხბურთელთან გაწყვიტა კონტრაქტი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი როი კინი მიიჩნევს, რომ კლუბს სასწრაფოდ სჭირდება თავდამსხმელი. ტანდემმა ვან ნისტელროი-ფორლანი, რომელიც ყველა მატჩში უტევდა მეტოქეთა კარს, ვერც გადამწყვეტ მატჩში - "ჩელსის" წინააღმდეგ გამოიჩინა ფხა. გაზეთ "სანს" კინის სიტყვები მოჰყავს: "ყველაზე დიდი იმედგაცრუება ის არის, რომ "ჩელსის" ვერ გავუტანეთ გოლი. ვფიქრობ, მწვრთნელმა სასწრაფოდ უნდა შეიძინოს ახალი ფორვარდი", - ამბობს კინი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგაში ბელგიის "ანდერლეხტის" წინააღმდეგ მიუნხენის "ბაიერნი" ნახევარმცველ მარკუს ფელნერის გარეშე ითამაშებს. "კიოლნთან" მატჩის დროს ფელნერს ბარძაყის კუნთი გაუწყდა. მისთვის ეს მეორე მატჩი იყო ამ სეზონში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გერმანიამ მომავალი წლის 17 ნოემბერს კამერუნის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგური მატჩი დაგეგმა. ეს მატჩი შევა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მზადების გეგმაში. ჩემპიონატი გერმანიაში გაიმართება, ამიტომ გერმანიის ნაკრები შესარჩევ ტურნირში არ ითამაშებს. ჯერჯერობით გერმანელები კამერუნის გუნდს მხოლოდ ერთხელ შეხვედრიან. მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე ბუნდესნაკრებმა ბოდესა და კლოზეს გოლებით (2:0) მოიგო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** უკრაინელი ანდრეი შევჩენკო ბოლო უქმეების შედეგების მიხედვით "ოქროს ბუცის" საუკეთესო ათეულში შევიდა. "მოდენას" კარში გატანილი ორი გოლის შემდეგ შევჩენკომ მერვე ადგილზე გადაინაცვლა. შევჩენკომ 24 ქულა მოაგროვა, იმდენი, რამდენიც ალან შირერმა და ჯიბრაილ სისემ. საუკეთესო ხუთეულში კი წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების მხოლოდ ერთი წარმომადგენელია: ბრემენის "ვერდერის" ბრაზილიელი ფორვარდი აილტონი 26 ქულით მეოთხე ადგილზეა. ლიდერის პოზიციაზე, 45 ქულით, სომხეთის "ბანანცის" ფეხბურთელი არა აკოპიანცია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბუნდესლიგის აუტსაიდერს "აინტრახტს" ახალ წლამდე თავისი ლიდერის ენდი მიოლერის გარეშე მოუწევს თამაში. "ვოლფსბურგთან" მატჩში მიოლერს ბარძაყი დაუზიანდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ნორვეგიის ნაკრების ახალ მწვრთნელად ეგე ჰარეიდი დაინიშნა. სწორედ ის უხელმძღვანელებს გუნდს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. ნილს იოჰან სემბს ის 1 იანვარს შეცვლის. ჰარეიდთან კონტრაქტი ოთხწლიანია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დევიდ ბექჰემმა შეიძლება მადრიდის "ატლეტიკოს" წინააღმდეგ ითამაშოს. ინგლისელი დერბიში გამაყუჩებლების მიღების შემდეგ ითამაშებს. ფეხის ტრავმა მან ვერა და ვერ მოიშუშა. "ტკივილებით არაერთხელ მითამაშია. ამ მატჩის გამოტოვება არაფრით არ შემიძლია - ჩემთვის ეს პირველი დერბი იქნება ესპანურ კარიერაში", - განაცხადა ბექჰემმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები რაიან გიგზი და კრისტიან რონალდუ "არსენალთან" მატჩის შემდეგ ატეხილი ჩხუბის გამო დააჯარიმეს. გიგზი 7500 გირვანქით გაღარიბდება, ხოლო რონალდუ – 4000-ით. თუ გავითვალისწინებთ "არსენალის" ფეხბურთელთა საჯარიმო სანქციებს, შეიძლება ითქვას, რომ მანკუნიანელები იოლად გამოვიდნენ მდგომარეობიდან. ლორენი ოთხი მატჩითაა დისკვალიფიცირებული, კიოუნი - სამით, ვიეირა და პარლორი - თითოთი. ბუნებრივია, ოთხივე ფეხბურთელი სოლიდური თანხით დაჯარიმდა. ამას გარდა, "არსენალი", ჯარიმის სახით, 175000 გირვანქა სტერლინგს გადაიხდის.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები ორჯერ უფრო ხშირად იღებენ ტრავმებს, ვიდრე მათი ესპანელი ან იტალიელი კოლეგები. თუმცა, ამაში დამნაშავეა არა თამაშის სტილი, არამედ ამინდი. ამ დასკვნამდე მივიდნენ უეფას სპეციალისტები. ირკვევა, რომ სამ ჩრდილოურ ქვეყანაში (ჰოლანდია, დანია, ინგლისი) ფეხბურთელები უფრო ხშირად ზიანდებიან, ვიდრე სამხრეთის ქვეყნებში (იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი). საოცარია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე სამხრეთულ ქვეყნებში, უხეშობის ნიადაგზე ბევრად უფრო ნაკლებია ტრავმა, ვიდრე ესპანეთში ან იტალიაში. პროფესორი იან ეკსტრანდი მიიჩნევს, რომ ჩრდილოეთში ტრავმა უფრო ხშირია იმიტომაც, რომ სიცივე მინდვრის ხარისხს აფუჭებს. ეკსტრანდის გამოკვლევები ეყრდნობოდა "არსენალის", "მანჩესტერის", აიაქსის", "ეინდჰოვენის", "მილანის", "ინტერის", "იუვენტუსის", "რეალის", "პარი სენ-ჟერმენის", "ლანსის", "რენისა" და რვა დანიური კლუბის ფეხბურთელთა დაკვირვებებს.

## ინფოთეკა

**კალათბურთი.** "სან-ანტონიოს" ლიდერი ტიმ დანკანი ერთი მატჩით დისკვალიფიცირებულია. დანკანი იმისთვის დააჯარიმეს, რომ მატჩის არბიტრს ხელი ჰკრა. მან კი წონასწორობა დაკარგა და იატაკზე გაიშხლართა. ინციდენტი "გოლდენ სტეიტთან" შეხვედრაში მოხდა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ლიტველი შარუნას იასიკიავიჩიუსი "მაკაბიში" რჩება. აღმოჩნდა, რომ ლიტველმა ტელ-ავივის კლუბთან კონტრაქტი ორი წლით გააფორმა და არა ერთით, როგორც ადრე იტყობინებოდნენ. ეს ინფორმაცია კალათბურთელის აგენტის მაურიციო ბალდუცის ინფორმაციაზე დაყრდნობით გავრცელდა. ბალდუცის თქმით, ბოლონიაში შარუნასმა მისი უშუალო შუამდგომლობით "მაკაბისთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლიტველმა თავდაპირველად 1+1 სქემის კონტრაქტი გააფორმა. ერთი წლით ითამაშებდა და, თუ პირობები მოეწონებოდა, კიდევ ერთ წელიწადს დარჩებოდა. ახლა კი, უბრალოდ, თავისი პრივილეგია გამოიყენა. ბალდუცის თქმით, მის კლიენტს "მაკაბი" ძალიან მოეწონა და სეზონთაშორის სატრანსფერო დერეფანში სხვა კლუბის ძიებას აღარ დაიწყებს. თუმცა, ლიტველს კონტრაქტში აქვს პუნქტი, რომლის თანახმად "მაკაბი" ვალდებულია, მოთამაშე NBA-ში გაუშვას. ამ შემთხვევაში "მაკაბი" გარკვეულ ფინანსურ კომპენსაციას მიიღებს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** მარჯვენა მუხლის ტრავმის გამო "კლივლენდის" ცენტრი დესაგანა დიოპი, სულ ცოტა, ორ მატჩს გამოტოვებს. დიოპმა "მემფისთან" შეხვედრაში მიიღო ტრავმა. ის არ ითამაშებს "დენვერისა" და "კლიპერსის" წინააღმდეგ.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა იმ მრბოლთა სია, რომლებიც 2004 წლის სეზონისთვის ოფიციალურად არიან რეგისტრირებული. მათ შორის არიან: მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო (ფერარი), ხუან-პაბლო მონტოია და რალფ შუმახერი (უილიამსი), დევიდ კულტჰარდი და კიმი რაიკონენი (მაკლარენი), იარნო ტრული და ფერნანდო ალონსო (რენო), ჯენსონ ბატონი და ტაკუმა სატო (ბარი), ჯანკარლო ფიზიკელა და ფელიპე მასა (ზაუბერი), მარკ უებერი (იაგუარი), კრისტიანო და მატა და ოლივიე პანისი (ტოიოტა). ჯერჯერობით განაცხადი არ წარმოუდგენიათ ჯორდანსა და მინარდის.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** მომავალ სეზონში "იაგუარის" საჭეს მიუჯდება ახალგაზრდა ავსტრიელი კრისტიან კლინი. ის ავსტრალიელ მარკ უებერთან ერთად გახდება გუნდის პილოტი. "ჩვენ ამ მრბოლის პოტენციალში ეჭვი არ გვეპარება", - განაცხადა გუნდის დირექტორმა დევიდ პიტჩფორტმა.

■ ■ ■

**ველოსპორტი.** იტალიის ველოსპორტის ფედერაციამ ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა ფაბიო ტესტის. ამასთან, მისი გუნდი 4000 ათასი ევროთი დააჯარიმა. სასჯელი ტესტიმ დოპინგის მოხმარებისთვის მიიღო.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "პიტსბურგის" მფლობელმა მარიო ლემიემ ხელფასის მომატებაზე უარი განაცხადა. შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს სერიოზული ფინანსური დეფიციტის გამო კლუბი იძულებული გახდა, წამყვან მოთამაშეებს დამშვიდობებოდა. იარომირ იაგრთან, რობერტ ლანგთან, ალექსეი კოვალიოვთან განშორებამ კლუბს საშუალება მისცა, ხარჯი 23 მილიონი დოლარით შეეკვეცა. ამ დღეებში ეს თანხა კიდევ შემცირდა მას შემდეგ, რაც "ლოს-ანჯელესში" გადაცვალეს მარტინ სტრაკა. ამასთან, "პინგვინზის" დირექტორთა საბჭომ ლემიეს ორჯერ შესთავაზა ხელფასის გაზრდა. ახლა ჰოკეისტის რანგში ლემიე 5,25 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს, რაც ბევრად ნაკლებია, ვიდრე მისი დონის ჰოკეისტები გამოიმუშავებენ. თუმცა, მარიო ლემიეს მხრიდან ხელფასის გაზრდაზე უარის თქმის გათვალისწინებითაც კი ამ სეზონში "პინგვინზის" დანაკარგი 5 მილიონ დოლარს შეადგენს.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "დალასის" მცველი ფილიპ ბუშერი დაშავდა და განუსაზღვრელი დროით გამოეთიშა სპორტს. ჯერჯერობით ექიმებს არ დაუდგენიათ, თუ კონკრეტულად რამდენ ხანს არ ითამაშებს ბუშერი. მან "ნიუ-ჯერსისთან" შეხვედრაში თვალის ტრავმა მიიღო - შაიბა სახეში მოხვდა. მის ნაცვლად კლუბმა სასწრაფოდ ჯეფ მაკმილანი გამოიძახა.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "პიტსბურგის" საუკეთესო ბომბარდირი რიკო ფატა მუხლის ტრავმის გამო, სულ ცოტა, შვიდ მატჩს გამოტოვებს. ფატამ "კაროლინასთან" მატჩში მიიღო ტრავმა და ამის გამო ვერ მოხვდა "ატლანტასთან" შეხვედრის განაცხადში, რომელიც "პინგვინებმა" - 3:2 მოიგეს. ფატა "პიტსბურგში" "რეინჯერსიდან" მივიდა. ის ალექსეი კოვალიოვში გაცვალეს. მან ამ სეზონში 8 შაიბა გაიტანა და 4 საგოლე გადაცემა განახორციელა.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "დეტროიტმა" კონტრაქტი გააფორმა ვეტერან ფორვარდთან ბლეიკ სლოუნთან. სლოუნი ერთი წლის განმავლობაში დაიცავს "წითელი ფრთების" ღირსებას. მიმდინარე სეზონში სლოუნმა 4 შაიბა გაიტანა და 2 შედეგიანი გადაცემა გაახერხა. ადრე ის "დალასის", "კოლამბუსისა" და "კალგარის" ღირსებას იცავდა.

## ძიუდო

# პირველები ისევ პირველობისთვის

ბიბა ბურასაშვილი

ოლიმპიურ თუ არაოლიმპიურ ტატამზე ქართველ ძიუდოისტებს არაერთი წარმატებისთვის მიუღწევიათ და მედლებიც მრავლად აქვთ მოპოვებული, მაგრამ ფაქტია: ბოლო დროს ისე აღარ ბრწყინავენ, როგორც ადრე. მართალია, პირად პირველობებში მეტ-ნაკლებად მოიკოჭლებენ, მაგრამ სამაგიეროდ გუნდურ ასპარეზობებში ბადალი არ ჰყავთ. მხოლოდ ძიუდოს ფუძემდებელთა – იაპონელთა ბარიერის გადალახვა რჩება ამოცანად. შარშან, მსოფლიო თასზე, იაპონიაში, ქართველმა ძიუდოისტებმა პლანეტის მეორე გუნდის სახელი მოიპოვეს. რამდენიმე თვით ადრე კი კონტინენტი დაიპყრეს და ევროპის უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს. შარშანვე, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებულ რეფერენდუმში, საქართველოს ძიუდოისტთა გუნდი, მორაგბეთა ნაკრებთან ერთად, 2002 წლის საუკეთესო გუნდად დასახელდა. მაგრამ, ეს იყო შარშან, წლეულს კი, უფრო სწორად, რამდენიმე დღეში ქართველ ძიუდოისტთა ნაკრებს გუნდური გამოცდა ელის ინგლისში, ლონდონში. ასპარეზობა 6 დეკემბერს აიღებს სტარტს და იმავე დღეს გაირკვევა ევროპის საუკეთესო გუნდის ვინაობა. ამ ტიტულისთვის ოთხი გუნდი შეეცილება ერთმანეთს. საქართველოს ნაკრები ესპანეთთან, უკრაინასა და მასპინძელი ქვეყნის გუნდთან ერთად გამოდის. თუ მათ შორის ვინმეს გამოყოფა შეიძლება, ეს უკრაინის ნაკრებია, რომელსაც, ესპანეთისა და ბრიტანეთისგან განსხვავებით, გაცილებით ძლიერი, სტაბილური და გამოცდილი ძიუდოისტებით დაკომპლექტებული გუნდი ჰყავს. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, როგორც მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა გვითხრა, ჩვენი გუნდი მოსაგებად მიდის. თუ სასწაული არ მოხდა, წესით და რიგით, მეტოქეთა სამივე გუნდს უნდა სძლიოს. ამის თქმის საბაბს იძლევა მეტოქეებზე ბევრად აღმატებული და სტაბილური ქართველ ძიუდოისტთა გუნდი – ნესტორ ხერგიანი (60კგ), დავით მარგოშვილი (66), გიორგი რევაზიშვილი (73), ნადარაია (81), ზურაბ ზვიადაური (90), ივერი ჯიქურაული (100) და ალექსი დავითაშვილი (მძიმე წონა).

რაც შეეხება პრობლემებს, მას, რა თქმა უნდა, ფინანსებთან მივყავართ. გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი ფინანსთა მინისტრს უნდა შეხვედროდა, რათა ძიუდოისტებისთვის ლონდონში გასამგზავრებელი თანხა გამოეყოთ. მართალია, ევროპის გუნდურ პირველობაზე მონაწილეობისთვის სახსრები გათვალისწინებული იყო, მაგრამ საქართველოში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა თანხის გამოყოფა შეაფერხა. თუმცა, როგორც ხაბარელმა გვითხრა, რაც უნდა მოხდეს, ევროპის პირველობაზე მაინც წავლენ: "ყოველ შემთხვევაში, ბილეთებს მაინც ვიყიდით. ვისესხებთ, კრედიტს ავიღებთ, როგორც ხშირად ვაკეთებთ ხოლმე. წასვლით ყველა შემთხვევაში წავალთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საერთაშორისო ფედერაცია საჯარიმო სანქციებს დაგვაკისრებს, რაც ბევრად მეტი იქნება გამგზავრების ხარჯებზე. ესეც რომ არა, გაისად აღარ დაგვიშვებენ".

ევროპის გუნდურ პირველობამდე ქართველი ძიუდოისტები ფიზიკური კონდინციების ამაღლებაზე ამახვილებენ ყურადღებას. ასპარეზობის დასრულების შემდეგ, 14 დეკემბერს, ქართველი ძიუდოისტები საქართველოს ჩემპიონატში უნდა გამოვიდნენ. იანვრიდან კი სალიცენზიო ტურნირები ელით.

## ფორმულა 1

# ფერნანდო ალონსო: "შემიძლია, "რენოსთან" ჩემპიონი გავხდე"


ალონსოს მთავარი ამოცანა გამოცდილების შეძენა

სპეციალისტები 22 წლის ფერნანდო ალონსოს მომავალ მსოფლიო ჩემპიონად აღიქვამენ და მიხაელ შუმახერის მემკვიდრედ მიიჩნევენ, რადგან ამტკიცებენ, რომ, ადრე თუ გვიან, ალონსო "ფერარიში" აღმოჩნდება. თვითონ ფერნანდო კი "რენოსადმი" ერთგულებას გამოხატავს და ამტკიცებს, რომ თავის მშობლიურ გუნდთან ერთადაც შეძლებს, მოიგოს მსოფლიო ჩემპიონატი.

**- ფერნანდო, კმაყოფილი ხართ 2003 წლის სეზონით?**

- ძალიან. სეზონის დასაწყისში "რენო" გეგმავდა, რამდენიმე ქულა აეღო და რამდენჯერმე პოდიუმზე გამოჩენილიყო. რვა თვის შემდეგ უკვე ორი პოულ-პოზიშნი და ერთი გამარჯვება მქონდა. მე ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული გავხდი. რამდენიმე რბოლაში ტოპ-გუნდებისთვის სერიოზული მეტოქეები ვიყავით. ეს ფანტასტიკური გრძნობაა. მთელი გუნდისთვის შესანიშნავი სეზონი იყო და ჩემი ოცნებაც თანდათან ხორციელდება. ახლა ჩვენ მომავალს შევყურებთ და ზუსტად ვიცით, რომ ძალიან ბევრი სამუშაო გველის.

**- თქვენ შარშანდელ სეზონში "რენოს" შესანიშნავმა ფორმამ გაგაოცათ?**

- გამაოცა და თან არც გამაოცა. გამაოცა იმიტომ, რომ ჩვენ უფრო უკეთესები ვიყავით, ვიდრე ველოდით. არ გავოცებულვარ იმიტომ, რომ ვიცოდი, გუნდის ყველა თანამშრომელი შეუპოვრად მუშაობდა იმის მისაღწევად, რასაც მივაღწიეთ. მე ვიცი, თუ რაოდენ კარგი ხალხია გუნდში თავმოყრილი. ჩვენ გავრისკეთ, რამაც გაამართლა. მაგალითად, პარასკევის ტესტები. მთელი წლის განმავლობაში ვმუშაობდით. პირველიდან უკანასკნელ რბოლამდე მანქანამ 300 სხვადასხვა სახის სიახლე განიცადა. ჩვენ რბოლიდან რბოლამდე პროგრესს განვიცდიდით. მიმაჩნია, რომ მეც არცთუ ისე ცუდად ვიშრომე. შედეგები, რასაც მივაღწიეთ, საკუთარ თავზე თვითონ საუბრობს.

**ვრცელდება ხმები, რომ 2007 წელს თქვენ "ფერარიში" მიხაელ შუმახერს შეცვლით. რა შეგიძლიათ ამას დაამატოთ?**

2007 წლამდე კიდევ დიდი დროა. ასეთ ხანგრძლივ პერიოდზე მარჩიელობა არ ღირს. მე "რენოსთან" კონტრაქტი მაკავშირებს. შემიძლია, ამ გუნდთან ერთად მსოფლიო ჩემპიონი გავხდე. სწორედ ამ ამოცანის ირგვლივ ვახდენ კონცენტრაციას.

**თვალსაჩინოა, რომ "რენოს" სიმძლავრე არც ისე დიდია, როგორც სხვა ტოპ-გუნდებისა. რას იღონებს "რენო" ამ დეფიციტის აღმოსაფხვრელად?**

მთელი წლის განმავლობაში ჩვენი ინჟინრები დაუღალავად შრომობდნენ ამ პრობლემის მოსაგვარებლად. მელბურნიდან სუძუკამდე დიდ პროგრესს მივაღწიეთ. ჩვენი პოტენციალი საკმაოდ იძლეოდა იმის შანსს, რომ სეზონის ბოლო ორი რბოლა მოგვეგო. ამას გარდა, მონცაში, რომლის ტრასაც მანქანის ძრავისგან დიდ სიმძლავრეს მოითხოვს, იარნო ტრული, ვიდრე გზიდან გადავიდოდა, მესამე პოზიციაზე მიდიოდა. მომავალი წლისთვის ჩვენ ძრავის დახვეწის ახალი გეგმა გვაქვს, რაც საშუალებას მოგვცემს, ახალი რეგლამენტის შესაფერისი ძრავა მივიღოთ. განვითარების პროცესი კარგად მიმდინარეობს. წინ ბევრი სამუშაო გველოდება, მაგრამ ეს არ მაშინებს.

**არსებობს რაიმე, რაც თქვენი პარტნიორის – იარნო ტრულისგან ისწავლეთ?**

იარნო უაღრესად გამოცდილი პილოტია. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ის შეუპოვრად მუშაობს რბოლის საკუთარი სტილის დასახვეწად და ფიზიკური კონდიციების სრულყოფისთვის. მისმა მიდგომამ თვალი ამიხილა. მივხვდი, თუ რამდენად მომთხოვნია ფორმულა 1. ჩვენ მეგობრები ვართ და არა მარტო ვთანამშრომლობთ, არამედ კარგი ურთიერთობაც გვაქვს ერთმანეთთან. იარნო ფანტასტიკური კოლეგაა.

**მაიკ გასკოინის წასვლა გუნდისთვის დიდი დანაკლისი იყო?**

მაიკის წასვლა, მართლაც, დიდი დანაკარგია. ის შესანიშნავად მუშაობდა. მისი ხელმძღვანელობით შთამბეჭდავი პროგრესი განვიცადეთ. და მაინც კარგი გუნდი გვყავს, რომელსაც ბობ ბელი ხელმძღვანელობს. ის სამი წლის განმავლობაში ტექნიკური დირექტორის მოადგილე იყო. ჩვენ არ მოგვიხდა მაიკის შემცვლელის გარედან მოყვანა. ეს იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ძლიერია ჩვენი ტექნიკური განყოფილება.

**რას ელით 2004 წლის სეზონისგან?**

ჯერჯერობით ძალიან ადრეა ჩვენი მომავალი მიზნების შესახებ საუბარი. ტექნიკური ჯგუფი გეგმავს, გააგრძელოს სვლა პროგრესის გზით, გააუმჯობესოს ძრავა. ამ მხრივ საქმეები კარგად მიდის. პირადად მე ვაპირებ, მთელი ჩემი დრო და ენერგია ვარჯიშებს მივუძღვნა, რათა სეზონისთვის საუკეთესო ფორმაში ვიყო. 2002-დან 2003 წლამდე უდიდესი პროგრესი განვიცადეთ. ახლა მოველით, რომ ახალი სეზონისთვის კიდევ უფრო გავძლიერდებით.

**პირადად თქვენთვის როდის დაიწყება 2004 წლის სეზონი, საქმეში როდის გიხილავთ?**

ამ დღეებში ბარსელონაში ტესტებზე ვიმუშავებ. უკვე 7 კვირაა, საჭესთან არ ვმჯდარვარ. ასე რომ, ძალიან მიხარია. ახალი მანქანა იანვარში გამოჩნდება. მელბურნის წინ ჩვენ კონცენტრირებას იმაზე მოვახდენთ, რომ პირველი სამი რბოლისთვის მაქსიმალურ საიმედოობას მივაღწიოთ.

**შეგიძლიათ, აღწეროთ, რას გრძნობდით ბუდაპეშტში თქვენი პირველი გამარჯვების შემდეგ?**

გამარჯვების შემდეგ ლაპარაკი საერთოდ არ შემეძლო. როცა გავიგე, რაც მოხდა, განუმეორებელმა გრძნობამ შემიპყრო. ეს ნამდვილად არ იყო შემთხვევითი გამარჯვება. მთელი რბოლის განმავლობაში ჩვენ მეტოქეებზე უკეთ გამოვიყურებოდით. ჩემთვის, რასაკვირველია, ეს განსაკუთრებული გამარჯვება იყო, მაგრამ გუნდისთვის, ვფიქრობ, ის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ინგლისსა და საფრანგეთში ჩვენმა თანამშრომლებმა ეს გამარჯვება დაიმსახურეს.

**ესპანელ მრბოლს ჯერ არასოდეს დაუსრულებია სეზონი ასე ძლიერად. გრძნობთ თუ არა თავს ესპანელ გმირად, ვთქვათ, ისე, როგორც ფეხბურთელები?**

მე გმირად არ მიმაჩნია თავი, მაგრამ ჩემს მიმართ ინტერესი აშკარად გაიზარდა. უნგრეთში ჩემი გამარჯვების შემდეგ ესპანური გაზეთების პირველ გვერდზე სწორედ ფორმულა 1 იყო და არა ფეხბურთი. თვით ესპანეთის მეფემ დამირეკა და მომილოცა. ეს დიდი პატივია. ვამაყობ იმით, რომ ფორმულა 1-ში ესპანეთს ღირსეულად წარმოვადგენ. ჩემს სამშობლოში ფორმულა 1 სულ უფრო პოპულარული ხდება.

**თქვენ მიხაელ შუმახერის მემკვიდრეს გიწოდებენ. რას იტყვით ამის შესახებ?**

მე მხოლოდ ჩემს სამუშაოზე ვარ კონცენტრირებული. რა თქმა უნდა, მსურს, მსოფლიო ჩემპიონი გავხდე, მაგრამ ამისთვის ძალიან ბევრი რამ უნდა დაემთხვას ერთმანეთს – მანქანა, გუნდი და პილოტი ყოველ რბოლაზე შესანიშნავად უნდა მუშაობდეს. ჯერჯერობით ტიტულზე არ ვფიქრობ. 2004 წელს ჩვენ, უბრალოდ, გვინდა, კონკურენტუნარიანი გავხდეთ. რასაკვირველია, ტიტული ყოველთვის უმთავრეს მიზნად რჩება, მაგრამ ამისთვის კიდევ ბევრი სამუშაოა.

**ვინ არის თქვენთვის მიხაელ შუმახერი, ჩვეულებრივი მეტოქე თუ ფორმულა 1-ის ლეგენდა?**

მიხაელი მეტოქეა, რომელსაც უნდა გაასწრო. მე ვცდილობ, მისი სისუსტეები გამოვიყენო და ვაჯობო. ჩემთვის სულ ერთია, რა ჰქვიათ ჩემს მეტოქეებს. შენ ასწრებ და როცა შემდეგ ამის შესახებ ფიქრობ, თავს შესანიშნავად გრძნობ.

**შუმახერის რა თვისებები გაკლიათ? თუ მზად ხართ, მსოფლიო ჩემპიონი გახდეთ?**

ადამიანები პილოტებს ერთმანეთს ადარებენ, მაგრამ მე ინდივიდუალური პიროვნება ვარ და საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები მაქვს. მხოლოდ ორი სეზონია, რაც პილოტის რანგში გამოვდივარ. ვიყავი ტესტ-პილოტი და ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი. მე სტრატეგიის შესწავლაზეც მომიწევს შრომა. იმედი მაქვს, "რენოსთან" ერთად უახლოეს წლებში საკუთარ თავში მრბოლის ოსტატობას დავხვეწ.

**ფორმულა 1 ძალიან ბევრ ახალგაზრდა ვარსკვლავს გვთავაზობს – თქვენ, ხუან-პაბლო მონტოია, რალფ შუმახერი, კიმი რაიკონენი... ვინ მიგაჩნიათ მათგან უძლიერეს პილოტად?**

მე სხვა პილოტებს არ ვუყურებ, რომ ერთმანეთს შევადარო. ფორმულა 1-ის ყოველი პილოტი კარგია, თუნდაც, იმიტომ, რომ იქ მონაწილეობს. მე პატივს ვცემ ჩემს ყველა მეტოქეს და მათგანაც იგივეს მოველი. მინდა, ყველას ვაჯობო, მაგრამ რა გამოვა ამ საქმიდან, სეზონის ბოლოს გამოჩნდება.

## ოლიმპიზმი

# სპორტული მედია ტრადიციას არ ღალატობს

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო კონფერენციამ და არჩევნებმა, რომელიც გუშინ ჟურნალისტთა სახლში გაიმართა, დროს ფეხი ვერ აუწყო და ყოველგვარი ექსცესისა თუ მოულოდნელობის გარეშე ჩაიარა. კონფერენციამ მოისმინა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტის, ელგუჯა ბერიშვილის საანგარიშო მოხსენება, რის შემდეგაც გაიმართა არჩევნები. ელგუჯა ბერიშვილს არც ამჯერად გამოუჩნდა კონკურენტი და იგი კონფერენციამ ერთხმად, მეოთხე ვადით აირჩია ასოციაციის პრეზიდენტად.

კონფერენციას არც ვიცე-პრეზიდენტების კანდიდატურები "ჩაუგდია". ამ პოსტებზე დაამტკიცეს გაზეთ სარბიელის გამომცემელი, ზურაბ ფოცხვერია და გაზეთ "მთავარი სპორტის" მთავარი რედაქტორი, პაატა გელაშვილი, გენერალურ მდივნად – გაზეთ "სარბიელის" სპორტული ჟურნალისტი, ზურაბ მეძველია. დაკომპლექტდა აღმასრულებელი კომიტეტიც.

კონფერენციაზე გაცხადდა, რომ, ტრადიციულად, 28 დეკემბერს, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წლის შემაჯამებელი საზეიმო ბანკეტი, სადაც სპორტული მედია საქართველოს 2003 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენს გამოავლენს. მთავარი საკითხი, რომელზეც ამჟამად საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია მუშაობს, საქართველოს სპორტული ენციკლოპედიის გამოცემაა. ელგუჯა ბერიშვილის თქმით, რომელიც პირადად ხელმძღვანელობს ამ პროექტს, უდიდესი მოცულობის სამუშაოა შესრულებული, მოძიებული და შეგროვებულია უნიკალური მასალები, გრძელდება საინფორმაციო ბანკის შევსება. პროექტი საკმაოდ ძვირად ღირებულია. მისი განხორციელება 300 ათასამდე ლარი ჯდება და, რომ არა დონორი ორგანიზაციები, იდეის დონეს ვერ გასცდებოდა. პროექტის დაფინანსებაში მონაწილეობენ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და საქართველოს ოლიმპიური ფონდი, რომელსაც ბადრი პატარკაციშვილი ხელმძღვანელობს.

ასოციაციამ, რომლის მთავარი ფუნქციაა საქართველოში სპორტულ ჟურნალისტთა ინტერესების დაცვა, განიხილა რამდენიმე ისეთი საკითხი, როდესაც დაირღვა ეს უფლებები. ასოციაციის პრეზიდენტის განცხადებით, უახლოეს მომავალში იგეგმება შეხვედრა სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებთან, სადაც განიხილება და დარეგულირდება ეს საკითხები.

# "მიუნხენი, სპორტი, ცისარტყელა"

2004 წლის 29 ივლისიდან 1 აგვისტომდე გერმანიის ქალაქ მიუნხენში რიგით მეცხრე "ევროგეიმზი" შედგება. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელთათვის ეს ტურნირი ოლიმპიური თამაშების ერთგვარი ალტერნატივაა და მასში მონაწილეობას იღებენ ლესბოსელები, ჰომოსექსუალისტები, ტრანსსექსუალები და ის ჰეტეროსექსუალები, რომლებიც სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთა უფლებებს იცავენ.

"ევროპის ჰომოსექსუალთა და ლესბოსელთა სპორტის ფედერაციის" (EGLSF) წარმომადგენელთა განცხადებით, აღნიშნული ტურნირი ყველასათვის ღიაა, სპორტსმენის სქესის, ეროვნების, სექსუალური ორიენტაციისა თუ პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად. თუმცა, "ევროგეიმზში" განსაკუთრებით შეზღუდული უფლებების ადამიანების მონაწილეობას მიესალმებიან.

2004 წლის ზაფხულს მიუნხენში 47 ქვეყნის ხუთი ათასზე მეტი სპორტსმენი მოიყრის თავს, რათა ერთმანეთს სპორტის 27 სხვადასხვა სახეობაში შეეჯიბრონ. ხოლო ტურნირის დევიზი "მიუნხენი, სპორტი, ცისარტყელა" იქნება.

ცურვის, ფრენბურთის, მძლეოსნობისა და სხვა ცნობილი სახეობების გარდა, "ევროგეიმზის" პროგრამაში შეტანილია ეგრეთწოდებული ლაინ-დენსი (ცეკვა პარტნიორის გარეშე).

წმინდა სპორტული შეჯიბრების გარდა, "ევროგეიმზის" პროგრამით გათვალისწინებულია კონცერტები, სპექტაკლები, კინოჩვენებები, ექსკურსიები და ლუდის ფესტივალი. ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ ამ ღონისძიებაზე დასასწრებად მიუნხენში 20 ათასი ტურისტი მოიყრის თავს.

## TV–სპორტი

### ოთხშაბათი. 3 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ელვინ ჰაისი
08:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 1994. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. ""UTAH JAZZ" - "DENVER NUGGETS". მე-5 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგა. "გალათასარაი" – "იუვენტუსი"
14:55 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:50 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:50 თავისუფალი დარტყმა
17:05 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. ინგლისი – ეგვიპტე
18:45 საბერძნეთის ჩემპიონატი. "პანათინაიკოსი" – "პაოკი"
20:25 თავისუფალი დარტყმა
20:40 სახვალიო ტელეპროგრამა
20:45 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
22:25 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "მალაგა" – "ბარსელონა". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (23:45) საფეხბურთო იუმორისტული გადაცემა "დარტყმა გოლისთვის"
00:30 ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" – "ატლეტიკო". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (01:15) თავისუფალი დარტყმა
02:20 "დარტყმა გოლისთვის"
02:35 02:35-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA. დღიური
04:30 NBA TV. "NEW JERSEY NETS" - "MEMPHIS GRIZZLIES". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**
11:00, 14:15, 17:00, 20:15, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:30 აერობიკა
11:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასი ჩილეში
12:15 "რკინის ფაქტორი"
12:45 "ყინული და ქვა". გადაცემა კერლინგზე
13:15 "ვარსკვლავური სამშაბათი"
14:55 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. ფინალი
16:05 "ყველაზე ძლიერი ადამიანი" კანადაში. პირველი ნაწილი
17:15 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "NHK Trophy". გადაცემა იაპონიიდან. შესვენებისას (18:00) "NHL – პლუს"
19:25 მაგიდის ჩოგბურთი – "China Open 2003"
20:30 "Power week – NHL-ის კვირა"
21:00 ათენის გზაზე
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 "ყველაზე ძლიერი ადამიანი" კანადაში. მეორე ნაწილი
23:30 "თოვლის სამყარო"
00:00 "NHL – პლუს"
00:15 ტრიატლონი. მსოფლიო თასი
01:05 ახალი ამბები
01:20 "Power week – NHL-ის კვირა"
01:50 01:50-დან 04:30-მდე შესვენება
04:30 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "DETROIT RED WINGS" - "MIGHTY DUCKS OF ANAHEIM". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი
12:00 ფეხბურთი. ევროგოლები
13:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი
14:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
15:00 სქიერქროსი. შეჯიბრება საფრანგეთში
15:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
18:15 ბადმინტონი. საერთაშორისო ასპარეზობა გერმანიაში
21:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
22:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
23:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
00:30 ცხენოსნობა. სამჭიდი დიდ ბრიტანეთში
02:00 ახალი ამბები
02:15 K1. მსოფლიო გრან-პრი იაპონიაში
03:15 სპორტული ცეკვები. ვიზოვის მსოფლიო თასი რუსეთში

# ეგნატე ლოიოლა



ეგნატე ლოიოლა

გასული საუკუნის ესპანელმა მწერალმა **მიგელ დე უნამუნომ** თავის წიგნში "ცხოვრება დონ კიხოტისა" შენიშნა, რომ სერვანტესის პერსონაჟის პროტოტიპი იყო ე. წ. იესოს საზოგადოების (იეზუიტთა) დამაარსებელი **ეგნატე ლოიოლა**. მართლაც, სულიერი მოღვაწის ბიოგრაფია, თავის პირველ ნაწილში, თითქმის იმეორებს მწუხარე სახის რაინდის ცნობილ თავგადასავალს.

ეგნატე (წარმოშობით ბასკი), როგორც ესპანელ იდალგოთა უმრავლესობა, სამხედრო კარიერისთვის იყო განმზადებული. და მართლაც სამეფო ჯარის ოფიცერი გახდა. 1521 წელს, როცა ქალაქ პამპლონას ფრანგები უტევდნენ. ლოიოლა ერთადერთი იყო, ვინც ბრძოლის გაგრძელებას დაუჭირა მხარი. ფრანგები მაინც შემოვიდნენ ქალაქში და ლოიოლაც ყუმბარის ნამსხვრევით დაიჭრა ფეხში. ამ ფეხზე მან არა ერთი მძიმე ოპერაცია გადაიტანა, რა თქმა უნდა, უნარკოზოდ. შესაძლოა, გადატანილმა ტკივილმა გარკვეული გავლენა მოახდინა მის ფსიქიკაზე. ლოგინად ჩავარდნილი ეგნატე ხან რაინდულ რომანებს კითხულობდა და ხან წმინდანთა ცხოვრებებს. მასში ორი სულისკვეთება იბრძოდა : გამხდარიყო გმირი მებრძოლი, თუ ღვთის სამსახურისთვის მიეძღვნა თავი. ბოლოს ამ მეორე არჩევანმა გაიმარჯვა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ფიზიკური ნაკლის მქონეს წარმატებული სამხედრო მოღვაწეობის იმედი უკვე აღარ უნდა ჰქონოდა.

ესპანელი კაბალიეროს იდეალმა საღვთო სფეროში გადაინაცვლა და ერთ ღამეს ეგნატეს ღვთისმშობელი გამოეცხადა ყრმით ხელში. ეგნატე საბოლოოდ გაწვეულ იქნა ერთადერთ ჯარში, სადაც დაკოჭლებულებსაც ღებულობდნენ.

როგორც კი ფეხზე დადგომა შეძლო, ჯორზე ამხედრდა და მონსერატოს ღვთისმშობლის ტაძარში ჩავიდა. იქ თავისი აღჭურვილობა ჩამოიხსნა, ბერის კაბით შეიმოსა და სამი ღამის განმავლობაში ყარაულობდა საკურთხეველს. ამის შემდეგ ბარსელონაში გაეშურა, იქიდან კი იერუსალიმში, წმიდა ადგილთა მოსალოცად წასვლა განიზრახა. გზად დომინიკელთა მონასტერში შეჩერდა და საბრალო ბერები მისი ასკეტიზმის სიმკაცრემ დააფრთხო : ეგნატე პურისა და წყლის გარდა არაფერს ეკარებოდა და საშინელი ძალით იშოლტავდა თავს. ერთი წლის განმავლობაში გაგრძელებულმა კრიზისმა ლამის თვითმკვლელობამდე მიიყვანა, მაგრამ მოულოდნელად სულიერი სიმშვიდე დაუბრუნდა და ბარსელონისკენ განაგრძო გზა.

გემით ჯერ რომში გაემგზავრა, მერე ვენეციაში და ბოლოს პალესტინისკენ აიღო გეზი. იერუსალიმში უნდოდა დარჩენა და მუსლიმთა ქრისტეს სჯულზე მოქცევა. მაგრამ თურქები, თუმცა კი წმიდა ადგილების მონახულების უფლებას აძლევდნენ ქრისტიანებს, სასტიკად უკრძალავდნენ ყოველგვარ პროზელიტიზმს და ქადაგებას. იერუსალიმში მყოფმა ფრანცისკელთა წინამძღოლმა, რომელსაც არ სურდა პრობლემები ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ეგნატეს შინ დაბრუნება უბრძანა.

ლოიოლამ ესპანეთში დაიწყო ქადაგება და მალევე შეამჩნია, რომ ეს ისევე არასასურველი აღმოჩნდა "მორწმუნეთათვის", როგორც "ურწმუნოთა" შორის. თუმც კი გამოუჩნდნენ მიმდევრები, მაგრამ ეგნატეს პიროვნებით ინკვიზიციაც დაინტერესდა. ორჯერ თუ სამჯერ წამოიწყო საღვთო სასამართლომ მის წინააღმდეგ პროცესი, მაგრამ მგზნებარე მქადაგებელი ყოველთვის გამართლებული აღმოჩნდებოდა ხოლმე. ინკვიზიტორები გულდასმით იკვლევდნენ მის ნაწერებს, უსმენდნენ მის სიტყვებს და ვერ პოულობდნენ მათში ვერანაირ ერესს. არც წამება გამოუყენებიათ ოდესმე მის წინააღმდეგ.

ეგნატე ლოიოლა და მისი ხუთიოდე მიმდევარი აღმოჩნდნენ ის პირველი ბირთვი, რომელსაც იესოს საზოგადოების დაარსება მოჰყვა. ეს საზოგადოება ხშირად იეზუიტთა ორდენის სახელითაა ცნობილი, მაგრამ ეს დასახელება მთლად ზუსტი არაა. იეზუიტთა ეფექტურობა გამოიწვია მათი საწყისი პრინციპის სიმარტივემ : ეკლესია ერთადერთია, ვისაც აქვს საღვთო წერილის განმარტების უფლება, ამიტომ თუ იგი ამბობს, რომ რაღაც შავია, ჩვენ უნდა დავეთანხმოთ მაშინაც კი, თუ ჩვენს მხედველობას ეს თეთრად ეჩვენება.

1537 წელს რომში ჩასული პირველი იეზუიტები პაპის წინაშე გამოცხადდნენ და იქ თავიანთი საზოგადოების ლეგიტიმაცია მოახდინეს. სიწმინდისა და უპოვარების აღთქმებს კიდევ ორი დაემატა : საზოგადოების წინამძღოლის ან გენერლისადმი ბრმა მორჩილება და პაპის ბრძანებათა უსიტყვო შესრულება. ამ ბრძანებებში, ძირითადად, უცხო ქვეყნებში სამისიონერო მოღვაწეობა იგულისხმებოდა. იეზუიტებმა სრულყოფამდე აიყვანეს შინაგანი დისციპლინა : წესების მიხედვით ყოველი მათგანი უნდა გამხდარიყო "მკვდარი და უგრძნობი სხეული" თავისი უფროსების ხელში. თვით სიტყვა "იეზუიტი" მოგვიანებით წარმოიშვა, ის **ჟან კალვინმა** მოიგონა და მასში მთელი თავისი ირონია, დამცინაობა და ღვარძლი ჩადო. საინტერესოა, რომ დღეს იესოს საზოგადოების წევრები თავიანთ თავს სრულიად მშვიდად უწოდებენ იეზუიტებს.

ამის შემდეგ ეგნატე ლოიოლამ მთელი თავისი ენერგია საორგანიზაციო მოღვაწეობას მიუძღვნა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსამზადებელი პროცესის ჩამოყალიბებას. საზოგადოებაში შესვლის მსურველს ჯერ ორწლიანი წინასწარი მომზადება უნდა გაევლო, რომლის განმავლობაში მის პიროვნებას სრულიად შლიდნენ და მორჩილება სრულყოფამდე აჰყავდათ. ამ გამოცდას გადარჩენილი მცირერიცხოვანი ადეპტები მეორე კლასში გადადიოდნენ, სადაც გამოცდა კიდევ უფრო მკაცრი იყო. ბოლოს და ბოლოს რჩებოდა "განდობილთა" მცირე რაოდენობა. ამ ადამიანებზე უკვე სრულიად შესაძლებელი იყო დაყრდნობა ნებისმიერ ყველაზე ძნელ საქმეში. დღეს იეზუიტის მომზადების პროცესი დაყვანილია საუნივერსიტეტო განათლებაზე : საზოგადოების ყოველმა სრულფასოვანმა წევრმა ცხრა წელი მაინც უნდა გაატაროს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში თეოლოგიის ფაკულტეტზე, სანამ აღთქმის დადების უფლება ექნება.

როგორც ისტორია მოწმობს, არ არსებობს ასეთი ხანგრძლივი არსებობის მქონე საზოგადოება, რომელსაც ასე შეენარჩუნებინოს თავისი დამმარსებლის არა მარტო სულიერი ანდერძი, არამედ მისი პიროვნული მსგავსებაც. ეგნატე თვითონ არა მხოლოდ დამაარსებელი იყო, არამედ უკიდურესი ასკეტიზმისა და საქმისადმი ერთგულების მაგალითიც.

იეზუიტებმა სამისიონერო მოღვაწეობით ჩინეთსა და იაპონიას მიაღწიეს. განსაკუთრებით ნიშანდობლივია **ფრანსისკო ხავიერის**, ეგნატე ლოიოლას პირველი შემცვლელის მაგალითი. მან ინდოეთამდე იარა, იქ ადგილობრივი ენა შეისწავლა და მრავალი წლის განმავლობაში ექიმად მუშაობდა. ფრანსისკომ ათასობით ინდუისტი და მუსლიმი მოაქცია კათოლიკობაზე. სიკვდილის შემდეგ ის წმინდანად იქნა შერაცხული.

ევროპაში კი იეზუიტებმა განათლების სისტემის მეშვეობით დაიმკვიდრეს ადგილი. რამდენიმე წლის განმავლობაში იეზუიტური კოლეჯებით აივსო ევროპა და ეს დაწესებულებები საუკეთესო განათლებას იძლეოდა. აქ ყველაზე წარმატებულად აღსრულდა ეგნატეს რჩევა : "ნუ დაკმაყოფილდებით თქვენს მოწაფეთა გონების ჩამოყალიბებით. დაეპატრონეთ მათ სულს და იგი მარად თქვენი იქნება". იეზუიტები მალე გახდნენ ევროპის ყველაზე წარჩინებულ საგვარეულოთა ოჯახის მოძღვრები. მათ სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ არასოდეს გამოუყენებიათ ეს ადგილი პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, არასოდეს გამოუყენებიათ ბოროტად თავიანთი ძალაუფლება. თუმცა კი მათი რეაქციონერობა ყველაზე მეტად XIX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა, როცა ევროპაში ფეხი მოიკიდა ლიბერალიზმმა.

ეგნატე ლოიოლა 1557 წელს გარდაიცვალა. საზოგადოება მაშინ ათას წევრზე მეტს ითვლიდა. მათგან მხოლოდ ოცდაათი თუ იყო "განდობილი". ამ შედარებიდან კარგად ჩანს, რაოდენ მკაცრი იყო შერჩევის პროცესი.

# ჟან კალვინი



კალვინისტები ხსნიან ხატებს ჟენევის ტაძრის კედლებიდან

მისი ნამდვილი გვარი **კოვენი** იყო, მაგრამ იმხანად გაბატონებული მოდის თანახმად მისი ლათინიზირებული ფორმა, **კალვინი** დამკვიდრდა. დაიბადა 1509 წელს საფრანგეთის პატარა ქალაქ ნოიონში, სადაც საეპისკოპოსო კათედრა იყო და ქალაქის საქმეებს ეპისკოპოსი განაგებდა. მამამისი **ჟერარი** სწორედ საეპისკოპოსო კანცელარიის მოხელე იყო, მაგრამ რაღაც დისციპლინარული სასჯელი მიიღო, განკვეთილ იქნა ეკლესიისგან და როცა გარდაიცვალა, ოჯახმა დიდი გაჭირვებით მიიღო მისი ნაკურთხ მიწაში დაკრძალვის ნებართვა.

არ ვიცით, რამდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ეპიზოდმა ახალგაზრდა კალვინზე. იგი უკვე კარგა ხანია იტანჯებოდა დედინაცვლის ხელში. ბოლოს და ბოლოს, თავის უფროს ძმასთან ერთად სამღვდელო წოდებისათვის განამზადეს და პარიზში, მონტეგიუს კოლეჟში მიაბარეს. კოლეჟი კალვინმა 1528 წელს დაასრულა, სწორედ მაშინ, როცა იქ სწავლას იწყებდა **ეგნატე ლოიოლა**.

კოლეჟში კალვინი არავის უყვარდა მისი მკაცრი და მოსაბეზრებელი მორალიზმის გამო. ძალიან ბეჯითი იყო და გამუდმებით ყველას ჭკუას არიგებდა. სასამართლო კაზუისტიკაში ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. ყველგან ცოდვებს ეძებდა და გულუხვად მხოლოდ ჯოჯოხეთს ჰპირდებოდა ადამიანებს. კალვინის პირველი ნაშრომი იყო ანტიკური მოაზროვნის **ლუციუს სენეკას** გულმოწყალების შესახებ ტრაქტატის კომენტარი.

სადიპლომო ნაშრომის დაცვის შემდეგ მაშინვე შევიდა საფრანგეთის ინტელექტუალურ წრეებში, რომლებიც მეფის, **ფრანსუა I**-ისა და მისი დის, **მარგარიტა ნავარელის** ირგვლივ იყო წარმოქმნილი. აქ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პარიზის უნივერსიტეტის რექტორს, **კოპს**, რომელმაც 1533/34 სასწავლო წლის პირველი ლექცია **მარტინ ლუთერს** მიუძღვნა. ამბობენ, რომ ამ ლექციის ტექსტზე თვით კალვინმაც იმუშავა. სტუდენტებმა რექტორი ერესში დაადანაშაულეს და პარიზიდან გაქცეულმა კოპმა ბაზელს შეაფარა თავი.

დაპატიმრების ბრძანება კალვინსაც შეეხო. მან ჯერ ანგულემს შეაფარა თავი, მერე კი ნოიონში დაბრუნდა. ორჯერ იყო დაპატიმრებული და ორჯერვე გაათავისუფლეს. ბოლოს ისევ პარიზისკენ აიღო გეზი. აქ პროტესტანტმა ექსტრემისტებმა კედელზე პროკლამაციები გააკრეს და მეფემ მკაცრი რეპრესიები წამოიწყო. კალვინმა ძლივს გაასწრო სასჯელს და ისიც ბაზელში გაიქცა.

აქ თავის მეგობარს, კოპს შეხვდა და 26 წლის ასაკში დაიწყო ფუნდამენტური თხზულების წერა. ამ წიგნმა, რომლის სათაურია "ქრისტიანული რელიგიის პრინციპები" კალვინს ლუთერთან ერთად რეფორმაციის ერთ-ერთი წამყვანი პიროვნების სახელი მოუტანა.

ლათინურ ენაზე სულ რამდენიმე ასეულ ეგზემპლარად დაბეჭდილი წიგნი რამდენიმე დღეში გაიყიდა და გამომცემელმა სასწრაფოდ გამოუშვა მისი მეორე, უფრო ვრცელი ვარიანტი. კალვინმა, რომელიც მიხვდა, რომ საზოგადოების ყურადღება მოიპოვა, ფრანგულ ენაზე თარგმნა თავისი თხზულება. დღეს უკვე ძნელია თქმა, რა იყო წიგნის წარმატების საფუძველი — მისი შინაარსი, თუ ბასრი და ლაკონური ენა, რომელიც დღემდე მიიჩნევა სტილისტურ შედევრად. ასეა თუ ისე, მთელი ცხოვრების განმავლობაში კალვინი მხოლოდ ამდიდრებდა და ავრცობდა თავისი პირვანდელი ტექსტის განმეორებით გამოცემებს.

წიგნი მეფისადმი პათეტიური მიმართვით იწყება. მართლაც, ფრანსუა I ფრანგ პროტესტანტებს ებრძოდა, მაგრამ გერმანელ პროტესტანტებთან დამეგობრებას ცდილობდა, რათა გამოეყენებინა ისინი კარლოს V-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. პოლიტიკურ საფუძველზე დაყრდნობით კალვინი თეოლოგიურზე გადადის და ცდილობს მეფის გულის მოგებას პრედესტინაციის, ანუ წინასწარგანსაზღვრულობის დოქტრინით. პრედესტინაცია ნიშნავს, რომ ღმერთი თავის ქმნილებებს ცხონებასა და წარწყმედას ჯერ კიდევ მათ დაბადებამდე განუსაზღვრავს და მათი პირადი ღვაწლისაგან დამოუკიდებლად. ამგვარი ქრისტე, წერს კალვინი, შეიძლება სასტიკი და უსამართლო ეჩვენოს ადამიანურ გონებას, მაგრამ შეცდომაა ვიფიქროთ, თითქოს ადამიანს თავისი გონებით ძალუძს ღმერთის განგებაში წვდომა. თუმც კი ქრისტიანული მოვალეობების აღსრულება ვერანაირად შეცვლის ჩვენს მომავალ ბედს, ისინი მაინც უნდა აღვასრულოთ, რადგან ამას ღვთის მიმართ მადლიერება გვაკისრებს.

კალვინის აზრით, ეკლესია დანაშაულებრივი ორგანიზაციაა, რომელიც ტყუილით არსებობს. ამ ტყუილის ყველაზე აშკარა გამოვლენაა წირვა, სადაც მრევლს არწმუნებენ, თითქოს პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად იქცევა. არანაკლებ დანაშაულებრივია გამოსახულებათა კულტი, რადგან პირდაპირ არღვევს ძველი აღთქმის მეორე მცნებას. ჭეშმარიტი ეკლესია ყველა ქრისტიანთა ერთობლიობა კი არაა, არამედ ცხოვნებისათვის რჩეულთა კრებულია. ეს კრებული უხილავია, რადგან არავინ იცის, რამდენია საცხოვნებლად განსაზღვრული და ვინ არიან ისინი. ამის გარდა არის ხილული ეკლესიაც: მისი ყველა წევრი არ ცხოვნდება, მაგრამ აუცილებელია ღვთის მიერ დაწესებული საიდუმლოებების (შვიდიდან კალვინი მხოლოდ ორს — ნათლისღებასა და ევქარისტიას — აღიარებს) და ზნეობრივი წესების აღსრულება. ღვთის მიერ დაწესებული ეს ორგანიზმი აუცილებელია და თვით საერო მთავრობაც უნდა დამორჩილდეს მას. მეფემ თავისი თავი უნდა აქციოს ინსტრუმენტად კერპთა თაყვანისცემის წინააღმდეგ ბრძოლაში. კერპებს კი, კალვინის თანახმად, კათოლიკური ეკლესია ეთაყვანებოდა.

ეს ყველაფერი კალვინს თვითონ არ მოუგონია. მისი ნააზრევი უბრალოდ ახალი და განსხვავებული წაკითხვა იყო პავლე მოციქულის ეპისტოლეთა და ნეტარი ავგუსტინეს თეოლოგიური ტრაქტატებისა. თვით თეოკრატიული სახელმწიფოს იდეა, სადაც საერო მთავრობა ეკლესიის მსახურია, XI საუკუნეში მოღვაწე რომის პაპის, გრიგოლ VII-ის მიერ ჩატარებული საეკლესიო რეფორმის გამოძახილია. ამასთან ერთად კალვინი მკაცრად აკრიტიკებს ჰუმანიზმსა და აღორძინებას, ანუ მისი თანამედროვე კულტურის უმნიშვნელოვანეს მონაპოვრებს, და შუა საუკუნეებში აბრუნებს ადამიანს, სადაც იგი მარტოსული და უძლური უნდა დარჩეს ულმობელი ღმერთის წინაშე. ერთი შეხედვით, [illegible]

მაგრამ საკმარისია დავიწყოთ კალვინის კითხვა, რომ დავრწმუნდეთ: ავტორს მტკიცედ სწამს, რომ თვითონ ამ მცირერიცხოვან რჩეულთა კრებულს განეკუთვნება, რომლებიც ღმერთმა ცხოვნებისა და სამარადისო ნეტარებისთვის განამზადა. ეს შინაგანი რწმენა ზრდის და აძლიერებს კალვინის ტექსტის ზემოქმედებას მკითხველზე. მოძღვრის ტექსტებიდან ათვისებული ამავე ურყევი რწმენით არიან განმსჭვალულნი შვეიცარიელი რეფორმისტები, ფრანგი ჰუგენოტები, შოტლანდიელი პურიტანები, ესპანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ამბოხებული ჰოლანდიელი პატრიოტები. სწორედ ამ რწმენით გულანთებულმა ადამიანებმა დაიპყრეს და დაასახლეს ახალი კონტინენტიც.

კალვინის ნიჭის წყალობით პრედესტინაციის დოქტრინა მკითხველში პასიურ სასოწარკვეთილებას კი არ იწვევდა, არამედ საკუთარი მომავლისადმი ნდობას და სულიერ აქტივობას. ის, რაც თეორიულად ინდუიზმის მსგავსი აპათიისა და სინამდვილესთან შერიგების რელიგია უნდა ყოფილიყო, პრაქტიკულად სარწმუნოებათა შორის ყველაზე ვოლუნტარისტულ კონცეფციად იქცეოდა. ალბათ სამართლიანია დიდი გერმანელი სოციოლოგის, **მაქს ვებერის** თვალსაზრისი, რომ კაპიტალიზმი, ამერიკის ჩამოყალიბება, ინდუსტრიული რევოლუცია, ერთი სიტყვით, ახალი ისტორიის ყველა უმნიშვნელოვანესი მოვლენა და პროცესი სათავეს იმ ჯვაროსნული ლაშქრობის სულისკვეთებაში იღებს, რომლის ჩანერგვაც მოახერხა კალვინმა თავის მიმდევართა სულში, როცა დაარწმუნა ისინი, რომ წარსაწყმედად განკუთვნილ სამყაროში ისინი ერთადერთნი არიან, ვინც შეიძლება უფლის ცხებულთა შორის ჩაითვალოს. ამ ცხებულობის ნიშანი და ყოფიერი გამოვლენა კი ცხოვრებისეული წარმატება და გამარჯვება უნდა ყოფილიყო. სიმდიდრე და ძალაუფლება უკვე აღარ იყო ამქვეყნიური ცდუნება და ცოდვა, არამედ იქცეოდა ადამიანის ზნეობრივ ვალდებულებად, საღვთო მადლის ნიშნად, სამარადისო საიქიო ნეტარების გარანტიად.

თანამედროვე დასავლეთის და, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატების სულისკვეთება სწორედ ამაში მდგომარეობს.

კალვინის შემდგომი ცხოვრების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ზოგი ისტორიკოსის აზრით, სანამ ბაზელში მისი წიგნის მესამე გამოცემა მზადდებოდა, მან ევროპაში იმოგზაურა, კერძოდ, იტალიასა და საფრანგეთში. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მისი ჟენევაში ჩასვლა 1536 წელს.

ეს ქალაქი, რომელიც ჯერ არ შედიოდა შვეიცარიულ კონფედერაციაში, იმხანად უბრალო ტბისპირა სოფლების ჯგუფს წარმოადგენდა, სადაც ხიმინჯებზე შეყენებული სახლები ზუსტად ისეთივე იყო, როგორც **იულიუს კეისრის** დროს. ქალაქს ეპისკოპოსი განაგებდა და ერთგვარი პარლამენტი, ანუ "სამოცთა საბჭო", რომელიც ყველაზე შეძლებულ ოჯახთა რიცხვიდან აირჩეოდა. ამ ოლიგარქიის წინააღმდეგ მალე ე. წ. "პატრიოტები" გამოვიდნენ, რომლებმაც კავშირი დაამყარეს გერმანელ პროტესტანტებთან, რომელთაც "ნაფიც მეგობრებს" უწოდებდნენ — გერმანულად Eidgenossen. ფრანგულმა ენამ ეს სიტყვა დაამახინჯა, თავისებურად მოაქცია და ასე წარმოიშვა ტერმინი "ჰუგენოტები". კალვინი ჟენევაში მაშინ ჩავიდა, როცა ჰუგენოტებმა უკვე გაიმარჯვეს და ეპისკოპოსიც ორი თვის გაქცეული იყო.

სახალხო აჯანყებისა და პროტესტანტიზმზე მოქცევის ინიციატორი იყო **გიომ ფარელი**, რომლის მგზნებარე სიტყვას წარუშლელი შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლო. ამ შთაბეჭდილებას ვერც კალვინი გაექცა. ფარელმა სთხოვა კალვინს, მონაწილეობა მიეღო ახალი რეფორმისტული ეკლესიის შექმნაში. კალვინმა საკათედრო ტაძარში ქადაგება დაიწყო.

მალე მიიღეს კანონები, რომელთა თანახმად ჟენევა ერთ დიდ მონასტრად გარდაიქმნა. ღვთისმსახურებაზე სიარული სავალდებულო გახდა. გამოსახულებების, წმინდანებისა და წმიდა ნაწილების თაყვანისცემა სასტიკად ისჯებოდა. ლოთობის, აზარტული თამაშის, მრუშობის გამო ყველას ციხე ელოდა.

მოსახლეობას მალე მობეზრდა ეს სიმკაცრე. პატრიოტები ხან კათოლიკეებს უკავშირდებოდნენ, ხან კი ზომიერ პროტესტანტებს, ე. წ. ლიბერტინებს. ეს დასახელება მომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან, რომელიც თავისუფლებას, ლიბერალიზმს ნიშნავს. მაგრამ კალვინმა მისგან გარყვნილის, საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ ამბოხებულის სინონიმი შექმნა და სწორედ ეს მნიშვნელობა შეინარჩუნა ტერმინმა დღემდე.

მეამბოხეებმა ფარელი და კალვინი ჟენევიდან გააძევეს. პირველმა საფრანგეთში, ნევშატელში დაიდო ბინა, მეორე კი თავისუფალ ქალაქში, სტრასბურგში გადაბარგდა და იქ პროტესტანტული ტაძრის პასტორი გახდა. აქ დაქორწინება გადაწყვიტა. ფარელისადმი წერილში კალვინი წერდა: "მე არა ვარ ის გიჟი მოყვარული, რომელიც ქალის მშვენიერებით მოხიბლული, მზადაა მისი მანკიერებანიც ჩაიხუტოს. ჩემთვის ერთადერთი მშვენიერება იქნება, თუ ვიპოვი პატიოსან, თავაზიან, ალალ, მომჭირნე არსებას, რომელიც იზრუნებს ჩემს ჯანმრთელობაზე". ყველა ეს თვისება კალვინმა ერთ ქვრივ ქალში, **იდელეტა დე ბიურში** აღმოაჩინა, რომელსაც უკვე რამდენიმე შვილი ჰყავდა. ათი წლის შემდეგ ცოლი გარდაიცვალა და კალვინს მეორე აღარ შეურთავს. მთელი თავისი ენერგია მან რეფორმაციის ლიდერობას შეალია.

რამდენიმე ხანში კვლავ ჟენევას დაუბრუნდა, სადაც საერო მთავრობა უკვე დამარცხებული იყო. კალვინი ახალი ძალით შეუდგა საქმეს: ნამდვილი ასკეტი იყო, ცოტას ჭამდა, დღეში 18 საათს მუშაობდა, არავის არაფერს შეუნდობდა. თვითონაც იმ ულმობელ ღმერთს დაემსგავსა, რომელსაც თავის ქადაგებებში აღწერდა. ჟენევაში კალვინის მოღვაწეობიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ფურცელია **მიგელ სერვეტის** საქმე.

სერვეტი ესპანელი იყო და ამიტომ ისლამის გავლენაც ეტყობოდა. ოცი წლის ასაკში ლათინურად გამოაქვეყნა წიგნი, სადაც ამტკიცებდა, რომ ყოვლადწმიდა სამება მხოლოდ მრავალღმერთიანობის შეფარული ფორმა იყო. სერვეტი იძულებული გახდა, ესპანეთიდან გაქცეულიყო. პარიზში ყოფნისას მან ახალი თხზულება შექმნა, სადაც ამტკიცებდა, რომ სიტყვა "ქალწული" ებრაული ორიგინალის თანახმად უნდა გავიგოთ როგორც "ახალგაზრდა ქალი", რის შედეგად, ქრისტეს დაბადებაში არანაირი სასწაული არ ყოფილა. ამან სერვეტის წინააღმდეგ უკვე პროტესტანტებიც აამხედრა.

ფარელისადმი წერილში კალვინი წერდა: "თუ სერვეტი ჟენევაში ჩამოვა, ყველაფერს ვიზამ, რომ ცოცხალი აღარ გამოვიდეს". სერვეტი ჟენევაში ჩავიდა. აქ კალვინი მის წინააღმდეგ უკვე უპატიოსნო ხერხებით იბრძოდა: მაგალითად, ლიონის ინკვიზიტორს გაუგზავნა სერვეტის პირადი წერილები, რათა მისი ბრალი დამტკიცებულიყო. კალვინი მზად იყო კათოლიკურ ინკვიზიციასთან ეთანამშრომლა, ოღონდ კი მეტოქე დაემარცხებინა. ბოლოს და ბოლოს თვითონ აღძრა სერვეტის წინააღმდეგ საქმე და მოახერხა მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა.

სერვეტი 1553 წელს კოცონზე დაწვეს ჟენევაში. ერეტიკოსად შერაცხულმა ყველანაირ შენდობაზე უარი თქვა და სანამ ცეცხლი ჩაყლაპავდა, თავისი მტანჯველების შენდობას შეევედრა ღმერთს. 1903 წელს ჟენევის მუნიციპალიტეტმა და კალვინისტურმა ეკლესიამ სერვეტს ძეგლი აუგეს. თვით კალვინს კი არასოდეს მოუნანიებია : 1564 წლის 25 აპრილს მან მდუმარედ დახუჭა თვალები.

ყველა რეფორმისტს შორის ჟან კალვინი ადამიანურად ყველაზე ნაკლებ სიმპათიური იყო, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე წარმატებული.



ჟან კალვინი



მიგელ სერვეტი

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეზარაშვილი*

# "აეროსმიტის" დღე



"აეროსმიტი"

როგორც ჩანს, ამერიკულ ჯგუფს "აეროსმიტს" თაყვანისმცემლები შეერთებული შტატების ხელისუფლებაშიც ჰყავს. ნიუ ჰემპშირის გუბერნატორი კრეიგ ბენსონი გამოვიდა წინადადებით 24 ნოემბერი შეერთებულ შტატებში "აეროსმიტის" დღედ გამოცხადდეს. ამ შტატთან ჯგუფსაც და მის ლიდერებსაც უდავოდ ტკბილი მოგონებები აკავშირებს. როგორც ცნობილია, სწორედ აქ დაიწყო ჯგუფმა თავისი მოღვაწეობა. შარშანწინ ნოემბერში "აეროსმიტი" გამოვიდა განახლებულ საკონცერტო მოედანზე Verizon Wireless Arena-ზე. ახლახან ჯგუფმა ამ მოედანზე კიდევ ერთხელ გამართა კონცერტი. სწორედ მაშინ "გრანიტის შტატის" გუბერნატორმა მიიღო გადაწყვეტილება, მუსიკოსებისთვის ღვაწლი დაეფასებინა. "ნიუ ჰემპშირი ამაყობს, რომ ეს ლეგენდარული ჯგუფი ჩვენი შტატიდან იღებს სათავეს. გვიხარია, რომ "აეროსმიტი" არ ივიწყებს მშობლიურ შტატს და რეგულარულად მართავს აქ კონცერტებს", - თქვა გუბერნატორმა. ამის მიუხედავად, ბენსონის წინადადებას ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი როდი იზიარებს. "უკეთესი იქნებოდა, დაეწესებინა რომელიმე ცირკის დღე. ეს სასაცილოა. გუბერნატორი ერთობა და აწესებს როკ-ჯგუფების დღეებს, მაშინ, როდესაც ნორმალური პოლიტიკოსები საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებიან", - ირონიით ამბობს შტატის ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი რუტი გრიფინი.

# პეკინში სექსის მუზეუმი დახურეს

მას შემდეგ რაც ხალხის გაჭყლეტის საშიშროება გაჩნდა, ჩინეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა პეკინში სექსის მუზეუმი დახუროს. პეკინის მუზეუმში თავმოყრილია ის ექსპონატები, რომლებიც ასე თუ ისე ეხმიანებიან სექსის თემას. ბევრი მათგანი ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულს განეკუთვნება. პეკინის გაზეთები წერენ, რომ ერთ ოთახში სადაც მხოლოდ 100 კაცი ეტევა, უცბად შეიჭრა 200 დამთვალიერებელი. ჭყლეტვის შედეგად ერთი სტენდი საერთოდ გატყდა. ჩინეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მუზეუმის პოპულარობა საშიში ხდება.

თუმცა ყველა ჩინელი როდი ინტერესდება პიკანტური თემებით. შანხაიშიც დახურეს სექსის მუზეუმი, მაგრამ სულ სხვა მიზეზის გამო. მუზეუმს დღეში 30-ზე მეტი დამთვალიერებელი არ ჰყავდა, რის გამოც შანხაის მუზეუმი ვალებში ჩავარდა.

# იოკო ონოს საიდუმლო ქორწინება



ცრუ ქვრივი - იოკო ონო

ფრანგულმა გამოცემამ, "ფიგარომ" გამოაქვეყნა სტატია, რომელმაც შოკი მოჰგვარა "ბითლზის" და ჯონ ლენონის თაყვანისმცემლებს. აღმოჩნდა, რომ მუსიკოსის დაღუპვიდან ექვსი თვის შემდეგ, იოკო ონო უნგრელ ანტიკვარიატით მოვაჭრეს - სამუელ ხავადტოის გაჰყვა ცოლად.

სამუელი იოკოზე 18 წლით უმცროსია. მათი ქორწინება საიდუმლოდ ინახებოდა, იქამდე, სანამ განქორწინება არ გადაწყვიტეს. გამოდის, რომ იოკო ონო, რომელსაც "პროფესიონალ ქვრივს" უწოდებენ, ოთხჯერ იყო გათხოვილი. მისი პირველი ქმარი იაპონელი იყო, შემდეგ ის ცოლად გაჰყვა ამერიკელ ჯაზის მუსიკოსს ენტონი კოქსს, რომლისგანაც გოგონა შეეძინა. როცა 1966 წელს ონომ და ლენონმა ერთმანეთი გაიცნეს კოქსთან ქორწინება ჯერ კიდევ ძალაში იყო. 1969 წლისთვის წყვილმა ყველა ფორმალობა მოაგვარა და იქორწინეს კიდეც.

ჯონ ლენონის დაღუპვის შემდეგ დაქვრივებული (თუმცა როგორც გავიგეთ, ახლად გათხოვილი) იოკო ონო ქმრის მუსიკალური ჩანაწერების და ვიდეო მასალების გამოქვეყნებას შეუდგა.

# ზღვის განძი

## 180 მილიონი დოლარი ფსკერზე

ამერიკელი მკვლევარები ატლანტიკის ოკეანის ფსკერიდან განძით დატვირთული გემის ამოღებას აპირებენ. გემი, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩაიძირა, აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროს შორიახლოს აღმოაჩინეს.

როგორც გაზეთები 20 წლის წინ იუწყებოდნენ, გემზე 20 ათასი ოქროს მონეტა არსებობდა, ყოველი მათგანი კი 20 დოლარი ღირდა. ტვირთი, სამოქალაქო ომის შემდგომ დანგრეული სამხრეთ ამერიკის აღსადგენად იყო განკუთვნილი.

სულ რამოდენიმე დღეა, რაც ოქროს მონეტებით მობნეული ზღვის ფსკერის ფოტოები გამოქვეყნდა. წინასწარი გამოთვლით, ჩაძირული განძის ღირებულებამ შეიძლება 180 მილიონ დოლარს მიაღწიოს. თუ შესძლებენ ამ მონეტების ზღვიდან ამოღებას, ეს ყველაზე ძვირადღირებული ტვირთი იქნება, რაც კი ოდესმე ზღვის სიღრმიდან მოუპოვებიათ.

### სკანვორდი



N313-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი: [illegible]

## TV პროგრამა

3 დეკემბერი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.25** სერიალი "ჯადოქარი" **19.00** სერიალი "მაშველები" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **00.30** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **01.00** მხ.ფილმი "მოახლე". მთ. რ-ში: ჯენიფერ ლოპესი, რეიფ ფაინსი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პრინცესა ნერი" **10.10** მხ. ფილმი "მკვდარი სეზონი" **11.15** დოკ. სერიალი "ცხოველთა სტრატეგია" **11.45** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.35** "ზღვარი" **15.15** მხ. ფილმი "გიჟები სტადიონზე" **16.40** დოკ. სერიალი "კვალდაკვალ" **17.05** "მსოფლიოს ქალაქები" **17.20** 50-50 **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** ენერგია **19.40** ბასტიბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** "მათი შვილები" **22.20** სერიალი "ფორსაიტების საგა" მე-10ს. **23.25** კრიმინალური ქრონიკა **23.35** მხ. ფილმი "ერთი ეპიზოდი პოლიციელის ცხოვრებიდან"

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "მეტიჩარა" მთ.რ-ში რიზ უიზერსპუნი, მეთიუ ბროდერიკი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** პროფათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** "ბრავო" "ღალატი" მთ.რ-ში ჯეიმს რემარი, ერიკა ელენიაკი. **02.00** "ღამურა" მხ. ფილმი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** მხ. ფილმი "ღამის ლექსიკონი" **14.10** მხ. ფილმი "უბრალოდ კოცნა" **17.10** მხ. ფილმი "პაემანი უნახავად" **18.30** მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" მე-2ს. **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "შოუ იწყება" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "ოსკარი"

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი "დაკარგულ ბავშვთა სამყარო" **21.00** და არს მუსიკა **21.20** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი "რემბო-3"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "დამოუკიდებლობის დღე" **15.00** მხ. ფილმი "ეპიდემია" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "ტაქსი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "მართალი ტყუილი"

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** დოკ. ფილმი **11.00** სერიალი "ბაგა-ბაღი" **12.50, 14.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "მოსწავლე" **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** დოკ. ფილმი **21.00** სერიალი "ბაგა-ბაღი" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "ჩემი ბრალი არ არის"

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 20.20** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "ტრანსი" **13.15** "ცხელი ცხრიანი" **14.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ქალთა სავანე" **16.35** დოკ. სერიალი "ამოუცნობი ცოცხალი ორგანიზმები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **17.50** ტელემეტრი **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ქალთა სავანე" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.10** სერიალი "მოჯადოება" **22.10** კონცერტი. "რინგო სტარი" **23.45** მოკლ. მხ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი "1914 წლის მშვენიერი ზაფხული"

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 16.50, 17.20, 01.10** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **09.30** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.30** ლარის მახე **11.05** თამაში "უდაბნოს სამჭედლოები" 1-ლი ს. **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** ეროვ. საკალათბურთო ასოციაცია: ორლანდო-ნიუ ორლეანი **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.55** ქრონიკა **17.25** მულამები **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** არტ-ბულვარი **22.50** მხ. ფილმი "მარლენი"

### არხი

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** კომედია "აფიორა" **11.35** დოკუმენტური ფილმი **12.20** ფანტასტიკა "ღვთისგან გზავნილი არ არის" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** ფანტასტიკა "ღვთისგან გზავნილი არ არის" (გაგრძ) **14.15** კომედია "ბანზაი" **15.55** მუსიკა **16.20** მულტსერიალი **16.55** თრილერი "ფანატი" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.10** კომედია "სახლი თავდაყირად" **21.55, 02.30** მუსიკა **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** მელოდრამა "ცეკვები ლუნაზის დროს" **03.40** ბოევიკი "ციხე" **05.25** დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.20** "აჩიკუდა" **09.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **10.30** მობილურები **10.50** ავტოტრეკინგი (განმეორებით) **11.50** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ - დასავლეთი" **12.40** დისნეი და მისი მეგობრები **13.05** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.45** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.20** "ნა-ნა-ნა" - კარაოკე **22.10** მობილურები **22.35** "კინოკლუბი " - "ადგილების გაცვლა". კომედია . რეჟ. ჰონ ლენდისი,. როლებში: ედი მერფი, დენ ეკროიდი. **00.15** მელოდია **00.20** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ - დასავლეთი" **01.00** აუდიო-ვიდეო-ტელე

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **09.30** Выборы-2003 **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.10 Боевик "Родина ждет" 11.20, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Чудеса на виражах" **13.20** Город женщин **14.10 Аристарх Ливанов в детективе "Человек, который брал интервью" 16.20, 02.00** "Фабрика звезд-3" **16.30** "Угадай мелодию" **17.00 Сериал "Берег мечты" 18.00** "Большая стирка" **19.30** Выборы-2003 **21.00** "Магия. Разоблачения" **22.00, 00.30** Время **22.30 Премьера. Алексей Гуськов в фильме "Раскаленная суббота". 1 с. 23.40** "Спецназ" **01.00** "Гении и злодеи". Ялмар Шахт - банкир Гитлера **01.30** "Крылья" **02.20 Питер О'Тул в комедии "Бодрость духов" 04.05 Боевик "Тени воинов: Атака на остров дьявола" Сериал "Полтергейст-IV" 06.30** "Шутка за шуткой"

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45 Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ" 10.45** Сам себе режиссер **11.45, 14.50, 17.30, 01.25** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.30, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Короткое замыкание" **13.50 Сериал "СПАСТИ И ВЫЖИТЬ" 15.30** "Что хочет женщина" **16.30 Сериал "ЛЕДИ МЭР" 18.10 Сериал "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ"ПЕТЕРБУРГ" 19.10 Сериал "УНДИНА" 20.00** Выборы-2003 **21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ" 23.00 Сериал "СПАСТИ И ВЫЖИТЬ" 00.00** Вести+ **00.20** Премьера. "А.Н.Яковлев. Монолог" **01.15** Народный артист **01.40 Георгий Юматов в детективе "ЗАРЯЖЕННЫЕ СМЕРТЬЮ" 03.45** Синемания **04.15** Дорожный патруль **04.30** Агентство одиноких сердец **04.55 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ **09.50 сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2" 11.00** Сегодня утром. **11.25** Кулинарный поединок: Валентина Легкоступова - Роман Бондаренко. **12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.20** "Сегодня" **13.35 Худ. фильм "ОДИНОКАЯ ЖЕНЩИНА ЖЕЛАЕТ ПОЗНАКОМИТЬСЯ" 15.35** По праву. **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 19.35** Чистосердечное признание. **20.35 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 21.45 сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2". 25 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела **23.50 Сериал "КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ". 25 -26 с. 02.40** Гордон **03.25** Ленивая ночь

# ზეტა ჯონსი ახალი პროექტებით



ჰოლივუდის ბოლო ცნობებით, სავარაუდოდ, ჯეიმს ბონდის ახალი გოგონა ახალ ფილმში კეტრინ ზეტა ჯონსი იქნება. 33 წლის, "ოსკარით" დაჯილდოებულმა მსახიობმა წინადადება თავისი თანამემამულისგან, შონ კონერისგან მიიღო. თუმცა ზეტა ჯონსი თავის პირობებს აყენებს. მას ისეთი პერსონაჟის თამაში უნდა, რომელიც მხოლოდ ჯეიმს ბონდის სულელი თოჯინა არ იქნება და აგენტ 007-ს თავისი ინტელექტითაც გაეჯიბრება. საბოლოო თანხმობას კეტრინ ზეტა ჯონსი მხოლოდ სცენარის დეტალურად შესწავლის შემდეგ განაცხადებს. მანამდე კი ის კვლავაც "ელიზაბეტ არდენის" სახე იქნება და სიმღერაშიც აქტიურად ივარჯიშებს, რადგანაც ასევე ვარაუდობენ, რომ ზეტა ჯონსი შეასრულებს ახალი ბონდის მთავარ თემატურ სიმღერასაც. თუმცა, აქამდე ცნობილი იყო, რომ წესით ბონდისთვის მერაია ქერის უნდა ემღერა.

ასე რომ, მისის დუგლასს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ორი შვილის გაჩენის შემდეგ კვლავაც აალაპარაკოს მსოფლიო და სუპერვარსკვლავად იქცეს. "ჩიკაგოს" შემდეგ და ჯეიმს ბონდის პროექტის ბედის გარკვევამდე ამაში მას სამი ახალი ფილმი დაეხმარება: "ზორო-2", რომლის გადაღებებიც გაზაფხულზე დაიწყება, "გაუსაძლისი ბოროტება", რომელიც ბლოკბასტერთა ათეულეშებში კარგა ხანს ლიდერობდა და სტივენ სპილბერგის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი "ტერმინალი", რომელშიც ზეტა ჯონსს პარტნიორობას ტომ ჰენქსი გაუწევს.

# MTV-ის საგანგებო ჯილდო

ედინბურგელთა მონდომებას ტყუილუბრალოდ არ ჩაუვლია. ევროპული MTV-ის მუსიკალური ჯილდოების ცერემონიალის ფრიადზე მომზადებისთვის ტელეარხმა ქალაქს სპეციალური ჯილდო გადასცა. მსგავსი პრიზი MTV-მ პირველად გასცა, რითაც მადლობა გადაუხადა შოტლანდიას სტუმართმოყვარეობისა და პროფესიონალიზმისთვის.

ნოემბერში დიდი ფურორით ჩავლილი ცერემონიალის შემდეგ ედინბურგის ბიუჯეტი 4 მილიონი გირვანქა სტერლინგით გამდიდრდა და ხელი შეუწყო ტურიზმის ბიზნესის გააქტიურებასაც. როგორც ხედავთ, კმაყოფილი დარჩა MTV-ის მხარეც. მისი წარმომადგენელი აცხადებდა, რომ მეათე ცერემონიალი MTV-ის შოუების ისტორიაში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, საუკეთესო იყო.



# მარკესი პრიზებს არიგებს

ბრაზილიელმა მწერალმა რუბემ ფონსეკამ ხუან რულფოს სახელობის სამხრეთ ამერიკის მთავარი ლიტერატურული პრიზი მოიპოვა. მექსიკაში, გვადალახარაში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე ის გაბრიელ გარსია მარკესმა დააჯილდოვა.

78 წლის ფონსეკა ცნობილი რომანების ავტორია, მათ შორის "პატიმრები" და "ძაღლის საყელო". ის საზოგადოებაში იშვიათად ჩნდება და, თურმე, არც ამ საზეიმო საღამოზე დასწრებას აპირებდა მანამ, სანამ არ უთხრეს, რომ მას პრიზს პირადად მარკესი გადასცემდა. "ბედნიერი ვარ. მახსოვს, როგორ მიყვებოდა მარკესი რულფოს რომანის "მამა პარამოს" შესახებ. ამ და რულფოს სხვა ნაწარმოებებმა, თავიანთი მაგიური რეალიზმით, ძალიან დიდი გავლენა მოახდინა როგორც ჩემს, ისე მარკესის შემოქმედებაზე", - განაცხადა მწერალმა პრიზის გადაცემისას.

# ჰარი სალის სცენაზე ხვდება

"როცა ჰარი შეხვდა სალის" 1989 წელს გადაღებული ბევრისათვის საყვარელი ფილმია, რომელმაც ბილი კრისტალი ცნობილ კომიკოს მსახიობად აქცია. ახლა ამ ძველ ისტორიას ლონდონელები იხსენებენ და მისი უესტ-ენდის სცენაზე გადატანას გეგმავენ. სპექტაკლში ჰარის როლს ლიუკ პერი შეასრულებს, მაგრამ ჯერჯერობით არავინ დაუმტკიცებიათ სალის როლზე, რომელსაც ფილმში მეგ რაიანი თამაშობდა. პრემიერა "როიალ ჰეიმარკეტში" 20 თებერვალს გაიმართება.

რაც შეეხება ჰარის როლის შემსრულებელს, მას მაყურებელი რამდენიმე მხატვრული ფილმიდან და ტელესერიალიდან "ბევერლი ჰილსი, 90210" ძალიან კარგად იცნობს. რამდენიმე ხნის წინ პერი კინოდან თეატრალურ სცენაზე გადაბარგდა და ბროდვეიზე The Rocky Horror Show-ში მიიღო მონაწილეობა. ლონდონის უესტ-ენდზე კი ის პირველად გამოჩნდება, თუმცა, თავს ეულად მაინც არ იგრძნობს. იქ უკვე მეტნაკლები წარმატებით, ამერიკული ტელესერიალების კიდევ ორი ცნობილი მსახიობი ჯეისონ პრისტლი და მეთიუ პერი ("მეგობრები") მოღვაწეობენ.

არც ბლოკბასტერი ფილმების სცენაზე გადატანა გახლავთ ახალი ტენდენცია. ამის პრეცედენტი ლონდონში სულ ბოლოს "კურსდამთავრებულით" დაფიქსირდა. სპექტაკლში მისის რობინსონის როლს ყოფილი მისის ჯაგერი, ჯერი ჰოლი ასრულებს. მომავალ წელს კი, გაიმართება ინგლისელი რეჟისორის სტივენ დალდრის ("საათები") ასევე გახმაურებული ფილმის "ბილი ელიოტის" სასცენო მიუზიკლის პრემიერაც.



















## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.